ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VIII კლასი

მასწავლებლის წიგნი

ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VIII კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს

გამომცემლობა „კლიო“

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VIII კლასი
მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი **ნანა კუპრაშვილი**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ლიპარტელიანი

© 2020. გამომცემლობა „კლიო“
© 2020. ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-???

პირველი გამოცემა — 2020

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე: www.facebook.com/PublishingHousekliom და/ან www.klio.ge

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. #181,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

მასწავლებლის წიგნის შინაარსი

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია 4

2. ზოგადი ინფორმაცია VIII კლასის მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) შესახებ 5

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი 9

4. თემატური მატრიცები 19

5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა 67

6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები 69

7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე 72

8. სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები 73

9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც ეყრდნობა სახელმძღვანელო 76

10. საგანმანათლებლო რესურსები 83

11. მოსწავლის შეფასების პრინციპები 84

12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები 96

13. მოსწავლის წიგნის სარჩევი 98

14. პასუხი ინტერაქტივის კითხვებზე 99

15. მოსწავლის წიგნში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებები 132

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას, ასაკის გათვალისწინებითა და საბაზო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად, მისცეს მას გარკვეული თეორიული ცოდნა არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ; ასევე, მისცეს მოსწავლეს თვითრეალიზაციის საშუალება, გაუღვივოს შემოქმედებითი აქტივობის სურვილი და ანალიზის უნარი. სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილი ითვალისწინებს შემოქმედებითი საქმიანობის დროს მხატვრულ საშუალებათა ფართო სპექტრის გამოყენებას. ამავე დროს, სახელმძღვანელოში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საქართველოს სკოლების არათანაბარი ტექნიკური შესაძლებლობები.

სახელმძღვანელოს საბოლოო მიზანია, მოსწავლეს აღუძრას ხელოვნების ნაწარმოებთან „ურთიერთობის“ სურვილი, უბიძგოს აზროვნებისაკენ, შემოქმედებითი აქტივობისაკენ; გამოუმუშაოს ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; მოსწავლეს მისცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიის სფეროში, რათა მან შეძლოს ხელოვნების ნაწარმოების აღქმა, აღძრული ემოციის და შთაბეჭდილების გაანალიზება, საკუთარი აზრის გამომუშავება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელო აგრეთვე ისახავს მიზნად, გააცნოს მოსწავლეებს ხელოვნების ისტორიის განვითარების ძირითადი ეტაპები, დაანახვოს მას, როგორ იცვლება ადამიანის მსოფლმხედველობა და ამის შესაბამისად, როგორ იცვლება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები. გარდა ამისა, სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მოსწავლისათვის შემოქმედებითი იმპულსების გაღვივებას, მის მიერ საკუთარი თავის თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებისას მიცემს.

2. ზოგადი ინფორმაცია VIII კლასის მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) შესახებ

(მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა)

სახელმძღვანელოს სტრუქტურა
(კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეული სტრუქტურული ელემენტის შესახებ)

სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან.

მოსწავლის წიგნში 49 გაკვეთილი და 3 პროექტია წარმოდგენილი, გაკვეთილების ნაწილი თეორიულია, ნაწილი კი – პრაქტიკული. მასწავლებლის წიგნს ახლავს ელექტრონული რესურსი, რომელზეც მოცემულია დამატებითი ვიზუალური თუ სხვა ტიპის მასალა ყველა გაკვეთილისთვის (ამჟამად ელ. რესურსი არ არის წარმოდგენილი, რადგან პირობები არ ითვალისწინებდა ამ კომპონენტს). პროექტები მოსწავლის წიგნშია მოცემული.

მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) სტრუქტურა იმგვარია, რომ მიზნად ისახავს, როგორც ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას. სასწავლო თემების მონაცვლეობა გულისხმობს გავლილი მასალის ათვისების ხარისხის დიაგნოსტიკას. ეს კი ახალი ცოდნის და უნარების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. სასწავლო თემების აგების პრინციპი საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის არსებულ გამოცდილებაზე ახალი ცოდნის კონსტრუირების პრინციპს ეფუძნება. მოსწავლის წიგნის თითოეულ თემატურ თავში შესასწავლი მასალა მოცემულია წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე,მჭიდრო კავშირშია სხვა სასკოლო საგნებთან (ბუნებისმეტყველება, ქართული, გეოგრაფია, ისტორია, კომპიუტერული მეცნიერებები და სხვ.). ახალი ცოდნის შეძენის და უნარების გამომუშავების მყარ საყრდენს შეადგენს თემატიკის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მოსწავლის პრაქტიკულ გამოცდილებასთან.

წიგნს მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია, ანუ ყველა გაკვეთილში მეორდება, რათა მოსწავლემ იოლად მოახერხოს წიგნში ორიენტირება. სახელმძღვანელოში შესული საილუსტრაციო მასალა შერჩეულია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან მიმართებით; 2. მასალის მრავალფეროვნება; 3. მოსწავლის ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოება; 4. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების და საჭიროებების გათვალისწინებით, მხატვრული ნაწარმოების ანალიზისათვის აუცილებელი მასალის მიწოდება.

მოსწავლის წიგნს წინ უძღვის სარჩევი.

წიგნში სულ 3 თავია:
1. გარემო და ხელოვნება
2. ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო
3. ადამიანი, საზოგადოება და ხელოვნება

თითოეულ თავს წინ უძღვის თავფურცელი, რომელზეც მოცემულია ამ თავის დასახელება, რიგითი ნომერი და იმ საკვანძო საკითხების ჩამონათვალი, რომელიც ამ თავში იქნება განხილული და ამ საკითხების მოკლე რეზიუმე; ასევე, მოცემულია იმ რამდენიმე ნამუშევრის ილუსტრაცია, რომლებიც განხილულია ამ თავში.

წიგნის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყოველ თეორიულ გაკვეთილს ახლავს პრაქტიკული გაკვეთილი, რათა თეორიული ცოდნა პრაქტიკული სამუშაოთიც განმტკიცდეს.

ამ წიგნში ტექსტის მოცულობა განსაზღვრულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით და არის მცდელობა, რომ ტექსტებში, წინა წლების სახელმძღვანელოებთან შედარებით, უფრო სიღრმისეული ანალიზი გაკეთდეს და მოსწავლეებს მიეცეთ ანალიზის გაკეთების ნათელი ნიმუში, რომლის მიხედვითაც ისინი შემდეგ თავად გააკეთებენ ანალიზს. თანაფარდობა ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის ყველა გაკვეთილში დაახლოებით ერთნაირია. ილუსტრაციები თითოეული თემისათვის საგანგებოდაა შერჩეული და კონკრეტულ მიზანს ემსახურება.

წიგნის შინაარსი და მისი თავების პრობლემატიკა განაპირობა ამ კლასის სტანდარტში მოცემულმა სავალდებულო თემატურმა ბლოკებმა. სავალდებულო თემები გაშლილია სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის თუ ქვეყნის ხელოვნების განხილვის მაგალითზე, გამდიდრებულია შესაბამისი მნიშვნელოვანი ცნებების თუ მოვლენების მოხმობით. ამგვარად, ერთიანობაში გააზრებული თეორიული მასალა მოსწავლეს აძლევს სხვადასხვა ეპოქის კულტურის განვითარების ერთიანი სურათის ცოდნას, უვითარებს მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალებების (ტექნიკის და ხერხების) პრაქტიკულად ათვისებისა და რეალიზების უნარს.

წიგნში დასმული სახელოვნებო პრობლემები განხილულია ადამიანის მიმართ დამოკიდებულების კუთხით, ანუ ადამიანი არის ყველა თემის ქვაკუთხედი, რათა მოსწავლემ შეძლოს, ხელოვნების არა განცალკევებულ ფენომენად აღქმა, არამედ ადამიანის განვითარების კვალად მისი მსოფლმხედველობის ცვლილების ჭრილში დანახვა, მის წინაშე სხვადასხვა ეპოქაში არსებული პრობლემების გაცნობიერება და შემდგომ თანამედროვეობაზე ანუ საკუთარ თავზე რეფლექსირება.

წიგნის პირველი თავი – „გარემო და ხელოვნება“ მოსწავლეებს მოუთხრობს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ადამიანს გარემოსადმი სხვადასხვა ეპოქაში; რას აკვირდებოდა, რა ექცეოდა მისი ყურადღების ცენტრში, როგორ ქმნიდა საკუთარ გარემოს, რას ასახავდა იგი და რატომ ასახავდა, რა იყო გარემოს ამა თუ იმ ელემენტისადმი მისი ინტერესის განმსაზღვრელი. როგორ განსაზღვრავდა თითოეულ ეპოქაში ადამიანის მსოფლმხედველობა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები მის დამოკიდებულებას ხელოვნებაში გარემოს ასახვის მიმართ. ამ თავში მოსწავლეები ამ კუთხით გაეცნობიან სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებას.

წიგნის მეორე თავი – „ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო“ მოსწავლეებს გააცნობს, თუ როგორი იყო სხვადასხვა ეპოქაში დამოკიდებულება ადამიანის მიმართ; როგორ ხედავდა ადამიანი საკუთარ თავს, ადამიანის რომელ თვისებებს ანიჭებდა უპირატესობას ამა თუ იმ ეპოქაში, როგორ გამოსახავდა ადამიანს და როგორ განაპირობებდა ამ ყოველივეს სხვადასხვა ეპოქის რწმენა-წარმოდგენები თუ მსოფლმხედველობა. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ თავში მოსწავლე დაინახავს, თუ როგორ აისახება ეს ყოველივე ხელოვნების ნაწარმოებში და როგორაა შესაძლებელი ამ საკითხებზე მსჯელობა, სწორედ ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე. შესაბამისად, ეს თავი მოსწავლეებს გააცნობს ყოველ კონკრეტულ ეპოქაში ადამიანის შესახებ ჩამოყალიბებულ ძირითად პარადიგმულ მოდუსებს. ამავე თავში მოსწავლეებს შეექმნებათ წარმოდგენა, როგორ აისახება ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებთა განხილვის მაგალითზე.

წიგნის მესამე თავში – „ადამიანი, საზოგადოება და ხელოვნება“ – საუბარია ხელოვნებაზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე სხვადასხვა ეპოქაში. ეს თავი მოსწავლეებს დაანახვებს, თუ როგორ შეიძლება ხელოვნების ნიმუშების საშუალებით მივიღოთ ინფორმაცია სხვადასხვა ეპოქის ადამიანზე, მისი ცხოვრების წესზე, მის რწმენაზე, ზოგადად იმ პერიოდის საზოგადოებაზე, მისი მოწყობის წესებზე, მის მსოფლმხედველობასა და ღირებულებებზე, პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენებზე. ასევე, ხელოვნება განხილულია, როგორც წყარო ისტორიისათვის, თუ როგორ ასახავს ხელოვნება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, როგორ შეიძლება ამოვიკითხოთ ხელოვნების ნაწარმოებებში ხელოვანისა თუ მთელი საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი; როგორ გამოხატავს ხელოვნება პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური საკითხებისადმი პროტესტს, როგორ აკრიტიკებს საზოგადოებას, ამათრახებს ადამიანის მანკიერ თვისებებს და ამით ამკვიდრებს გარკვეულ მარადიულ ღირებულებებს. ამ თავში, ასევე, განხილულია გამომსახველობის ის ტრადიციული და არატრადიციული ფორმები, ხერხები და ელემენტები, რომელთა საშუალებით ხდება ამა თუ იმ ეპოქაში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა და პრობლემების ასახვა ხელოვნების ნიმუშებში.

წიგნში მოცემულია ოთხი შემაჯამებელი გაკვეთილი (გაკვ. 14, 21, 33, 49), რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს და შეფასდეს მთელი გავლილი მასალის ათვისების ხარისხი და დონე. ამავე დროს, ეს შემაჯამებელი გაკვეთილები კომპლექსურ დავალებებს წარმოადგენს.

საბოლოოდ, მთელი წიგნის ერთიანი კონცეფცია არა მხოლოდ ხელოვნების ისტორიის სწავლებაზე, არამედ, ამასთან ერთად, ხელოვნების საშუალებით სააზროვნო ველის მოსწავლეებისათვის „გახსნაზე" და საკაცობრიო ღირებულებებთან ზიარებაზეა ორიენტირებული. ამავე დროს, წიგნი ორიენტირებულია მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობის გაღვივებასა და ამით საკუთარი თავის გამოხატვის სტიმულირებაზე.

მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი თითოეული გაკვეთილი ინტერაქტიული ხასიათისაა; გაკვეთილში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ინტერაქტივის კითხვებს, რომლებიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს როგორც უკვე გავლილი მასალის ათვისების ხარისხი, ასევე, ზოგადი ცოდნა (ინტეგრაცია სხვა საგნებთან, კავშირი ყოფით გამოცდილებასთან), ამასთანავე, მოსწავლისათვის წარმოადგენს საკუთარი მოსაზრებების, ვარაუდის თავისუფლად გამოთქმის გარკვეულ ასპარეზს.

თეორიული გაკვეთილების მიზანია, გააცნოს მოსწავლეს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, მათი მონაცვლეობა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, მისცეს თეორიული ცოდნა ცალკეული ცნებებისა და ქვეცნებების შესახებ. გაკვეთილების ტექსტები იმგვარადაა აგებული, რომ სხვადასხვა კულტურული ეპოქის ხელოვნების შესწავლისას მოსწავლემ მოახერხოს ხელოვნების აღქმა კონტექსტში, ანუ კონკრეტული ნაწარმოების დაკავშირება შესაბამის ეპოქასთან თუ კულტურასთან. ამასთანავე, თეორიული გაკვეთილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, თეორიული ინფორმაციის იმ სახით (აღმოჩენის გზით) მიწოდება, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს ხელოვნების კვლევის უნარი, ანალიზისა და საკუთარი აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად გამოთქმის ჩვევა. თეორიული გაკვეთილების კიდევ ერთი ასპექტია კონკრეტული ნამუშევრის გაანალიზება, აღწერა-ანალიზის მეთოდის ათვისება.

თითოეული თეორიული გაკვეთილი რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება და ისინი დანომრილია. გაკვეთილი იწყება რუბრიკით „გაკვეთილის ძირითადი საკითხები", რომელშიც ჩამოთვლილია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელსაც მოცემული გაკვეთილი ეხება.

თეორიული გაკვეთილების ტექსტების მოცულობა ასაკის შესაბამისია და უხვად არის ილუსტრირებული, დამატებითი საილუსტრაციო მასალა კი მოცემულია ელ. რესურსში, რომელიც მასწავლებლის წიგნს ახლავს. თეორიულ გაკვეთილებს ახლავს რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც დამატებით ინფორმაციას შეიცავს. ეს რუბრიკებია:

1. **განმარტებები** – უცხო სიტყვების ახსნა. ეს ელემენტი მხოლოდ იმ გაკვეთილებშია ჩართული, რომლებშიც რაიმე ახალი ცნება შემოდის. ზოგჯერ ეს ელემენტი წინა წელს ნასწავლი ტერმინების გასახსენებლადაცაა გამოყენებული;
2. ძირითადი ტექსტის **შემავსებელი ინფორმაცია** ფერად ჩარჩოშია მოთავსებული;
3. ყველა გაკვეთილში შეტანილია **ინტერაქტივის შეკითხვები,** რომლებსაც მოსწავლეებმა გაკვეთილის მსვლელობის დროს უნდა უპასუხონ.
4. ზოგიერთი გაკვეთილის ბოლოს საგანგებო ფერად ჩარჩოებში მოცემულია კლასში ან **სახლში შესასრულებელი დავალების** ტექსტი. საშინაო დავალება ყველა გაკვეთილს არ მოსდევს, მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია თავად მოიფიქროს, თუ რას დაავალებს მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად, კონკრეტული თემიდან და კლასის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. **რუბრიკა „ციტატა"** საგანგებო ფერად ჩარჩოშია ჩასმული და მასში მოცემულია ამა თუ იმ ხელოვანისა თუ მოაზროვნის გამონათქვამები, რომლებიც გაკვეთილის თემასთან უშუალო კავშირშია და მოსწავლეებმა ეს გამონათქვამები უნდა გააანალიზონ, იმსჯელონ მათ შესახებ და დაუკავშირონ გაკვეთილის ძირითად პრობლემატიკას, რაც გააფართოებს მათ თვალსაწიერს, განუვითარებს მსჯელობისა და ინტერპრეტირების უნარს და ხელოვნების ნიმუშის სხვადასხვა კონტექსტში განხილვისაკენ უბიძგებს.

6. **რუბრიკაში „საკლასო დისკუსია“** მოცემულია გაკვეთილის თემასთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხები, რომლებზეც მოსწავლეებმა კლასშივე, გაკვეთილის მსვლელობისას, უნდა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, იმსჯელონ, იკამათონ.

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილების მიზანია, მოსწავლისათვის შემოქმედებითი აქტივობის გაღვივება, მისთვის იმის ცხადად წარმოჩენა, რომ ხელოვნება თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. პრაქტიკული გაკვეთილის მიზანია, აგრეთვე, თეორიული ცოდნის განმტკიცება პრაქტიკული საქმიანობის გზით. ასევე, უმნიშვნელოვანესია, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს სამუშაოს დაგეგმვისა და ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევა.

ყველა **პრაქტიკულ გაკვეთილში** საგანგებო ფერად ჩარჩოში მოცემულია გაკვეთილზე შესასრულებელი **პრაქტიკული დავალება.**

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილებში საგანგებო ფერადი ნიშნებით გამოყოფილია ის რჩევები, რომლებიც მოსწავლეებმა პრაქტიკული დავალების შესრულებისას უნდა გაითვალისწინონ (ჩვენ შევეცადეთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე ტიპური რჩევა დაგვეფიქსირებინა წიგნში, რომელიც წაადგებათ როგორც მოსწავლეებს, ასევე – მასწავლებლებსაც).

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილები ასევე უხვადაა ილუსტრირებული, როგორც ხელოვნების ცნობილი ნიმუშებით, ისე, მოსწავლეთა თანატოლების მიერ შექმნილი ნამუშევრებით.

შემაჯამებელი გაკვეთილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე დროს, კომპლექსურ დავალებას წარმოადგენს. კომპლექსური დავალება ზოგ შემთხვევაში მოიცავს მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დავალებასაც. ამ გაკვეთილების მიზანია, რომ მასწავლებელმა შეამოწმოს, როგორ აითვისა მოსწავლემ განვლილი მასალა, რამდენად გაიგო ამ თავში შემოტანილი ახალი ტერმინებისა თუ ცნებების არსი, რამდენად ფლობს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარს (წერილობით თუ ზეპირად) და რამდენად შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა განსახილველი საკითხის მიმართ. ამ დავალებით ასევე მოწმდება მოსწავლის პრაქტიკული შემოქმედებითი უნარები და მის მიერ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, მასალის და ტექნიკის ფლობა.

მოსწავლის წიგნის ბოლოს მოცემულია ორი პროექტი; სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელს საკუთარი შეხედულების მიხედვით შეუძლია განსაზღვროს მათი განხორციელების დრო. პროექტის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მთელი კლასი და ყველა მოსწავლეს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა ამ პროცესში (მათ შორის, ინკლუზიის შემთხვევაშიც). მოსწავლის წიგნში მოცემულია სამი პროექტის განხორციელების ეტაპები და კონკრეტული პრაქტიკული რჩევები. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართული იყოს ყველა მოსწავლე და თითოეულს მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ერთობლივ პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს, გარდა კონკრეტული ცოდნისა, გუნდური მუშაობის უნარს, პასუხისმგებლობის გრძნობას, ორგანიზებულობას და შემოქმედებით მიდგომას განუვითარებს.

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
გ) მეთოდიკური ორიენტირები;
დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.
სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.
სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** - გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.

  სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო,

ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.

- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემატური ბლოკების (VII-IX კლასებში) და სავალდებულო თემების (X კლასში) სახითაა წარმოდგენილი.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ. საბ. 1.:**

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება’’;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1“ –** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (VII-X კლასები)		
შედეგების ინდექსები	**მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა**	**სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.**საბ.1.**	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად **მრავალფეროვანი სტრატეგიების**, მხატვრულ-გამომსახველობითი **საშუალებებისა და ხერხების**, სხვადასხვა **მასალისა და ტექნიკის გააზრებულად** და **შემოქმედებითად** გამოყენება;	სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) **(შედეგები: 1, 2, 3, 4)** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას.
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი **საშუალებები და ხერხები,** მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.	

	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: 1, 2, 3, 4)** • **ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;** • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2, 3, 4) • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვთ. სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის /სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები **(შედეგები: 1, 2, 3, 4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.3.	**ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი** (მხატვრულ-გამომსახველობითი **საშუალებები და** ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), **ინტერპრეტაცია** და შეფასება;	
ს.გ.საბ.4.	**სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება** ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	

ცნებები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: **ხაზი**: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი; **ფერი**: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, მონათესავე, ფერის გრადაცია, ნახევარტონები; შუქჩრდილი, განათება; **ფორმა**: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონი.

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ნაყში (pattern) (ელემენტების განმეორებადობა), რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია, პერსპექტივა (ხაზოვანი და ჰაეროვანი, სივრცე), ხედვის წერტილი, კოლორიტი).

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (დარგები — მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური — ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.; **ჟანრები** — მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).

სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების (მაგ., პრეისტორია, ძველი ცივილიზაციები, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, XVII-XIX საუკუნეები, მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება და სხვ.) **სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები.**

სავალდებულო თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება შემდეგნაირად:

- VII-IX კლასებში სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. თითოეულ კლასში (VII, VIII, IX) მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა;
- X კლასში სწავლა-სწავლება წარიმართება ერთი ძირითადი თემატური ბლოკის — „საქართველოს ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების ჭრილში“ ფარგლებში, რომელიც მოიცავს 7 სავალდებულო სასწავლო თემას. ამ თემების კონტექსტში განიხილება მსოფლიო და საქართველოს ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე.

VII-IX კლასები:

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: გარემო — ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები - სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები: ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება - პიროვნული რეალიზების საშუალება; მე — კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება — ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება; კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება — საჭიროება თუ ფუფუნება; ხელოვნება — ზემოქმედების საშუალება (მონუმენტური ხელოვნება, პლაკატი, რეკლამა, ქუჩის მხატვრობა, ხელოვნება, როგორც აქცია და სხვ.).

X კლასი:

თემატური ბლოკი: საქართველოს ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების ჭრილში

სასწავლო თემები:

1. პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება;
2. ძველი ცივილიზაციების ხელოვნება და ბრინჯაოს ხანის საქართველო;

3. ანტიკური პერიოდის მსოფლიოსა და საქართველოს ხელოვნება;
4. შუა საუკუნეების ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ხელოვნება და საქართველო;
5. აღორძინების ეპოქა და თანადროული ქართული ხელოვნება;
6. XVII-XIX სს. ხელოვნება და საქართველო;
7. მოდერნიზმი და თანამედროვე ხელოვნება მსოფლიოსა და საქართველოში.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა არის ხელოვნება?
- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანსა და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი“ და „შემოქმედებითობა“. შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს — და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში,

აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	• ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	• **აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა** — მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • **აქტივობის/დავალების დაგეგმ**ა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • **სწავლის პროცესის მონიტორინგი** — დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;
	• **სოციოემოციური მართვა** — ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.

პასუხისმგებ-ლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ქსელური ძიება (მაგ., სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვანების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით); • Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა. • ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი /გრაფიკული პროგრამების გამოყენებით; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანმხლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე — მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების/თემატური ბლოკების საშუალებით. სასწავლო თემა/თემატური ბლოკი წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც

სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების) დაუფლება საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, **თითოეული თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების/თემატური ბლოკების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა**/თემატური ბლოკი** სასწავლო თემა/თემატური ბლოკი წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები თემატური მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატური მკვიდრი წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.
საგნობრივი საკითხები და ქვეცნებები საკითხები და ქვეცნებები გამომდინარეობენ სამიზნე ცნებებიდან. მათი სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების და ქვეცნებების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების დასაუფლებლად და სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად. მათზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.
კომპლექსური დავალება კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან — საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას — რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები და რესურსები თემატურ მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
შეფასების ინდიკატორები შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში **კომპლექსური დავალება** და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები **საკითხი, ქვეცნებები, საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები** ასრულებენ.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა **თემატური მკვიდრი წარმოდგენები.** მათი ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. **თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა**
ნაბიჯი 2. **თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებების შესაბამისი საკითხების/ ქვეცნებების განსაზღვრა**
ნაბიჯი 3. **საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/ დავალებების პირობის განსაზღვრა**
ნაბიჯი 4. **კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა**
ნაბიჯი 5. **აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება**

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების შესრულება. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი;
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

4. თემატური მატრიცები

პირველი თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემა: გარემო და ხელოვნება

საათების სავარაუდო რაოდენობა: 19 საათი

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- სხვადასხვა ეპოქის და ქვეყნის ხელოვნებაში გარემო სხვადასხვაგვარად აისახება. დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებაში გარემოს ასახვის განსხვავებული ხედვა გვხვდება

  შინაარსის ჩარჩო: ძველი ეგვიპტის ხელოვნება

  რომის ადრექრისტიანული ხელოვნება

  შუა საკუნეების ქრისტიანული ხელოვნება

  შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება

  ჩინეთის და ირანის ხელოვნება

  თანამედროვე ხელოვნება

- ხელოვანი მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, მასალებს, ტექნიკას, ნამუშევარში გარემოს ასახვისას საკუთარი დამოკიდებულებისა და წარმოდგენების, ასევე იმ კულტურის ტრადიციების თანახმად იყენებს, რომლის წარმომადგენელიც იგი არის. დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ხელოვნება განსხვავებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მეშვეობით ასახავს გარემოს.

  შინაარსის ჩარჩო: რეალური გარემოს ასახვის ხერხები ძველი ეგვიპტის, ადრექრისტიანული რომის, საქართველოს, ჩინეთისა და ირანის ხელოვნებაში; ასევე თანამედროვე კინოხელოვნებაში

  სიბრტყეზე სივრცის ასახვა

  ხელოვნების სინთეზი – ქრისტიანული ტაძრის დეკორი

  ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა მხატვრობაში

  განათება და შუქჩრდილი მხატვრობაში

  გარემოს შექმნა და გადაღება კინოხელოვნებაში

- გარემოს რეალისტურად და პირობითად გამოსახვისას სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი გამოიყენება. ევროპული ხელოვნება სივრცის ასასახად რეალისტურ ხერხებს იყენებს. აღმოსავლეთის (ჩინეთი, ირანი) ხელოვნებაში გარემოს გამოსასახად პირობით მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებენ

  შინაარსის ჩარჩო: კომპოზიციის სივრცობრივი (მაგ., პლანების მონაცვლეობა), ფრიზისებური და ხალიჩისებური აგება

  მხატვრობა განათებისა და შუქჩრდილის გარეშე

  პერსპექტივა – ჰაეროვანი და ფერადოვანი

სივრცობრივი და სიბრტყობრივი კინოკადრის აგება და გადაღება განათება და შუქჩრდილი ფერის გრადაცია და ლოკალური ფერი დეკორატიულობა • სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში/ქვეყანაში ადამიანი საკუთარ გარემოს ამ ეპოქისა და კულტურის/ქვეყნის ტრადიციების, ამ საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებისა და მსოფლმხედველობის თანახმად ქმნის. **შინაარსის ჩარჩო:** უძველესი ქალაქები, მათი სტრუქტურა და მხატვრული სახე ძველი ეგვიპტის ტაძრებისა და სამარხების შემკულობა კატაკომბები — პირველ ქრისტიანთა გარემო გარემო ქრისტიანული ტაძრის მხატვრობასა და პლასტიკაში			
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**საკითხები / ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**	**კომპლექსური დავალების ტიპები**
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას.	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი (გაკვ. 6, 10, 11, 12,13, 17) • ფერი: ძირითადი და შედგენილი, კონტრასტული, ფერის გრადაცია, ტონი, ნახევარტონები, შუქჩრდილი, განათება (გაკვ. 6, 10, 12, 16, 17, 18) • ფორმა: მოცულობითი, ბრტყელი, ფონი (გაკვ. 1, 4, 5, 6, 8, 10, 12, 13, 15, 17, 18) **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 1, 4, 6, 10, 11, 12, 13, 15, 20) • პერსპექტივა: ხაზობრივი, ჰაეროვანი და ფერადოვანი, სივრცე (გაკვ. 1, 4, 5, 6, 8, 10, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20)	• როგორ გამოსახავდნენ გარემოს სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში? • რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით აისახება გარემო დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ხელოვნებაში? • როგორ შეიძლება გამოიყენოს ხელოვანმა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, გარემოს ასახვისას ნამუშევარში საკუთარი დამოკიდებულების და წარმოდგენების გადმოსაცემად? • რის საფუძველზე იქმნება გარემო ამა თუ იმ ეპოქაში, კულტურაში/ქვეყანაში? • როგორ იქმნება სიბრტყობრივი ან სივრცობრივი კადრის კომპოზიცია კინოხელოვნებაში?	ესე — წერითი დავალება, რომელშიც მოსწავლე ამჟღავნებს თეორიულ ცოდნას, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას არჩეული თემის ირგვლივ (რომელიმე ეპოქის/ქვეყნის ხელოვნება) ან/და აანალიზებს შესრულებულ ნამუშევარს და ასაბუთებს, რატომ აირჩია კონკრეტული მასალა და ტექნიკა მისი შექმნისას

სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: 1,2,3,4) • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.	• პროპორცია (გაკვ. 8) • მასშტაბი (გაკვ. 1, 4, 8) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 19) • აქცენტი (გაკვ. 8) • ხედვის წერტილი (გაკვ. 15) • ნაყში (გაკვ. 8) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** • ძერწვა (გაკვ. 3) • ფერწერა (გაკვ. 5, 15, 16) • კონსტრუირება (გაკვ. 3, 7) • გრაფიკა (გაკვ. 10, 11, 12, 13, 17, 18) • ციფრული ტექნოლოგიები (გაკვ. 16, 19, 20) • აპლიკაცია (გაკვ. 14) **დარგები:** ფერწერა (მონუმენტური — გაკვ. 6, 8, 9, 15, 17), დაზგური (გაკვ. 10, 15, 16, 17), მინიატურა (გაკვ. 12, 13) გრაფიკა (დაზგური) (გაკვ. 10, 11, 12, 13, 17, 18) არქიტექტურა (გაკვ. 1, 8, 15) კინოხელოვნება (გაკვ. 19, 20, 21) **ჟანრები:** პეიზაჟი (გაკვ. 6, 10, 11, 12, 15, 16, 17) ნატურმორტი (გაკვ. 18) ყოფითი ჟანრი (გაკვ. 4) ისტორიული (გაკვ. 15) **ეპოქა, მიმდინარეობა, სტილი:** პრეისტორია (გაკვ. 1,2) ძველი ცივილიზაციები (ძველი ეგვიპტე) (გაკვ. 4, 5) ადრექრისტიანული რომი (გაკვ. 6) შუა საუკუნეები (საქართველო) (გაკვ. 8) შუა საუკუნეები (ჩინეთი) (გაკვ. 10, 11) შუა საუკუნეები (ირანი) (გაკვ. 12, 13) აღორძინების ეპოქა (გაკვ. 15, 17,) თანამედროვე ხელოვნება (კინო) (გაკვ. 19, 20)		• პრაქტიკული სამუშაო — მოსწავლეები ათვისებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, მრავალფეროვანი მასალისა და შერჩეული ტექნიკით (ხატვა, კოლაჟი, ინსტალაცია, ძერწვა, მაკეტი და სხვ.) ქმნიან შერჩეული ეპოქის ან ქვეყნის კულტურის პანორამას • პრაქტიკული სამუშაო – მოსწავლეები ათვისებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, მრავალფეროვანი მასალისა და შერჩეული ტექნიკით ქმნიან რეალისტურ, პირობით ან კინოკადრის პრინციპით აგებულ ნამუშევრებს, ასახავენ სივრცეს ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის გამოყენებით ან/და ქმნიან სიბრტყობრივ/ სივრცობრივ კინოკადრის კომპოზიციას.

სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4) • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**თეორიული საკითხები:** • ადამიანის ხელით გარემოს შექმნა სხვადასხვა ეპოქაში, კულტურაში/ქვეყანაში, საკუთარი ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების, მსოფლმხედველობის საფუძველზე ხდება (გაკვ. 1, 2, 3, 4, 6, 8, 9) • გარემოს ასახვა სხვადასხვა ეპოქაში, კულტურაში/ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ხდება (გაკვ. 1, 4, 6, 8, 10, 12, 15, 16, 17) • დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ხელოვნებაში გარემოს ასახვისადმი განსხვავებული მიდგომა (გაკვ. 10, 12, 14) • მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისი გარემო თანამედროვე კინოხელოვნებაში (გაკვ. 19, 20)		

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
მოსწავლე განასხვავებს ერთმანეთისგან იმ ნამუშევრებს, სადაც სივრცე გადმოცემულია ფერადოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის საშუალებით იმ ნამუშევრებისგან, რომლებიც სიბრტყობრივია და რეალური სივრცის ასახვა არ ახასიათებს. ახდენს კლასიფიკაციას და მსჯელობს სივრცის ასახვის აღმოსავლური და დასავლური ნიმუშებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით ნიშნებზე	მოსწავლე ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან იმ ნამუშევრებს, სადაც ფერადოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის საშუალებით სივრცეა ასახული იმ ნამუშევრებისგან, სადაც რეალური სივრცე არ არის გამოსახული და შესაბამისად, ვერ საუბრობს სივრცის ასახვის აღმოსავლური და დასავლური ნიმუშებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით ნიშნებზე	მოსწავლე ხშირ შემთხვევაში ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან ნამუშევრებს, სადაც ფერადოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის საშუალებით სივრცეა ასახული იმ ნამუშევრებისგან, სადაც რეალური სივრცე არ არის გამოსახული. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში, შეუძლია ზოგადი საუბარი სივრცის ასახვის აღმოსავლური და დასავლური ნიმუშებისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხზე	მოსწავლე ხშირ შემთხვევაში,ანსხვავებს ისეთ ნამუშევრებს ერთმანეთისგან,სადაც ფერადოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის საშუალებით სივრცეა ასახული იმ ნამუშევრებისგან, სადაც რეალური სივრცე არ არის გამოსახული. შესაბამისად, შეუძლია ზოგადი მსჯელობა სივრცის ასახვის აღმოსავლური და დასავლური ნიმუშებისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხზე	მოსწავლე მსჯელობს ხელოვნების ნაწარმოებზე სივრცის ასახვის დასავლური და აღმოსავლური ტრადიციის შესახებ, ახასიათებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს და მოყავს შესაბამისი მაგალითები.
მოსწავლე აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში გარემო ადამიანის ინტერესის მუდმივ სფეროს წარმოადგენდა და განსხვავებულად გამოსახავდა მას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მოსწავლე მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება გარემოსადმი სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალების გამოყენებით აისახებოდა გარემო ხელოვნების ნიმუშებში	მოსწავლე ვერ საუბრობს სხვადასხვა ეპოქაში გარემოს ასახვის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე და იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა ადამიანის დამოკიდებულე-ბა გარემოსადმი სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში	მოსწავლე ხშირ შემთხვევაში, ვერ ასახელებს გარემოს ასახვის მხატვრულ და გამომსახველობით საშუალებებს სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და ხშირ შემთხვევაში, საუბრობს გარემოსადმი ადამიანის დამოკიდებულების ცვლილებაზე სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში	მოსწავლე ხშირ შემთხვევაში, ასახელებს გარემოს ასახვის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და ზოგადად საუბრობს გარემოსადმი ადამიანის დამოკიდებულების ცვლილებაზე სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში.	მოსწავლე აფასებს სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში ადამიანის დამოკიდებულებას გარემოსადმი და მსჯელობს გარემოს ასახვის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე. მოყავს მრავალფეროვანი მაგალითები

მოსწავლე ფლობს მრავალფეროვან სახვით გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა და ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად ნამუშევარში	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვითგა მომსახველობით საშუალებებს, შესაბამისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად	მოსწავლე ფლობს ზოგიერთ სახვით-გამომსახველობით საშუალებას, გარკვეულ მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა და დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმედებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას.

მოსწავლეს უნვითარდება სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად; **საგანთაშორისი კავშირები/ინტეგრირება:** მსოფლიო ისტორიასთან, ლიტერატურასთან, გეოგრაფიასთან, ზუსტ მეცნიერებებთან (გეომეტრიასთან), ციფრულ ტექნოლოგიებთან
ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები • შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და განხორციელების უნარი • თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიების და პრაქტიკულ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი
შეფასება • ამ თავის ფარგლებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების ტიპები, რომელიც ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი შეფასების კრიტერიუმები • ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით

პირველი თავის პირველი კომპლექსური დავალების მატრიცა (მე-14 გაკვეთილი)

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები / ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გა-მომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;	**პსახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი (გაკვ. 6, 10, 11, 12,13) • ფერი: ძირითადი და შედგენილი, კონტრასტული (გაკვ. 6, 10, 12) • ფორმა: ბრტყელი, ფონი (გაკვ. 1, 4, 5, 6, 8, 10, 12, 13) **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 1, 4, 6, 10, 11, 12,13) • სივრცე (გაკვ. 1, 4, 5, 6, 8, 10, 12, 13) • პროპორცია (გაკვ. 8) • მასშტაბი (გაკვ. 1, 4, 8) • აქცენტი (გაკვ. 8) • ნაყში (გაკვ. 8) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** • ძერწვა (გაკვ. 3) • ფერწერა (გაკვ. 5) • კონსტრუირება (გაკვ. 3, 7) • გრაფიკა (გაკვ. 10, 11, 12, 13) • აპლიკაცია (გაკვ. 14) **დარგები:** ფერწერა (მონუმენტური — გაკვ. 6, 8, 9), დაზგური (გაკვ. 10), მინიატურა (გაკვ. 12, 13) გრაფიკა (დაზგური) (გაკვ. 10, 11, 12, 13) არქიტექტურა (გაკვ. 1, 8)	• კომპოზიციის აგების რომელ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას ამა თუ იმ ეპოქის/ქვეყნის ხელოვნება? • რეალისტურად თუ პირობითად აისახება სივრცე ამა თუ იმ ეპოქის/ ქვეყნის ხელოვნებაში? • ფერის გრადაციას იყენებს თუ ლოკალურ ფერს კონკრეტული ეპოქის/ქვეყნის ხელოვნება? • როგორი პრინციპით არის ჩართული მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში სხვადასხვა ქვეყნის დამწერლობა (ჩინური და ეგვიპტური იეროგლიფები, ლათინური, ქართული და სპარსული ანბანი)?	**დავალების პირობა** დაიყავით ჯგუფებად. მოსწავლეების ერთი ჯგუფი განასახიერებს მოგზაურებს, რომლებიც იმოგზაურებენ სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნაში. სხვა ჯგუფები, ბარათების გათამაშების გზით, აირჩევენ თქვენს მიერ ნასწავლი ქვეყნებიდან ერთ-ერთის კულტურას და მოემზადებიან მოგზაურთა დასახვედრად. ისინი გამოიყენებენ წინა გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას და მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას იმისათვის, რომ სრულად წარმოაჩინონ არჩეული ეპოქის და ქვეყნის კულტურა. ამ მიზნით მუყაოს დიდი ზომის ფორმატზე შექმენით პანო. გამოიყენეთ მრავალფეროვანი მასალა, შესაბამისი ხერხები და პანოზე ასახეთ შერჩეული კულტურის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, სიმბოლოები და გარემო. მოგზაურთა ჯგუფი მოგზაურობის დაწყებამდე შექმნის ვიზუალურ გზამკვლევს, რომელშიც

• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);	**ჟანრები:** პეიზაჟი (გაკვ. 6, 10, 11, 12,) ყოფითი ჟანრი (გაკვ. 4) **ეპოქა, მიმდინარეობა, სტილი:** პრეისტორია (გაკვ. 1,2) ძველი ცივილიზაციები (ძველი ეგვიპტე) (გაკვ. 4, 5) ადრექრისტიანული რომი (გაკვ. 6) შუა საუკუნეები (საქართველო) (გაკვ. 8) შუა საუკუნეები (ჩინეთი) (გაკვ. 10, 11) შუა საუკუნეები (ირანი) (გაკვ. 12, 13)		გამოიყენებს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს: დამწერლობის ნიმუშებს, სიმბოლოებს, გარემოს ასახვის თავისებურებებს. მოგზაურთა ჯგუფის წინაშე პანოს წარდგენის დასრულების შემდეგ, ჯგუფების მიერ შექმნილი ნამუშევრები გააერთიანეთ მთლიან პანორამად.

• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.			
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები): **1-ლი ეტაპი** **კომპლექსური დავალების არსის გაცნობა** მოსწავლეები ირჩევენ და ნებისმიერი მხატვრული ხერხით ქმნიან ნამუშევარს გავლილი მასალიდან ერთ-ერთი კონკრეტული ეპოქის/ ცივილიზაციის/ქვეყნის ხელოვნების თემაზე. მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე მოსწავლე/მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს კონკრეტული თემის შესაბამისად შერჩეული სახატავი მასალის და ტექნიკის გამოყენებით (ხატვა, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია, მაკეტი და სხვ.). ნამუშევარში გამოყენებულია კომპოზიციის აგების სხვადასხვა პრინციპი: ფრიზისებური, ხალიჩისებური, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური სტრუქტურის მქონე კომპოზიცია, სიბრტყეზე სივრცის რეალისტურად ან პირობითად გამოსახვის ხერხები, პირობითად ან რეალისტურად დამუშავებული ფორმა, ფერის თანდათანობითი გრადაცია ან ლოკალური ფერი. ნამუშევარში სივრცის ასახვისას, ფორმის დამუშავებისას მოსწავლე იყენებს რომელიმე ძველი კულტურისთვის (ეგვიპტე, ჩინეთი, ირანი, ადრექრისტიანული რომი და შუასაუკუნეების ქართული ხელოვნება) დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს. მაგალითად, თუ მოსწავლე ირჩევს ირანის ხელოვნებას, შესრულებულ ნამუშევარში გამოყენებულია ხალიჩისებური კომპოზიცია, პირობითი, სიბრტყოვანი ფორმა და ინტენსიური ლოკალური ფერი. თუ მოსწავლემ აირჩია ძველი ეგვიპტის ხელოვნებას კომპოზიცია აგებულია ფრიზისებური პრინციპით, ფორმა სიბრტყოვანია და სხეულის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული რაკურსითაა წარმოდგენილი, დომინირებს ოქრას ტონები. თუ არჩეულია შუა საუკუნეების ჩინეთის ხელოვნება კომპოზიცია ვერტიკალური ან ჰორიზონტალური სტრუქტურის მქონეა, გამოყენებულია ტუშის ან აკვარელის საღებავი.		

მე-2 ეტაპი

პირველადი აღქმა-დაკვირვება

წარმოდგენილ მასალაზე დაკვირვება გვაჩვენებს მხატვრული, გამომსახ-ველობითი ხერხების მრავალფეროვნებას. თითოეული ეპოქის/ქვეყნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია მხატვრული საშუალებების განსხვავებული წესით გამოყენება.

- **ხედვის გაღრმავება**

ძველი ეგვიპტის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია განყენებული, ნეიტრალური ფონების გამოყენება, ხოლო სიუჟეტი ფრიზისებურად, მიყოლებით ვითარდება მასზე. ადრექრისტიანული რომის ხელოვნებისთვის ასევე დამახასიათებელია განყენებული ფონები, თუმცა მასზე სხვადასხვა ხერხით (ზომა, სასურათო არეზე ცენტრში გამოსახვა, ფერი და სხვ.) გამოყოფილია მთავარი. შუა საუკუნეების ირანის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია სასურათო არის მთლიანად შევსება ლოკალური ფერით შესრულებული სიბრტყოვანი გამოსახულებებით. შუა საუკუნეების ჩინეთის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია კომპოზიციის ვერტიკალური ან ჰორიზონტალური განვითარება, ტუშის საღებავით შესრულება და გამოსახულებების პირობითი, ლაკონურად მინიშნებული ფორმები.

- **განზოგადება**

ძველი ცივილიზაციებისა თუ კულტურათა დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესწავლა/განზოგადება ცხადყოფს, რომ ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია გარკვეული პირობითობა, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს პირობითობა გამომსახველობითი საშუალებების განსხვავებულ ნაკრებს გულისხმობს, რაც ამ კონკრეტული ქვეყნის მსოფლმხედველობის და კულტურის ხასიათით არის განპირობებული. სხვადასხვა ეპოქის/ქვეყნის ხელოვნების ნიმუშების კომპოზიციაში (მონუმენტური და დაზგური მხატვრობა) განსხვავებულად არის ჩართული შესაბამისი დამწერლობის ელემენტები (ეგვიპტური და ჩინური იეროგლიფები, ლათინური, სპარსული და ქართული ანბანი).
გავლილ მასალასა და კომპლექსურ გაკვეთილში წარმოდგენილ ნიმუშებზე დაკვირვებით მოსწავლეები აყალიბებენ შესაბამის დასკვნას თითოეული კულტურის თავისებურებების შესახებ.

- **ტრანსფერი**

გავლილი მასალის და შეძენილი პრაქტიკული უნარების შემოქმედებითად გამოყენება კომპლექსური დავალების შესრულებისას, რათა შექმნილი ნამუშევარი (კონკრეტულად, პანოები) იძლეოდეს ზოგად წარმოდგენას ამა თუ იმ კონკრეტული კულტურის ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

აქტივობები

- ვიზუალური მასალის გაცნობა
- აღწერა-ანალიზი
- დისკუსია
- დამატებითი ვიზუალური მასალის და ინფორმაციის მოძიება
- პრაქტიკული ნამუშევრის შექმნა
- პრეზენტაციის მომზადება და ნამუშევრის წარდგენა

თეორიული საკითხები და ამ ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცება

- როგორ აწყობდა ადამიანი საკუთარ საარსებო გარემოს უძველეს დროში (გაკვ. 1, 2, 3.)
- როგორ აისახება ბუნებრივი გარემო ეგვიპტურ ხელოვნებაში (გაკ. 4, 5.)
- რატომ არ აისახება კონკრეტული გარემო ადრექრისტიანული რომის (კატაკომბების) მხატვრობაში (გაკვ. 6)
- აქვს თუ არა სიმბოლური მნიშვნელობა ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების ნამუშევრებს (გაკვ. 6, 7)
- როგორ აისახება გარემო შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებზე (გაკ. 8)
- რა არის კულტურული გარემო და რა ქმნის მას (გაკვ. 9)
- როგორ აისახება სივრცე და გარემო ჩინურ პეიზაჟზე (გაკვ. 10, 11.)
- რა არის აღმოსავლური ხელნაწერი წიგნის ძირითადი მახასიათებლები (გაკვ. 12, 13.)

ნაბიჯი 1

კომპლექსური დავალების შესასრულებლად მოსწავლეები გაეცნობიან როგორ ხდება ადამიანის ხელით საკუთარი გარემოს შექმნა, როგორ აისახება გარემო ძველი და შუა საუკუნეების ეპოქების ხელოვნებაში კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე-ანალიზი და შედარებითი (კომპა-რატივისტული) ანალიზი, მსჯელობა, განსხვავებული მოსაზრებების განხილვა, დისკუსია და გარკვეული დასკვნების გამოტანა.

ნაბიჯი 2
როგორ აწყობენ და ასახავენ სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები გარემოს და რომელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებენ ამისათვის: უძველეს ეპოქაში (გაკვ. 1), ეგვიპტეში (გაკვ. 3), ადრექრისტიანულ ხანაში (გაკვ. 5), შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში (გაკვ. 7)

ნაბიჯი 3
მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას როგორ ასახავენ გარემოს ძველი ეგვიპტის (გაკვ. 3), შუა საუკუნეების ჩინეთს (გაკვ. 9) და ირანის ხელოვნებაში (გაკვ. 11) და რომელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებენ ამისათვის

მე-3 ეტაპი
მოსწავლეები/ჯგუფები არჩეული თემის შესაბამისი მხატვრული ხერხებით ასრულებენ პრაქტიკულ დავალებას - წინასწარ მომზადებულ ფორმატზე ნებისმიერი სასურველი ხერხით (ხატვა, კოლაჟი, ინსტალაცია და სხვ.) ქმნიან არჩეული ქვეყნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ნამუშევარს/ ნამუშევრებს.

მე-4 ეტაპი
კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე მოსწავლეები ემზადებიან საკუთარი ნამუშევრების წარდგენისთვის.
მოსწავლეები მოგზაურთა ჯგუფის წინაშე წარადგენენ პანოს შერჩეული ეპოქის ან ქვეყნის ხელოვნების შესახებ, რომელშიც წარმოაჩენენ მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებში გამოყენებულ მასალას და ტექნიკას; საუბრობენ იმ გამომსახველობით ხერხებზე, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს ესა თუ ის კულტურა.
მოგზაურთა ჯგუფი ასევე წარადგენს ისტორიულ გზამკვლევს, რომელზეც წარმოჩენილია იმქვეყნების კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები, სადაც მათ „მოუწიათ“ მოგზაურობა.
ცალკეული ჯგუფების მიერ შესრულებული პანოები იფინება გვერდიგვერდ და იქმნება ძველი ცივილიზაციების/ეპოქების/ქვეყნების კულტურის ერთიანი პანორამა.
მოსწავლეები საუბრობენ არჩეული ქვეყნის კულტურის, გამოყენებული მხატვრული ხერხების, მასალის შესახებ; ასაბუთებენ, მიზანშეწონილი იყო თუ არა ამგვარი არჩევანი და რით იყო ის განპირობებული.

ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლეები საუბრობენ, რამდენად დაეხმარათ მათ მიღებული თეორიული ცოდნა და ის უნარები, რომლებიც მათ განუვითარდათ პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს. მოსწავლეები ისმენენ თანაკლასელთა აზრს მათ მიერ შექმნილი ნამუშევრის შესახებ, პასუხობენ დასმულ კითხვებს და თავადაც გამოთქვამენ მოსაზრებებს თანაკლასელთა მიერ შესრულებული ნაშრომების თაობაზე.

რესურსები:
მოსწავლის წიგნი, ფორმატი (დიდი ზომის სქელი ფორმატი ან მუყაო), სახატავი მასალა: აკვარელის, ტუშის, გუაშის საღებავი, ფუნჯები, კალმები, ფერადი ფანქრები, პასტელი, წებო, მაკრატელი, თიხა, პლასტილინი, ნებისმიერი სხვა მასალა.
ერნსტ გომბრიხის „ხელოვნების ამბავი“, თბ., 2012, მერილინ სთოქსთედის და მაიკლ ვ. ქოთრენის „ხელოვნების ისტორია – XIV-XV საუკუნეების ევროპა“ (2019), „XVI-XVII“ (2018), „ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე“ (2017)
https://www.youtube.com/watch?v=nqjyH08VrwY
https://artsexperiments.withgoogle.com/bagan
https://www.youtube.com/watch?v=clLps9e59rI
https://www.youtube.com/watch?v=9wguQaBYKec
https://www.youtube.com/watch?v=yGPevxwlTBE
https://www.youtube.com/watch?v=e_phjB19ZEg
https://www.artyfactory.com/africanmasks/index.htm
http://tiny.cc/2wvupz უძველესი ადამიანის საცხოვრებელი სახლები
http://tiny.cc/wrbhpz პერსპექტივა
http://tiny.cc/rivlpz რას გვიყვება ქრისტიანული ტაძარი

(ლინკები გადამოწმებულია 31/5/2020)

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის, კულტურის შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენებით და თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენებისა თუ კულტურის შესაბამისი გარემოს წარმოსაჩენად, მოსწავლე იღებს აქტიურ მონაწილეობას პანორამის შექმნაში მრავალფეროვანი მასალისა და შესაბამისი ხერხების გამოყენებით. ს.გ.საბ.1,2,4	მოსწავლე არ იღებს მონაწილეობას პანორამის შექმნაში, არ იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის, კულტურის შესაბამისი გარემოს წარმოსაჩენად	მოსწავლე ძირითადად არ იღებს მონაწილეობას პანორამის შექმნაში, იყენებს გარკვეულ ცოდნას და მასალასა თუ ტექნიკას სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის, კულტურის შესაბამისი გარემოს წარმოსაჩენად	მოსწავლე იღებს მონაწილეობას პანორამის შექმნაში,ნაწილობრივ იყენებს მიღებულ ცოდნას სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის შესახებ და იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის, კულტურის შესაბამისი გარემოს წარმოსაჩენად	მოსწავლე აქტიურ მონაწილეობას იღებს პანორამის შექმნაში და იყენებს მიღებულ ცოდნას სხვადასხვა ეპოქის, ცივილიზაციის, კულტურის შესახებ. შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკას თითოეული ეპოქისა თუ ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი მსოფლ-მხედველობის, რწმენა-წარმოდგენებისა თუ კულტურის შესაბამისი გარემოს წარმოსაჩენად
მოსწავლე კონსტრუქციულად თანამშრომლობს საკუთარი ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის მოძიებასა თუ პრაქტიკული ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში	მოსწავლე არ თანამშრომლობს საკუთარი ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის მოძიებასა თუ პრაქტიკული ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში	ხშირ შემთხვევაში, მოსწავლე არ თანამშრომლობს საკუთარი ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის მოძიებასა თუ პრაქტიკული ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში	მოსწავლე თანამშრომლობს საკუთარი ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის მოძიებასა თუ პრაქტიკული ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში	მოსწავლე აქტიურად ჩართულია ჯგუფურ მუშაობაში და კონსტრუქციულად თანამშრომლობს საკუთარი ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის მოძიებასა თუ პრაქტიკული ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში

მოსწავლე საუბრობს კონკრეტული ეპოქის, ცივილიზაციის შესახებ, მის მსგავსება-განსხვავებაზე (სხვა ეპოქასა თუ ცივილიზაციასთან) აანალიზებს მისი ხელოვნებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებსა და გარემოს ასახვის თავისებურებაზე (ს.გ.3, 4)	მოსწავლე არ საუბრობს კონკრეტული ეპოქის, ცივილიზაციის შესახებ, მის მსგავსება-განსხვავებაზე (სხვა ეპოქასა თუ ცივ-ილიზაციასთან) გარემოს ასახვის თავისებურებაზე	მოსწავლე ზოგადად საუბრობს კონკრეტული ეპოქის, ცივილიზაციის შესახებ, მის მსგავსება-განსხვავებაზე (სხვა ეპოქასა თუ ცივილიზაციასთან)	მოსწავლე საუბრობს კონკრეტული ეპოქის,ცივილიზაციის შესახებ, მის მსგავსება-განსხვავებაზე (სხვა ეპოქასა თუ ცივილიზაციასთან) ნაწილობრივ აანალიზებს ხელოვნებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომს-ახველობით ხერხებსა და გარემოს ასახვის თავისებურებაზე	მოსწავლე საუბრობს კონკრეტული ეპოქის, ცივილიზაციის შესახებ, მის მსგავსება-განსხვავებაზე (სხვა ეპოქასა თუ ცივილიზაციასთან) აანალიზებს მისი ხელოვ-ნებისთვის დამახა-სიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა და გარემოს ასახვის თავისებურებაზე და ასაბუთებს მის მოსაზრებას

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს. განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

- წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი;
- ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;
- კითხვარი;
- მასწავლებლის რეკომენდაცია;
- უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე

რჩევა: *მოსწავლის საჭიროებებსა და მიღწევებზე დაკვირვებისთვის გამოიყენეთ მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)*

შენიშვნა: *მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი სამივე პრაქტიკული ნამუშევარი შესრულებულია ხატვის და აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით და წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნების კულტურის ამსახველ პანოებს.*

პირველი თავის მეორე კომპლექსური დავალების მატრიცა (21-ე გაკვეთილი)

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები / ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: კონტური, შტრიხი (გაკვ. 17) • ფერი: ფერის გრადაცია, ტონი, ნახევარტონები, შუქჩრდილი, განათება (გაკვ. 16, 17, 18) • ფორმა: მოცულობითი, ფონი (გაკვ. 15, 17, 18) **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 15, 20) • პერსპექტივა: ჰაეროვანი და ფერადოვანი, სივრცე (გაკვ. 15, 16, 17, 18, 19, 20) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 19) • ხედვის წერტილი (გაკვ. 15) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** • ფერწერა (გაკვ. 15, 16) • გრაფიკა (გაკვ. 17, 18) • ციფრული ტექნოლოგიები (გაკვ. 16, 19, 20, 21) **დარგები:** ფერწერა (მონუმენტური — გაკვ. 15, 17), დაზგური (გაკვ. 15, 16, 17), გრაფიკა (დაზგური) (გაკვ. 17, 18), არქიტექტურა (გაკვ. 15), კინოხელოვნება (გაკვ. 19, 20, 21)	• რა ხერხებით არის შესაძლებელი სიბრტყეზე ჰაერით სავსე სივრცის გამოსახვა? • შესაძლებელია თუ არა გარემოს ასახვა ნამუშევარში განათების წყაროს გამოსახვის გარეშე? • როგორ იცვლება ფერის ინტენსივობა და როგორია მისი გრადაცია სიბრტყეზე სივრცის ილუზიის შექმნისას? • როგორ იცვლება შორ მანძილზე გამოსახულების სიმკვეთრე? • როგორ იგება კინოკადრისთვის სიბრტყობრივი ან სივრცითი კომპოზიცია?	**დავალების პირობა** მოსწავლე ქმნის ხელოვნების რომელიმე დარგის (ფერწერა, გრაფიკა, კინოხელოვნება) ნამუშევარს, რომელშიც ადამიანი და გარემო ასახული იქნება სივრცისა და ფორმის გადმოცემის რომელიმე მხატვრული ხერხის მეშვეობით (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხები და ასევე განათებისა და შუქჩრდილის ეფექტები).

• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);	**ჟანრები:** პეიზაჟი (გაკვ. 15, 16, 17) ნატურმორტი (გაკვ. 18) ისტორიული (გაკვ. 15) **ეპოქა, მიმდინარეობა, სტილი:** აღორძინების ეპოქა (გაკვ. 15, 17,) თანამედროვე ხელოვნება (კინო) (გაკვ. 19, 20)		

• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.			
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები): **1-ლი ეტაპი** **კომპლექსური დავალების არსის გაცნობა** მოსწავლე ქმნის ნამუშევარს, რომელშიც გამოიყენებს ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხებს და ასევე განათებისა და შუქჩრდილის ეფექტებს ან აგებს სიბრტყობრივი ან სივრცითი კინოკადრის კომპოზიციას. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე კომპლექსური დავალების შესრულების დროს მოსწავლე ასრულებს ნამუშევარს, რომელშიც იყენებს ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხებს (კონტურის გაბუნდოვნება, შორ მანძილზე ფერის ინტენსივობის კლება, ფერის გრადაციის და ნახევარტონის გამოყენება, განათების წყაროს და მიმართულების დადგენა, ჩრდილის სახეობის განსაზღვრა (საკუთარი ჩრდილი, დაცემული ჩრდილი) სურათზე (სიბრტყეზე) სივრცის ასახვა გულისხმობს ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის გამოყენებას (დასავლეთევროპული ტრადიცია) პრაქტიკული ნამუშევარი, რომელშიც შექმნილია ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა ან/და შექმნილი სივრცითი ან სიბრტყობრივი კინოკადრის კომ-პოზიცია თავს უყრის ათვისებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. **მე-2 ეტაპი** პირველადი აღქმა-დაკვირვება სიბრტყეზე სივრცის ასახვის ტიპურ მაგალითზე დაკვირვება გვაჩვენებს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებას. სიბრტყეზე სივრცის რეალისტურად გამოსახვა დასავლეთევროპული ტრადიციაა და ხასიათდება ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის გამოყენებით.		

- **ხედვის გაღრმავება**

დასავლეთევროპულ მხატვრობაში სივრცე რეალისტურად გამოისახება.

- **განზოგადება**

სიბრტყეზე სივრცის რეალისტურად გადმოსაცემად აუცილებელია გეომეტრიული, ჰაეროვანი ან/და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხების გამოყენება. შორეული აღმოსავლეთისა და ირანის ხელოვნებაში (რაც მოსწავლეებს ამ თემატურ ბლოკში უკვე ნასწავლი აქვთ)გამოიყენება სივრცის პირობითი ასახვის ხერხები ხელოვნების ტიპურ ნიმუშებზე მოსწავლეების დაკვირვების შედეგად ისინი აყალიბებენ შესაბამის დასკვნებს.

- **ტრანსფერი**

განვლილი მასალის მეშვეობით შეძენილი თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შემოქმედებითად გამოყენება კომპლექსური დავალების შესრულებისას, რათა შექმნილი ნამუშევარი ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხების გამოყენების ტიპურ მაგალითად იქცეს.

აქტივობები

- ვიზუალური მასალის გაცნობა
- აღწერა-ანალიზი
- შედარებითი ანალიზი

- ინტერაქტივი
- დისკუსია
- პრაქტიკული სამუშაო – ნამუშევრის შექმნა
- თეორიული ნაშრომი (ესე)
- ვიზუალური მასალის ან თეორიული ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა
- კვლევა-ძიება

თეორიული საკითხები და ამ ცოდნის პრაქტიკაში განმტიკცება

- როგორ აისახება სიბრტყეზე სივრცე ფერადოვანი პერსპექტივის საშუალებით (გაკვ. 16)
- როგორ გამოსახავენ კვატროჩენტოს ეპოქაში უკანა პლანზე ფიგურებს, საგნებს (გაკვ. 15)
- რა სიახლე შემოიტანა ლეონარდო და ვინჩიმ უკანა პლანზე სივრცის ასახვის თვალსაზრისით, რა არის სფუმატო (გაკვ. 15)
- განათების წყარო და მიმართულება, რა სახის ჩრდილები არსებობს, რა არის საკუთარი და დაცემული ჩრდილი (გაკვ. 17,18)
- რა არის ფერის გრადაცია (გაკვ. 15, 16)
- რა არის ნახევარტონი (გაკვ. 18)

ნაბიჯი 1
თემატური ბლოკის ფარგლებში კომპლექსური დავალების შესასრულებლად მოსწავლეები გაეცნობიან როგორ ხდება სხვადასხვა ეპოქაში გარემოს ასახვა. კონკრეტული ნიმუშების ანალიზი, კომპარატივისტული (შედარებითი) ანალიზი, მსჯელობა, განსხვავებული მოსაზრებების განხილვა, დისკუსია, ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გაცემა და გარკვეული დასკვნების გამოტანა.

ნაბიჯი 2
როგორ აწყობენ სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები გარემოს და რომელ მხატ-ვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებენ ამისათვის: რენესანსის ეპოქაში - ადრეული და მაღალი რენესანსის დროს (გაკვ. 15, 16, 17), XVII-XIX სს-ის ხელოვნებაში, თანამედროვე ეპოქაში - კინოხელოვნებაში (გაკვ. 19).

ნაბიჯი 3
მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას როგორ ასახავენ გარემოს და რომელ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებენ ამისათვის. მოსწავლეები უკვე იცნობენ აღმოსავლურ ხელოვნებაში გარემოს სიბრტყობრივი ასახვის ხერხებს სხვადასხვა აღმოსავლური ქვეყნის ხელოვნების მაგალითზე (გაკვ. 10, 11, 12, 13).

ნაბიჯი 4
ბოლო ეტაპზე მოსწავლეები ეცნობიან როგორ იქმნება გარემო ხელოვნების ისეთ სფეროში როგორიც არის კინო, რა ასპექტების გათვალისწინებით მუშაობენ ამ შემთხვევაში კინოს მხატვრები (გაკვ. 19).

მე-3 ეტაპი
მოსწავლემ კლასის წინაშე უნდა წარადგინოს საკუთარი ნამუშევარი, ისაუბროს რა მოტივი (თემა) შეარჩია, როგორ გამოსახა სიბრტყეზე სივრცე, რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები გამოიყენა ნასწავლი მასალიდან და დაასაბუთოს მათი გამოყენების მიზანშეწონილობა ჩანაფიქრთან მიმართებით.
ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლე განსაზღვრავს, რამდენად დაეხმარა მიღებული თეორიული ცოდნა პერსპექტივის შესახებ და მანამდე შესრულებული პრაქტიკული სამუშაო ამ კონკრეტული ნამუშევრის (კომპლექსური დავალება) შესრულებაში.
მოსწავლე უსმენს თანაკლასელთა მოსაზრებებს მის მიერ შექმნილი ნამუშევრის თაობაზე და პასუხობს დასმულ კითხვებს.

	რესურსები: მოსწავლის წიგნი, ფურცლები, კალამი, ფორმატი ან სახატავი ფურცელი, ნებისმიერი სახატავი მასალა (ფანქარი, ფუნჯი, პასტელი, გუაში, აკვარელი); ერნსტ გომბრიხის „ხელოვნების ამბავი“, თბ., 2012, მერილინ სთოქსთედის და მაიკლ ვ. ქოთრენის „ხელოვნების ისტორია – XIV-XV საუკუნეების ევროპა“ (2019), „XVI-XVII“ (2018), „ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე“ (2017) https://www.youtube.com/watch?v=clLps9e59rI https://www.youtube.com/watch?v=9wguQaBYKec https://www.youtube.com/watch?v=yGPevxwITBE https://www.youtube.com/watch?v=e_phjB19ZEg https://www.artyfactory.com/africanmasks/index.htm (ლინკები გადამოწმებულია 31/5/2020)	

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
მოსწავლე ქმნის ნამუშევარს შესაბამისი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით, ასახავს სივრცეს ადეკვატური გამომსახვე-ლობითი საშუალებებით (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა, ფერის გრადაცია და ნახევარტონი, განათება, შუქჩრდილი, კინოკადრის გარემოსათვის ესკიზის მომზადება და გადაღება).ს.გ.საბ.1,2	მოსწავლის მიერ შექმნილ ნამუშევარში არაადეკვატურად ადეკვატურად არის გამოყენებული სივრცის ასახვის გამომსახველო-ბითი საშუალებები და პრინციპები (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა, ფერის გრადაცია და ნახევარტონი, განათება, შუქჩრდილი, კინოკადრის გარემოსათვის ესკიზის მომზადება და გადაღება).	მოსწავლის მიერ შექმნილ ნამუშევარში ნაწილობრივ ადეკვატურად არის გამოყენებული სივრცის ასახვის გამომსახველობითი საშუალებები და პრინციპები (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა, ფერის გრადაცია და ნახევარტონი, განათება, შუქჩრდილი, კინოკადრის გარემოსათვის ესკიზის მომზადება და გადაღება).	მოსწავლის მიერ შექმნილ ნამუშევარში უმეტესად ადეკვატურად არის გამოყენებული სივრცის ასახვის გამომსახველობითი საშუალებები და პრინციპები (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა, ფერის გრადაცია და ნახევარტონი, განათება, შუქჩრდილი, კინოკადრის გარემოსათვის ესკიზის მომზადება და გადაღება).	მოსწავლის მიერ შექმნილ ნამუშევარში სრულიად ადეკვატურად და შემოქმედებითად არის გამოყენებული სივრცის ასახვის გამომსახველობითი საშუალებები და პრინციპები (ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივა, ფერის გრადაცია და ნახევარტონი, განათება, შუქჩრდილი, კინოკადრის გარემოსათვის ესკიზის მომზადება და გადაღება).

მოსწავლე ნამუშევრის თემაზე შექმნილ ესეში ამჟღავნებს ანალიზის უნარს, არგუმენტირებულად მსჯელობს და აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს. ს.გ.საბ.3,4	მოსწავლე ვერ აანალიზებს ნამუშევარს, ვერ მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე სუსტად ავლენს ანალიზის უნარს, ვერ მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე ნაწილობრივ ამჟღავნებს ანალიზის უნარს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები ძირითადად დამაჯერებელია და უმეტესწილად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე თეორიულ ნაშრომში (ესე) კარგად აანალიზებს ნამუშევარს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები დამაჯერებელია, დასკვნები თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს. განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

- წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი;
- ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;
- კითხვარი;
- მასწავლებლის რეკომენდაცია;
- უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე

რჩევა: *მოსწავლის საჭიროებებსა და მიღწევებზე დაკვირვებისთვის გამოიყენეთ მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)*

მეორე თავის თემატური ბლოკის მატრიცა

თემა: ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო
საათების სავარაუდო რაოდენობა: 11 სთ.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- სხვადასხვა ეპოქაში მხატვრები ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვისას სხვადასხვა ასპექტს უსვამენ ხაზს. ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვა სახვითი ხელოვნების ნებისმიერი დარგის ნაწარმოებში არის შესაძლებელი

  შინაარსის ჩარჩო

  შუა საუკუნეების ხელოვნება
  აღორძინების ხანა
  XIX საუკუნის ევროპული ხელოვნება
  XIX-XX საუკუნეების ქართული ხელოვნება
  XX საუკუნის ევროპული ხელოვნება

  ხელოვნების დარგები და ჟანრები

  ფერწერა (მონუმენტური და დაზგური მხატვრობა)
  გრაფიკა
  ქანდაკება და მცირე პლასტიკა
  პორტრეტი
  სიუჟეტური კომპოზიცია

- ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვა შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით არის შესაძლებელი, რაც პირდაპირ კავშირშია ხელოვანის მიერ დასმულ ამოცანასთან. ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნა შესაძლებელია როგორც რეალისტური, ისე პირობითი მხატვრული ხერხების საშუალებით

  შინაარსის ჩარჩო

  სიბრტყეზე სივრცის პირობითი და რეალისტური სახით ასახვა
  ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი
  წერის მანერა, სხვადასხვა ხასიათის მონასმი
  განათება და შუქჩრდილი
  ფორმის დამუშავების რეალისტური და პირობითი მანერა

- ნებისმიერი ეპოქის ნამუშევარში ნათლად იკითხება ადამიანის მსოფლმხედველობა და მის მიმართ ამ ეპოქაში არსებული დამოკიდებულება

  შინაარსის ჩარჩო

  ადამიანის და მისი შინაგანი სამყაროს ასახვა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში
  ადამიანის შინაგანი სამყაროს სხვადასხვა ასპექტი
  ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვისას დასმული ამოცანები და გამოყენებული სახვითი ხერხები
  ფონის და ფიგურის ურთიერთმიმართება
  ადამიანის მხატვრული სახე რეალობასა და ხელოვანის წარმოსახვაში
  ადამიანის მხატვრული სახე ქანდაკებაში
  ადამიანი ძველი ეპოქის ხელოვნებაში და მისი გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები / ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალების ტიპები
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** **(შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: კონტური, შტრიხი (გაკვ. 28) • ფერი: ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი, განათება, შუქჩრდილი (გაკვ. 23, 27, 28, 32) • ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი, უტრირებული, ფაქტურა, ფონი (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 30, 31, 32) **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება, სიმეტრია, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 22, 23, 28, 32) • პერსპექტივა, სივრცე (გაკვ. 22, 26, 27, 28, 32) • კოლორიტი (გაკვ. 23, 25, 27, 28, 32) • ელემენტების განმეორებადობა (გაკვ. 22) • წონასწორობა (გაკვ. 23, 28) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 27, 30) • ხედვის წერტილი (გაკვ. 28) • პროპორცია/დისპროპორცია (გაკვ. 22, 23, 24) • რიტმი (გაკვ. 26, 30) **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** • ფერწერა (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 32) • გრაფიკა (გაკვ. 29) • ძერწვა (გაკვ. 31)	• როგორ ასახავს ხელოვნების ნაწარმოები ეპოქის თავისებურებებს და ამ ეპოქის ადამიანს (გარემო, ყოფა, სამოსი და ა.შ.)? • როგორ შეიძლება ამოვიკითხოთ მხატვრის ან ეპოქის მსოფლმხედველობა ნამუშევარზე ასახული ადამიანის მხატვრული სახის მიხედვით? • რომელი სახვითი ხერხებით ხსნიან ადამიანის შინაგან სამყაროს ხელოვანები? • რა კავშირია ხელოვანის მიერ დასმულ ამოცანასა და სახვით ხერხებს შორის? • დაზგური მხატვრობის რომელ ჟანრში აისახება ადამიანის შინაგანი სამყარო ყველაზე უკეთ? • როგორ არის შესაძლებელი სიუჟეტური კომპოზიციიდან მხატვრის შინაგანი სამყაროს ამოკითხვა? • აისახება თუ არა ქანდაკებაში ადამიანის შინაგანი სამყარო? • როგორ ხერხებს მიმართავენ XX საუკუნის ხელოვანები ადამიანის სხვადასხვა გრძნობის, განწყობილების, მაგ., სასოწარკვეთა, შიში, ინდიფერენტულობა – გადმოსაცემად?	• **ესე (წერითი დავალება)** – მოსწავლე შეარჩევს შეთავაზებული პორტრეტებიდან ერთ-ერთ პორტრეტს, რომელზეც წერს ესეს – აღწერს, აანალიზებს და გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას • **პრაქტიკული სამუშაო** – მოსწავლე ათვისებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, მრავალფეროვანი მასალითა და შერჩეული ტექნიკით ქმნის შერჩეული პორტრეტის საკუთარ ინტერპრეტაციას

• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);	**დარგები:** • ფერწერა, მონუმენტური მხატვრობა (გაკვ. 22) • დაზგური მხატვრობა (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29) • გრაფიკა (გაკვ. 24) **ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი:** • შუა საუკუნეები (გაკვ. 22) • აღორძინების ეპოქა (გაკვ. 23, 26, 32) • XIX საუკუნის ხელოვნება (გაკვ. 25) • XIX-XX საუკუნის ქართული ხელოვნება (ფერწერა, ქანდაკება) (გაკვ. 27, 30) • XX საუკუნე (გაკვ. 22, 23, 24, 27, 28, 31, 32) **თეორიული საკითხები:** • სხვადასხვა ეპოქაში (შუა საუკუნეები (გაკვ. 22), აღორძინების ეპოქა (გაკვ. 23, 26, 32) XIX-XX საუკუნეები (გაკვ. 22, 23, 24, 27, 28, 30, 31) ადამიანის შინაგანი სამყაროს განსხვავებული ხედვა შედარებითი ანალიზის საფუძველზე • პორტრეტი ადამიანის შინაგანი სამყაროს სარკე (გაკვ. 23, 24, 25, 27, 30, 32, 33) • სიუჟეტური კომპოზიცია — მხატვრის შინაგანი სამყაროს ასახვა (გაკვ. 28)	• რას ნიშნავს წერის მანერა? რამდენად მიზანმიმართულად იყენებს წერის მანერას მხატვარი შინაგანი ბუნების გადმოსაცემად?	

• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.			

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
მოსწავლე აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში განსხვავებულად აისახება ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო. შესაბამისად, განსხვავებულია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, მასალა და ტექნიკა; შედარებითი ანალიზის საფუძველზე მსჯელობს, რომ ხელოვნების ნაწარმოები ასახავს ადამიანის განსხვავებულ მსოფლმხედველობას	მოსწავლე ვერ საუბრობს სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში ადამიანისა და მისი შინაგანი სამყაროს განსხვავებული ასახვის შესახებ, ვერ ასახელებს განსხვავებულად მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს	მოსწავლეს აქვს ზოგადი წარმოდგენა სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში ადამიანისა და მისი შინაგანი სამყაროს განსხვავებულად ასახვის შესახებ და ასახელებს ნაწარმოების ზოგიერთ გამომსახველობით საშუალებას	მოსწავლე ნაწილობრივ აცნობიერებს და ასახელებს ნაწარმოების ზოგიერთ გამომსახველობით საშუალებას, ტექნიკასა და მასალას და ზოგადად საუბრობს ხელოვნების ნაწარმოებში ასახულ განსხვავებულ მსოფლმხედველობაზე	მოსწავლეს საფუძვლიანად აქვს გაცნობიერებული სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებში ასახული ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო, არგუმენტირებულად მსჯელობს ამ მიზნით გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებზე, მასალასა და ტექნიკაზე
მოსწავლე ფლობს საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად გამომსახველობითი საშუალებების, მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად გამოყენების უნარს	მოსწავლე ვერ ფლობს ხელოვნების ცნობილი ნაწარმოების შემოქმედებითად ინტერპრეტაციისა და გამომსახველობითი საშუალებების მიზანმიმართულად გამოყენების უნარს	მოსწავლე იყენებს გარკვეულ გამომსახვე-ლობით საშუალებებს ხელოვნების ცნობილი ნაწარმოების ინტერპრეტაციისას	მოსწავლე ძირითადად ფლობს ხელოვნების ცნობილი ნაწარმოების შემოქმედებითად ინტერპრეტაციისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების უნარს	მოსწავლე სრულყოფილად ფლობს ხელოვნების ცნობილი ნაწარმოების შემოქმედებითად ინტერპრეტაციისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების უნარს

მოსწავლეს უვითარდება სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად; საგანთაშორისი კავშირები/ინტეგრირება: მსოფლიო ისტორიასთან, ლიტერატურასთან, გეოგრაფიასთან, ზუსტ მეცნიერებებთან (გეომეტრიასთან), ციფრულ ტექნოლოგიებთან
ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები • შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და განხორციელების უნარი • თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიების და პრაქტიკულ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი
შეფასება • ამ თავის ფარგლებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ტიპები, რომელიც ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები** • ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით

II თავის კომპლექსური დავალების მატრიცა

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები / ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშებზე შთაბეჭდილებების იდეების, აზრის გამოთქმისას; **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით; **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახ-ველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: კონტური, შტრიხი (გაკვ. 28) • ფერი: ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი, განათება, შუქჩრდილი (გაკვ. 23, 27, 28, 32) • ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი, უტრირებული, ფაქტურა, ფონი (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 30, 31, 32) **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება, სიმეტრია, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 22, 23, 28, 32) • პერსპექტივა, სივრცე (გაკვ. 22, 26, 27, 28, 32) • კოლორიტი (გაკვ. 23, 25, 27, 28, 32) • ელემენტების განმეორებადობა (გაკვ. 22) • წონასწორობა (გაკვ. 23, 28) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 27, 30) • ხედვის წერტილი (გაკვ. 28) • პროპორცია/დისპროპორცია (გაკვ. 22, 23, 24) • რიტმი (გაკვ. 26, 30)	• რა კავშირია ხელოვანის მიერ დასმულ ამოცანასა და სახვით ხერხებს შორის? • როგორ და რომელი ხერხების მეშვეობით ხსნიან მხატვრები ადამიანის შინაგან სამყაროს სხვადასხვა ეპოქაში? • რა ხერხებს იყენებენ XX საუკუნის მხატვრები ადამიანის შინაგანი სამყაროს მძაფრად და ემოციურად გადმოსაცემად? • რითი განსხვავდება რეალისტური და პირობითი ნამუშევარი ერთმანეთისგან? • რა ფაქტორები განაპირობებს სხვადასხვა ეპოქის მხატვრების დაინტერესებას შექმნან ცნობილი ნაწარმოებების შემოქმედებითი ინტერპრეტაციები? • კომპლექსური დავალების შესრულებისას (ცნობილი ნაწარმოების ინტერპრეტაცია) რომელი ელემენტები დარჩა უცვლელი და რამ განიცადა ცვლილება?	**დავალების პირობა** 1. მოსწავლის წიგნში მოცემული ნამუშევრებიდან მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი პორტრეტი და დაწეროს მასზე ესე, აღწეროს, როგორ არის გახსნილი მასში ადამიანის შინაგანი სამყარო 2. მოსწავლემ უნდა შექმნას შერჩეული პორტრეტის საკუთარი ინტერპრეტაცია

სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები • ყველა ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა** • ფერწერა (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 32) • გრაფიკა (გაკვ. 29) • ძერწვა (გაკვ. 31) **დარგები:** • ფერწერა, მონუმენტური მხატვრობა (გაკვ. 22) • დაზგური მხატვრობა (გაკვ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29) • გრაფიკა (გაკვ. 24) **ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი:** • შუა საუკუნეები (გაკვ. 22) • აღორძინების ეპოქა (გაკვ. 23, 26, 32) • XIX საუკუნის ხელოვნება (გაკვ. 25) • XIX-XX საუკუნის ქართული ხელოვნება (ფერწერა, ქანდაკება) (გაკვ. 27, 30) • XX საუკუნე (გაკვ. 22, 23, 24, 27, 28, 31, 32)		
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები): **1-ლი ეტაპი** კომპლექსური დავალების არსის გაცნობა **(1) ესე** მოცემული ნამუშევრებიდან მოსწავლე არჩევს ერთ პორტრეტს, წერილობით აანალიზებს მას. ნაშრომი უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: • ნამუშევრის აღწერა • რა განწყობილებას და შთაბეჭდილებას აღძრავს ეს ნამუშევარი?		

- რომელი სახვითი ხერხებია გამოყენებული?
- რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების იდეა და როგორ არის ის ასახული სახვითი ხერხების საშუალებით?

(2) ცნობილი ნამუშევრის ინტერპრეტაცია

მოსწავლე ქმნის შერჩეული სურათის ინტერპრეტაციას (საკუთარ ვერსიას)

- შეიმუშავებს ნამუშევრის საკუთარ კონცეფციას;
- ჩანაფიქრის განსახორციელებლად, განსაზღვრავს კონცეფციის შესაბამის სახვით ხერხებს: მასალა, კომპოზიცია, ფერადოვნება, მონასმები, რიტმი, ხაზი და ა.შ.;
- მოსწავლის კომპოზიცია, შესაძლებელია, განსხვავდებოდეს ორიგინალისაგან. მაგ., შესაძლებელია, ორიგინალში მთავარი ფიგურა მოთავსებული იყოს ცენტრში, მოსწავლემ კი შეცვალოს კომპოზიციური განაწილება და ის, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიზნიდან გამომდინარე, მოათავსოს მარცხნივ ან მარჯვნივ;
- შესაძლებელია, ნამუშევარზე ისეთი ობიექტებიც გამოისახოს, რომელიც ორიგინალზე არ არის წარმოდგენილი;
- შესაძლებელია, ჩანაფიქრის შესაბამისად, შეიცვალოს ორიგინალის ფერადოვნებაც.

დავალების შესრულების დროს მოსწავლემ უნდა შეძლოს ათვისებული თეორიული ცოდნის საფუძველზე შერჩეული ნამუშევრის გაანალიზება, ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ მხატვრის მიერ ჩადებული ინფორმაციის გაგება გამოყენებული მხატვრული ხერხების გათვალისწინებით. მომდევნო ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეიმუშაოს შერჩეული ნამუშევრის ინტერპრეტაციის კონცეფცია და პრაქტიკულად შეასრულოს ნამუშევარი.

მოსწავლე უსმენს თანაკლასელთა მოსაზრებებს მისი ნამუშევრის შესახებ. პასუხს სცემს მათ მიერ დასმულ კითხვებს.

მე-2 ეტაპი:

- **პირველადი აღქმა-დაკვირვება:**

სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ნამუშევრებზე დაკვირვება გვაჩვენებს მხატვრის მიერ შერჩეული გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებას, რომელიც კონკრეტულ ნაწარმოებში დასმული ამოცანის შესაბამისად არის შერჩეული. ადამიანის შინაგანი სამყარო ნაწარმოებში შეიძლება იყოს გადმოცემული გამომეტყველების, პოზების, ჟესტების, ასევე მთავარის აქცენტირების, წერის მანერის, ფერის სხვადასხვა სახეობის (ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი) შემოქმედებითად გამოყენების მეშვეობით.

- **ხედვის გაღრმავება**

სხვადასხვა ეპოქის ნამუშევრებში ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო განსხვავებულად შეიძლება იყოს გადმოცემული მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. მაგ., რეალისტური და პირობითი, სტილიზებური პორტრეტი. განსხვავებულ ეპოქასა და ქვეყანაში მხატვრები ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემისას აქცენტს ამ სამყაროს სხვადასხვა ასპექტზე აკეთებენ (მაგ., დიურერის ავტოპორტრეტები და პიკასოს „აბსენტის მოყვარული“).

- **განზოგადება**

ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად მხატვრები ფერის, განათების, რეალისტურად და პირობითად დამუშავებული ფორმის გამომსახველობით შესაძლებლობებს იყენებენ, რასაც ადასტურებს ყველა ეპოქის ნიმუშებზე დაკვირვება.

- **ტრანსფერი**

განვლილი მასალის მეშვეობით შეძენილი თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების გამოყენება, რათა კომპლექსური დავალების შესრულებისას შერჩეული პორტრეტის გაანალიზებით, ახალი ნამუშევრის კონცეფციის შექმნით და ნიმუშის ინტერპრეტაციით დადასტურდეს მოსწავლის მიერ დასმული ამოცანის შემოქმედებითად გადაჭრა.

აქტივობები

- ვიზუალური მასალის გაცნობა
- აღწერა-ანალიზი
- შედარებითი ანალიზი
- ინტერაქტივი
- დისკუსია
- პრაქტიკული სამუშაო – ნამუშევრის შექმნა
- თეორიული ნაშრომი (ესე)
- თეორიული ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა
- კვლევა-ძიება

ნაბიჯი 1

თემატური ბლოკის ფარგლებში განხილული იქნება როგორ აისახება ადამიანი შუა საუკუნეებში. აქ მისი შინაგანი სამყაროს და ადამიანური თვისებების ასახვა არ ხდება, რენესანსის ეპოქაში იცვლება ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი დამოკიდებულება და წინა პლანზე მოიწევს ადამიანის გარეგნული სახასიათო პორტრეტული ნიშნები, მისი ხასიათის თვისებები. ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო (გაკვ. 22, 23).

ნაბიჯი 2
როგორ ასახავს რენესანსის ეპოქა ადამიანის შინაგან სამყაროს რეალისტური ხერხებით, რომელშიც მთელი ეპოქის მსოფლმხედ-ველობის, ამ პერიოდის ადამიანის მრწამსის ამოკითხვაა შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ როგორ ამახვილებს XX საუკუნე ყურადღებას ადამიანის შინაგან, ინდივიდუალურ პრობლემებზე და ამისათვის იყენებს შესაბამის პირობით სახვით ხერხებს: დეფორმაციას, ფერადოვნებას, სიბრტყობრიობას, სივრცის შეზღუდულად ასახვას და სხვ. შედარებითი ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი (გაკვ. 23, 24).

ნაბიჯი 3
როგორ განსაზღვრავს შემოქმედის მხატვრული ამოცანა, მისი მიზანი სახვითი ხერხების შერჩევას. როგორ ხდება სახვითი ხერხების შერჩევა ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი ხასიათის გახსნისა და გადმოცემისათვის. შესაბამისი ხერხების გამოყენება ასევე განაპირობებს ნამუშევრის საერთო ხასიათსა და განწყობილებას. ანალიზი და პრაქტიკული სამუშაო (გაკვ. 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32).

ნაბიჯი 4
საკუთარი აზრების, იდეების გამოხატვა ანუ საკუთარი თავის შეცნობა და თვითგამოხატვა შესაძლებელია ხელოვნების საშუალებით. პრაქტიკული სამუშაო (გაკვ. 24, 26, 29, 31, 33).

ნაბიჯი 5
როგორ შეიძლება ხელოვნების ნიმუში იქცეს შთაგონების წყაროდ და მისი ინტერპრეტაციისას როგორ ხდება საკუთარი შინაგანი სამყაროს წარმოჩენა და თვითგამოხატვა. შედარებითი ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო (გაკვ. 32, 33).

მე-3 ეტაპი:
პრაქტიკული და წერითი ნამუშევრების წარდგენა
1. კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მოხდება შემდეგი თანმიმდევრობით: მოსწავლე წარმოადგენს შერჩეულ ნამუშევარს, საუბრობს მის იდეაზე და იმ სახვით ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც იდეა არის გადმოცემული. შემდეგ წარადგენს საკუთარ ინტერპრეტირებულ ნამუშევარს და საუბრობს მის კონცეფციაზე; აღნიშნავს, რა შეცვალა და რა იდეის წარმოჩენა სურს საკუთარ ნამუშევარში, რომელი სახვითი ხერხები გამოიყენა ახალი იდეის გადმოსაცემად.

	2. მოსწავლემ კლასის წინაშე უნდა წარადგინოს მის მიერ დაწერილი ესე. მან უნდა ისაუბროს, რატომ აირჩია ესა თუ ის ნამუშევარი, ანალიზისას რაზე გაამახვილა ყურადღება, აღწეროს, თუ რა განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი, როგორია პორტრეტირებულის შინაგანი სამყარო და რომელი სახვითი ხერხებით აღწევს მხატვარი ამ სამყაროს წარმოჩენას; რა არის ამ ნაწარმოების იდეა. შემდეგ მოსწავლემ უნდა წარუდგინოს კლასს საკუთარი ნამუშევარი, მოუთხროს, როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთა ხელოვნების ცნობილ ნაწარმოებს, შეუცვალა თუ არა მას კონცეფცია და რაში გამოიხატება მის მიერ შეტანილი ცვლილება. რომელი სახვითი საშუალებები გამოიყენა საკუთარი კონცეფციის განხორციელებისას და რატომ, როგორ მიაღწია მიზანს. **რესურსები**: მოსწავლის წიგნი, ფურცლები, კალამი, ფორმატი ან სახატავი ფურცელი, ნებისმიერი სახატავი მასალა (ფანქარი, ფუნჯები, პასტელი, გუაში, აკვარელი); ერნსტ გომბრიხის „ხელოვნების ამბავი“, თბ., 2012, მერილინ სთოქსთედის და მაიკლ ვ. ქოთრენის „ხელოვნების ისტორია – XIV-XV საუკუნეების ევროპა“ (2019), „XVI-XVII“ (2018), „ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე“ (2017) https://www.youtube.com/watch?v=clLps9e59rI http://tiny.cc/arbhpz პორტრეტი http://tiny.cc/4nbhpz როგორ გამოსახავდნენ ადამიანს სხვადასხვა ეპოქაში http://tiny.cc/vlbhpz ადამიანი და ბერძნული ცივილიზაცია http://tiny.cc/3mbhpz როგორ გამოსახავდნენ ადამიანს ძველ რომში http://tiny.cc/knbhpz როგორ ასახავდნენ ადამიანს ქრისტიანულ ფრესკებსა და რელიეფებზე (ლინკები გადამოწმებულია 31/5/2020)	

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
მოსწავლე ახდენს ცნობილი ნამუშევრის ინტერპრეტაციას (არ იხატავს ნიმუშს) და ამ მიზნით იყენებს შესაბამის გამომსახველობით საშუალებებს, ლოგიკურად ასაბუთებს საკუთარ არჩევანს. ს.გ.საბ.1, 2	მოსწავლის ნამუშევარი არ წარმოადგენს ნიმუშის ინტერპრეტაციას. ნამუშევრის კონცეფცია არ არის შემუშავებული, გამომსახველობითი საშუალებები არ არის ადეკვატურად გამოყენებული	ნამუშევარში ნიმუშის ინტერპრეტაციისას გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები ნაწილობრივ შეესაბამება შემუშავებულ კონცეფციას	ნამუშევარში ნიმუშის ინტერპრეტაციისას გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები მეტწილად შეესაბამება შემუშავებულ კონცეფციას	მოსწავლის ნამუშევარი წარმოადგენს ნიმუშის მისეულ ინტერპრეტაციას მის მიერვე შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად. ამ მიზნით მოსწავლე ირჩევს ადეკვატურ გამომსახველობით საშუალებებს
მოსწავლე წარმოადგენს ნიმუშის მისეულ ინტერპრეტაციას მის მიერვე შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად. ამ მიზნით მოსწავლე ირჩევს ადეკვატურ გამომსახველობით საშუალებებს. ს.გ.საბ. 2	მოსწავლე ვერ ხსნის, თუ როგორ ირჩევს დარგს, ჟანრს, სახვით ხერხებს, მასალას, ტექნიკას საკუთარი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად	მოსწავლე ზოგადად საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე, მის მიერ შერჩეულ დარგზე, ჟანრზე, გამოყენებულ ტექნიკასა და მასალაზე	მოსწავლე მსჯელობს საკუთარ ნამუშევარზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე და ნაწილობრივ ხსნის, თუ როგორ იყენებს დარგს, ჟანრს, სახვით ხერხებს, მასალას, ტექნიკას საკუთარი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად	დამაჯერებლად მსჯელობს საკუთარ ნამუშევარზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე და ამომწურავად და არგუმენტირებულად ხსნის, თუ როგორ იყენებს დარგს, ჟანრს, სახვით ხერხებს, მასალას, ტექნიკას საკუთარი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად
ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის ანალიზის საფუძველზე მოსწავლე მსჯელობს თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების შინაგან სამყაროს სხვადასხვა ეპოქაში. ს.გ. საბ. 3.4.	მოსწავლე ვერ აანალიზებს ხელოვნების ნიმუშს და შესაბამისად, ვერ მსჯელობს	მოსწავლე ვერ აკეთებს ხელოვნების ნიმუშის ანალიზს და მისი საუბარი ნიმუშის შესახებ ზოგადია	მოსწავლე ნაწილობრივ აანალიზებს ხელოვნების შერჩეულ ნიმუშს და არასრულყოფილად მსჯელობს როგორ შეესაბამება მასზე ასახული ადამიანის შინაგანი სამყარო კონკრეტული ეპოქის სულისკვეთებას და მსოფლმხედველობას	მოსწავლე ამომწურავად აანალიზებს შერჩეულ ხელოვნების ნიმუშს და არგუმენტირებულად მსჯელობს როგორ შეესაბამება მასზე ასახული ადამიანის შინაგანი სამყარო კონკრეტული ეპოქის სულისკვეთებას და მსოფლმხედველობას

მოსწავლე აანალიზებს სხვადასხვა ეპოქის ნამუშევრებს და მსჯელობს, რა სახით აისახა ამ ნამუშევრებში შესაბამისი ეპოქის ღირებულებები და მსოფლმხედველობა. ს.გ. საბ. 3.4.	მოსწავლე ვერ აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს, ვერ იღებს მაქსიმალურ ინფორმაციას და ვერ მსჯელობს მის შესახებ	მოსწავლე ზოგადად საუბრობს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშის შესახებ, იღებს გარკვეულ მცირე ინფორმაციას და ზოგადად საუბრობს მის შესახებ	მოსწავლე ნაწილობრივ აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს, იღებს გარკვეულ ინფორმაციას და მსჯელობს მის შესახებ	მოსწავლე აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს, იღებს მაქსიმალურ ინფორმაციას და არგუმენტირებულად მსჯელობს მის შესახებ

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს. განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

- წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი;
- ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;
- კითხვარი;
- მასწავლებლის რეკომენდაცია;
- უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე

რჩევა: *მოსწავლის საჭიროებებსა და მიღწევებზე დაკვირვებისთვის გამოიყენეთ მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)*

მესამე თავი თემატური ბლოკის მატრიცა

თემა: ადამიანი, საზოგადოება და ხელოვნება

საათების სავარაუდო რაოდენობა: 15 სთ

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- ხელოვნების ნიმუშებიდან ვიღებთ მრავალფეროვან ინფორმაციას ცივილიზაციების, განსხვავებული კულტურის, მსოფლმხედველობითი, პოლიტიკური, რელიგიური მრწამსის, ზნეობრივი ღირებულებებისა თუ სხვადასხვა ეპოქის თავისებურებების შესახებ. ხელოვნების ნაწარმოები ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი სფეროს შესახებ გვაწვდის ინფორმაციას: შინაგანი სამყარო, ყოფა, ისტორიული ვითარება, პოლიტიკა და ა.შ.;

შინაარსის ჩარჩო: ხელოვნება – ინფორმაციის წყარო;
პროტესტი ხელოვნებაში;
ეკოლოგია;
კრეტა-მიკენის კულტურა
XVII-XVIII საუკუნეების ესპანური ხელოვნება
XVII საუკუნის ნიდერლანდების ხელოვნება
XIX საუკუნის საფრანგეთის ხელოვნება
XX-XXI საუკუნის ხელოვნება

- კაცობრიობის არსებობის მანძილზე ხელოვნება სხვადასხვა ფორმით რეაგირებდა სხვადასხვა მოვლენაზე და გამოხატავდა როგორც საზოგადოების დამოკიდებულებას, ასევე ხელოვნების სამოქალაქო პოზიციას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ

შინაარსის ჩარჩო: თანაგრძნობა
იდეალიზაცია
კრიტიკა
პროტესტი
მოწოდება

- ნებისმიერი ეპოქის ხელოვნების ნიმუში გვაწვდის ინფორმაციას ხელოვნების ენის ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების საშუალებით. იდეებისა თუ მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად შეირჩევა შესაბამისი ხერხები, მასალა, ტექნიკა და მხატვრული ფორმები ნამუშევრის შესაქმნელად

შინაარსის ჩარჩო: კომპოზიციის აგების სხვადასხვა პრინციპი (მაგ., ასიმეტრიული, დიაგონალური)
ფორმის დამუშავების პირობითი მანერა, დეფორმაცია
ფერის გრადაცია და კონტრასტული ფერი
განათება და შუქჩრდილი

დარგები/ჟანრები: არქიტექტურა
მხატვრობა (მონუმენტური და დაზგური ფერწერა)

გრაფიკა (ოფორტი, ლითოგრაფია, მონოტიპია) გამოყენებითი ხელოვნება (კერამიკა) პერფორმანსი, აქცია სიუჟეტური კომპოზიცია ისტორიული კომპოზიცია კარიკატურა პლაკატი			
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**საკითხები / ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**	**კომპლექსური დავალების ტიპები**
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გა-მომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** **(შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური, შტრიხი (გაკვ. 34, 44, 45, 47) • ფერი: ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი, განათება, შუქჩრდილი (გაკვ. 34, 37, 39, 44, • ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი, უტრირებული, ფაქტურა, ფონი (გაკვ. 34, 35, 37, 39, 40, 44, 45, 47, 48 **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება (გაკვ. 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 44, 45) • წონასწორობა (გაკვ. 41) • რიტმი (გაკვ. 37, 38) • ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 35, 37, 44, 47) • აქცენტი (გაკვ. 37, 42, 44, 45,) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 34, 35, 37) • პროპორცია (გაკვ. 35) • თანაფარდობა (გაკვ. 41) • კოლორიტი (გაკვ. 34, 37, 39, 44)	• რა სახის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ხელოვნების ნაწარმოებიდან? • როგორ და რომელი მხატვრულ-გა-მომსახველობითი საშუალებებით გვაწვდის ინფორმაციას ხელოვნების ნაწარმოები? • ადამიანის ცხოვრების რომელი სფეროს შესახებ შეიძლება მოგვაწოდოს ინფორმაცია ხელოვნების ნაწარმოებმა? • რის მიხედვით ირჩევს ხელოვანი მასალას, ტექნიკას და სახვით საშუალებებს თავის ნამუშევარში გარკვეული ინფორმაციის გადმოსაცემად • როგორ რეაგირებს ხელოვნება თანამედროვე თემებზე და შესაძლებელია თუ არა ნამუშევარში ხელოვანის პოზიციის ამოკითხვა	• **ესე** – მოსწავლის წიგნში მოცემული ნამუშევრებიდან მოსწავლემ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი და დაწეროს ესე, რომელშიც უნდა აღწეროს, რა სახის ინფორმაციას გვაწვდის ეს ნამუშევარი. გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი და კონკრეტული ნამუშევრისადმი; • **პრაქტიკული სამუშაო** – მოსწავლე ათვისებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, მრავალფეროვანი მასალისა და შერჩეული ტექნიკით ასახავს მნიშვნელოვან მოვლენას (ისტორიული, ბუნებრივი, პოლიტიკური) ნამუშევარში. იყენებს მრავალფეროვან ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გა-მომსახველობით ხერხებს ნამუშევრის თემის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4) • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** • ფერწერა (გაკვ. 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 44) • გრაფიკა (გაკვ. 35, 36, 37, 40, 44, 45, 46, 47, 48) • მონოტიპია (გაკვ. 46) • მოდელირება, კონსტრირება (გაკვ. 42, 43) • კოლაჟი (გაკვ. 36) **პრინციპები:** კომპოზიციური აგება, კომპოზიციის ასიმეტრიული წყობა, დიაგონალური აგება, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 34, 35, 37, 38, 39, 41). **დარგები:** ფერწერა (მონუმენტური — ფრესკა) (გაკვ. 34) ფერწერა (დაზგური) (გაკვ. 35, 37, 38, 41, 44) გრაფიკა (ბეჭდვითი) (გაკვ. 37, 44, 46, 47) გრაფიკა (დაზგური) (გაკვ. 36, 40, 45, 48) დეკორატიულ გამოყენებითი-ხელოვნება (გაკვ. 34) ქანდაკება (გაკვ. 44) არქიტექტურა (გაკვ. 34) პერფორმანსი, აქცია (გაკვ. 42, 43, 47) **ჟანრები:** ისტორიული (გაკვ. 35, 37, 38) ყოფითი (გაკვ. 44) პორტრეტი (გაკვ. 44) სიუჟეტური კომპოზიცია (გაკვ. 41) კარიკატურა (გაკვ. 44, 45) **ტექნიკა:** ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, ოფორტი (გაკვ. 37) ლითოგრაფია (გაკვ. 44) მონიტიპია (გაკვ. 46)		

• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**ეპოქა, მიმდინარეობა, სტილი:** კრეტა-მიკენის ხელოვნება (გაკვ. 34) რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი (გაკვ. 41, 44) XVI-XIX სს-ის ევროპული ხელოვნება (გაკვ. 35, 37, 38, 41, 44, 49) XX-XXI სს-ის ხელოვნება (გაკვ. 38, 39, 42)		

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
მოსწავლე აცნობიერებს, რომ ხელოვნების ნაწარმოების მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდის მაყურებელს. ანსხვავებს ერთმანეთისაგან მიღებულ ინფორმაციას და ამ მიზნით გამოყენებულ სახვით-გამომსახველობით საშუალებებს. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ადგენს მსგავსება-განსხვავებას სხვადასხვა ეპოქის ნამუშევრებს შორის და აყალიბებს დასკვნებს ეპოქების კონტექსტში.	მოსწავლე ვერ ადგენს მსგავსება-განსხვავებას სხვადასხვა ეპოქის ორ ნამუშევარს შორის შინაარსობრივი და გამომსახველობითი ხერხების საშუალებით. მისი მოსაზრებები და გაკეთებული დასკვნები არასწორია	მოსწავლე ძირითადად ვერ ადგენს მსგავსება-განსხვავების სხვადასხვა ეპოქის ორ ნამუშევარს შორის შინაარსობრივი და გამომსახველობითი ხერხების საშუალებით. მის მიერ გაკეთებული დასკვნები არ არის მკაფიო და სარწმუნო	მოსწავლე ნაწილობრივ ადგენს მსგავსება-განსხვავებას სხვადასხვა ეპოქის ორ ნამუშევარს შორის შინაარსობრივი და გამომსახველობითი ხერხების საშუალებით. მის მიერ გაკეთებული დასკვნები ნაწილობრივ სარწმუნოა და ეპოქის კონტექსტში არასრულყოფილადაა ჩასმული	შედარებითი ანალიზის საფუძველზე ადგენს მსგავსებას და განსხვავებას სხვადასხვა ეპოქის ორ ნამუშევარს შორის შინაარსობრივი და გამომსახველობითი ხერხების ანალიზის საშუალებით. კარგად ახერხებს დასკვნების განზოგადებას და ნამუშევრის ეპოქის კონტექსტში ჩასმას

მოსწავლე ფლობს მრავალფეროვან სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა და ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად ნამუშევარში	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, შესაბამისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად	მოსწავლე ფლობს გარკვეულ სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად	მოსწავლე ძირითადად ფლობს სახვით-გამომსახველობთ საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის და დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმედებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას

მოსწავლეს უვითარდება სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად; საგანთაშორისი კავშირები/ინტეგრირება: მსოფლიო ისტორიასთან, ლიტერატურასთან, გეოგრაფიასთან, ზუსტ მეცნიერებებთან (გეომეტრიასთან), ციფრულ ტექნოლოგიებთან
ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები • შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და განხორციელების უნარი • თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიების და პრაქტიკულ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი
შეფასება • ამ თავის ფარგლებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ტიპები, რომელიც ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები** • ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით.

მესამე თავის კომპლექსური დავალების მატრიცა

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები / ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1,2,3,4) • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს; • სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** **(შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად; • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2,3,4)** • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** • ხაზი: სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური, შტრიხი (გაკვ. 34, 44, 45, 47) • ფერი: ფერის გრადაცია, ლოკალური ფერი, განათება, შუქჩრდილი (გაკვ. 34, 37, 39, 44, • ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი, უტრირებული, ფაქტურა, ფონი (გაკვ. 34, 35, 37, 39, 40, 44, 45, 47, 48 **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** • კომპოზიციური განაწილება (გაკვ. 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 44, 45) • წონასწორობა (გაკვ. 41) • რიტმი (გაკვ. 37, 38) • ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 35, 37, 44, 47) • აქცენტი (გაკვ. 37, 42, 44, 45,) • სტატიკა-დინამიკა (გაკვ. 34, 35, 37) • პროპორცია (გაკვ. 35) • თანაფარდობა (გაკვ. 41) • კოლორიტი (გაკვ. 34, 37, 39, 44)	• რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო ხელოვნების ნიმუშებით? • შეიძლება თუ არა კომუნიკაცია ხელოვნების საშუალებით? • როგორ მოგვითხრობს ხელოვნება ამბავს? • მე როგორ შეიძლება მოვყვე ამბავი/ ისტორია მხატვრულ-გა-მომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით? • რა შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ხელოვნების საშუალებით? • როგორ შეიძლება გადმოვცეთ რაიმე მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშის საშუალებით?	• ესე – მოსწავლის წიგნში მოცემული ნამუშევრებიდან მოსწავლემ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი და დაწეროს ესე, რომელშიც უნდა აღწეროს, რა სახის ინფორმაციას გვაწვდის ეს ნამუშევარი. გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი და კონკრეტული ნამუშევრისადმი • პრაქტიკული სამუშაო – მოსწავლე ათვისებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, მრავალფეროვანი მასალისა და შერჩეული ტექნიკით ასახავს მნიშვნელოვან მოვლენას (ისტორიული, ბუნებრივი, პოლიტიკური) ნამუშევარში. იყენებს მრავალფეროვან ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახ-ველობით ხერხებს ნამუშევრის თემის და ამ მოვლენის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად.

• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება; • ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს; • თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი; • სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით. • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1,2,3,4)** • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; • ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** • ფერწერა (გაკვ. 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 44) • გრაფიკა (გაკვ. 35, 36, 37, 40, 44, 45, 46, 47, 48) • მონოტიპია (გაკვ. 46) • მოდელირება, კონსტრირება (გაკვ. 42, 43) • კოლაჟი (გაკვ. 36) **პრინციპები:** კომპოზიციური აგება, კომპოზიციის ასიმეტრიული წყობა, დიაგონალური აგება, ძირითადის გამოყოფა (გაკვ. 34, 35, 37, 38, 39, 41). **დარგები:** ფერწერა (მონუმენტური — ფრესკა) (გაკვ. 34) ფერწერა (დაზგური) (გაკვ. 35, 37, 38, 41, 44) გრაფიკა (ბეჭდვითი) (გაკვ. 37, 44, 46, 47) გრაფიკა (დაზგური) (გაკვ. 36, 40, 45, 48) დეკორატიულ გამოყენებითი-ხელოვნება (გაკვ. 34) ქანდაკება (გაკვ. 44) არქიტექტურა (გაკვ. 34) პერფორმანსი, აქცია (გაკვ. 42, 43, 47) **ჟანრები:** ისტორიული (გაკვ. 35, 37, 38) ყოფითი (გაკვ. 44) პორტრეტი (გაკვ. 44) სიუჟეტური კომპოზიცია (გაკვ. 41) კარიკატურა (გაკვ. 44, 45) **ტექნიკა:** ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, ოფორტი (გაკვ. 37) ლითოგრაფია (გაკვ. 44) მონიტიპია (გაკვ. 46)		

• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; • ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.	**ეპოქა, მიმდინარეობა, სტილი:** კრეტა-მიკენის ხელოვნება (გაკვ. 34) რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი (გაკვ. 41, 44) XVI-XIX სს-ის ევროპული ხელოვნება (გაკვ. 35, 37, 38, 41, 44, 49)		
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები): **1-ლი ეტაპი:** **კომპლექსური დავალების არსის გაცნობა** დაათვალიერეთ მოსწავლის წიგნში მოცემული სხვადასხვა ისტორიული მოვლენის ამსახველი ნამუშევრები, აირჩიეთ იქიდან ერთი და დაწერეთ მასზე ესე; ესეში გააანალიზეთ რა სახის ინფორმაციას გვაწვდის ეს ნამუშევარი კონკრეტული მოვლენის შესახებ და რა მხატვრული ხერხებით არის ასახული ეს ინფორმაცია. ახსენით, რატომ აირჩიეთ ეს ნამუშევარი. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მოსწავლემ უნდა აირჩიოს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მისთვის საინტერესო რომელიმე მოვლენა (მაგ., ისტორიული – ბერლინის კედლის დანგრევა, პოლიტიკური – ომი სირიაში, ბუნებრივი – მიწისძვრა თურქეთში, ეკოლოგიური – ტყეების გაჩეხა საქართველოში, ხანძარი ავსტრალიაში და ა.შ.) ან საკუთარ ქალაქში/სოფელში მომხდარი ღირსშესანიშნავი ფაქტი და ასახოს ის ნებისმიერი მხატვრული ხერხით და ტექნიკით (მაგ., შავ-თეთრი და ფერადი გრაფიკა, მონოტიპია, პლაკატი, ფერწერული და გრაფიკული ჩანახატი, სიმეტრიული და დიაგონალურად აგებული კომპოზიცია და სხვ.). მოსწავლე უნდა შეეცადოს, საკუთარი ნამუშევრით მაქსიმალურად მიაწოდოს მნახველს ინფორმაცია შერჩეული მოვლენის შესახებ, ნამუშევარში უნდა გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება მოვლენისადმი. **გასააზრებელი საკითხები და კითხვები:** რა მოეთხოვებათ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს იმისთვის, რომ თემატური ბლოკის ბოლოს მათ შეძლონ საკვანძო კითხვებზე პასუხის გაცემა? რა ეცოდინებათ და რას შეძლებენ მოსწავლეები თემატური ბლოკის ბოლოს? რა კონკრეტული ქმედებებით მიიღწევა დასახული მიზნები? რა ფორმით მოხდება კონკრეტული დავალების პრეზენტაცია?		

	კომპლექსური დავალების შესრულების დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მოსწავლე შეარჩევს რომელიმე მოვლენის ამსახველ ნამუშევარს, წერს ესეს და თავად ქმნის ნამუშევარს, სადაც იყენებს შესწავლილ ხერხებს, მასალას და ტექნიკას მთავარი იდეის, მოვლენის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების და ინფორმაციის გადმოსაცემად. სასურველია, მოსწავლემ დავალების შესრულებისას გამოიყენოს სხვა საგნებში (ქართული ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება) მიღებული ცოდნა. **მე-2 ეტაპი** **• პირველადი აღქმა-დაკვირვება** ხელოვნების ნაწარმოების გაცნობა დაკვირვება და მათი მეშვეობით მრავალგვარი ინფორმაციის მიღება (არქეოლოგიური მასალა, ძველი ცივილიზაციები, XVIII-XIX საუკუნეების ევროპული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება); **• ხედვის გაღრმავება** სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება სხვადასხვაგვარად ასახავს ისტორიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, მსოფლმხედველობით და ა.შ. მოვლენებს/ ფაქტებს და მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდის მაყურებელს. ამ ამოცანის გადასაჭრელად ხელოვანი მიზანმიმართულად იყენებს სხვადასხვაგვარ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს; **• განზოგადება** სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნაწარმოები, მხატვრულ გამომსახველობითი ხერხების მეშვეობით ასახავს ამა თუ იმ მოვლენას, ამჟღავნებს ხელოვანის და საზოგადოების დამოკიდებულებას აღნიშნული მოვლენის მიმართ. **• ტრანსფერი** განვლილი მასალის მეშვეობით შეძენილი თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შემოქმედებითად გამოყენება კომპლექსური დავალების შესრულებისას, რათა შექმნილმა ნამუშევარმა შემოქმედებითად ასახოს შერჩეული მოვლენა და გამოამჟღავნოს ავტორის დამოკიდებულება მის მიმართ. **ნაბიჯი 1** თემატური ბლოკის ფარგლებში კომპლექსური დავალების შესასრულებლად მოსწავლეები გაეცნობიან როგორ ხდება ინფორმაციის მიღება ხელოვნების ნაწარმოებიდან ეპოქის სხვადასხვა ასპექტის შესახებ თეორიული და ვიზუალური მასალის გაცნობის საფუძველზე.	

	კონკრეტული ნიმუშების ანალიზი, კომპარატივისტული (შედარებითი) ანალიზი, მსჯელობა, განსხვავებული მოსაზრებების განხილვა, დისკუსია, ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გაცემა და გარკვეული დასკვნების გამოტანა **ნაბიჯი 2** ინფორმაციის მოპოვება, სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშების საშუალებით: არქეოლოგიური მასალის საფუძველზე (გაკვ. 34), XVII-XX საუკუნეების მასალის საფუძველზე (გაკვ. 35, 37, 39, 44) სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ხელოვნების ნიმუშებისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, პრინციპები და ელემენტები **ნაბიჯი 3** როგორ ასახავდა ეპოქის ხელოვნება თანადროულ ყოფას, ცხოვრების წესს, დასამახსოვრებელ მოვლენებს (რიტუალები, გართობა, პოლიტიკური მოვლენები, კატასტროფები და სხვ.) მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვა ნამუშევარში, შესაბამისი ტექნიკის და სახვითი ხერხების შერჩევით (გაკვ. 35) ხელოვნების ნაწარმოებში ასახული ისტორიული ფაქტი, როგორც ინფორმაციის წყარო და პროტესტის ფორმა, ხელოვნების ნაწარმოებების ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი (გაკვ. 37, 38) ომის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ხელოვნების ნაწარმოებში, ხელოვნების ნაწარმოებების ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი – პლაკატი (გაკვ. 39-40) ხელოვნება ადამიანის და საზოგადოების მანკიერი მხარეების წინააღმდეგ, ხელოვნების ნაწარმოებების გამომსახველობითი ხერხების ანალიზი, შედარებითი ანალიზი (გაკვ. 41) პროტესტი თანამედროვე ხელოვნებაში, ახალი პრობლემები, ხელოვნების ახალი ფორმებით, ხელოვნების ნაწარმოებების ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი – პერფორმანსი (გაკვ. 42, 43) XIX საუკუნის ხელოვნება (მხატვრული მიმდინარეობები, რეალიზმი და კრიტიკული რეალიზმი) სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის წყარო, ხელოვნების ნაწარმოებების ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი – კარიკატურა (გაკვ. 44, 45) ხელოვნება ეკოლოგიის სამსახურში და პროტესტი ეკოლოგიური პრობლემების წინააღმდეგ (სახვითი საშუალებების და იდეის ურთიერთმიმართების ანალიზი და პრაქტიკული ნამუშევარი – პლაკატი) (გაკვ. 47, 48)	

ეტაპი 3

მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების წარდგენა კლასის წინაშე

მოსწავლემ უნდა ისაუბროს, თუ რა იდეის ხორცშესხმა იყო მისი მიზანი და რომელი სახვითი ხერხები და ტექნიკა შეარჩია ამისათვის; რომელ დარგს თუ ჟანრს მიეკუთვნება მისი ნამუშევარი. მოსწავლემ უნდა ახსნას, რატომ აირჩია თავისი ნამუშევრისათვის ესა თუ ის კომპოზიციური ხერხი, აგების პრინციპი და დაასაბუთოს, რომ ეს ხერხი მაქსიმალურად უწყობს ხელს მისი ჩანაფიქრის რეალიზებას. ასევე, უნდა ისაუბროს სხვა სახვით ხერხებზე: წერის მანერაზე, რიტმზე, გამოსახვის პირობით და რეალისტურ ხერხებზე. იმისათვის, რომ მოსწავლის საუბარი სახვით ხერხებზე არ იყოს მშრალი და უინტერესო აუდიტორიისათვის, მოსწავლემ მათი გაანალიზებისას აუცილებლად უნდა ისაუბროს ამ ხერხების საკუთარ ჩანაფიქრთან და ნამუშევრის შინაარსთან მიმართების შესახებ. არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი. მოსწავლემ უნდა მოუსმინოს თანაკლასელთა მოსაზრებებს ნამუშევრის თაობაზე და უპასუხოს მათ კითხვებს.

აქტივობები

- ვიზუალური მასალის გაცნობა
- აღწერა-ანალიზი
- შედარებითი ანალიზი
- ინტერაქტივი
- დისკუსია
- პრაქტიკული სამუშაო – ნამუშევრის შექმნა
- თეორიული ნაშრომი (ესე)
- თეორიული ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა
- კვლევა-ძიება

რესურსები

მოსწავლის წიგნი, ფორმატი, ელექტრონული რესურსი, კომპიუტერული პროგრამები, სახატავი მასალა, ფორმატები, ფურცლები, ფერადი ფურცლები, წებო, მაკრატელი, რვეული, ავტოკალამი

https://www.youtube.com/watch?v=QQnNwcKagHw&t=1s დომიეს სამართალი

http://tiny.cc/nzvupz რა არის პერფორმანსი?

http://tiny.cc/uyvupz მწვანე არქიტექტურა, ეკოლოგია)

http://tiny.cc/uqvupz გუსტავ კურბე, ონორე დომიე, პოლიტიკური კარიკატურა

http://tiny.cc/lpvupz როგორ ასახავს ხელოვნება თანამედროვე მოვლენებს

	http://tiny.cc/6svupz ხელოვანის დამოკიდებულება http://tiny.cc/ggvupz როგორ ამოვიკითხოთ ხელოვნების ნიმუშში ჩვენთვის საინტერესო აზრი, იდეა, საზრისი (იან ვერმეერი) http://tiny.cc/1vvupz პიერო დელა ფრანჩესკას «იმპერატორ კონსტანტინეს სიზმარი» (ლინკები გადამოწმებულია 1/6/2020)	

შეფასების კრიტერიუმები				
	1-2	3-5	6-8	9-10
მოსწავლე ფლობს ნამუშევარში ამბის, მოვლენის გადმოსაცემად და საკუთარი ჩანაფიქრის, დამოკიდებულების გამოსახატავად შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის და ტექნიკის შერჩევის და გამოყენების უნარს. ს.გ. საბ. 1,2.	ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება არ შეესაბამება მოსწავლის ჩანაფიქრს.	ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება ძირითადად არ შეესაბამება მოსწავლის ჩანაფიქრს.	ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება ნაწილობრივ შეესაბამება მოსწავლის ჩანაფიქრს.	ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება სრულ შესაბამისობაშია მოსწავლის ჩანაფიქრთან.
მოსწავლე აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და მსჯელობს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით. ს.გ. საბ. 3,4	მოსწავლე ვერ აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და ვერ საუბრობს მიღებული ინფორმაციის შესახებ.	მოსწავლის ნაწილობრივ აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და იღებს მწირ ინფორმაციას და არასათანადოდ მსჯელობს მის შესახებ.	მოსწავლე მეტწილად ზუსტად აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს, იღებს გარკვეულ ინფორმაციას და მსჯელობს მის შესახებ.	მოსწავლე ამომწურავად აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს, იღებს მაქსიმალურ ინფორმაციას და არგუმენტირებულად მსჯელობს მის შესახებ.

მოსწავლეს უვითარდება სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად; საგანთაშორისი კავშირები/ინტეგრირება: მსოფლიო ისტორიასთან, ლიტერატურასთან, გეოგრაფიასთან, ზუსტ მეცნიერებებთან (გეომეტრიასთან), ციფრულ ტექნოლოგიებთან

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები • შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და განხორციელების უნარი • თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიების და პრაქტიკულ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი
შეფასება • ამ თავის ფარგლებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ტიპები, რომელიც ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები**. • ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით.

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს. განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

- წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი;
- ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;
- კითხვარი;
- მასწავლებლის რეკომენდაცია;
- უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე

რჩევა: *მოსწავლის საჭიროებებსა და მიღწევებზე დაკვირვებისთვის გამოიყენეთ მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)*

5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა

გამოყენების მითითებები

VIII კლასის „ხელოვნების“ კომპლექტაცია წარმოდგენილია მოსწავლის წიგნითა და მასწავლებლის წიგნით. მოსწავლის წიგნში (სახელმძღვანელო) სრულადაა შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა თემა და უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

- ზოგადი ინფორმაცია VIII კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოს შესახებ (მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, კომპლექტაცია);
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი;
- მოსწავლის წიგნის თემატური ბლოკები და სასწავლო თემები და მათი შესაბამისობა სტანდარტთან (თემატური და კომპლექსური დავალებების მატრიცები);
- მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა, კომპლექტაციის შემადგენლობა, გამოყენების მითითებები;
- მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები;
- სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები;
- მოსწავლეზე (მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეზე) ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რასაც ეყრდნობა სახელმძღვანელო;
- ხელოვნების ნაწარმოების აღწერა-ანალიზის სქემები;
- საგანმანათლებლო რესურსები;
- მოსწავლის შეფასების პრინციპები;
- აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები;
- გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები
- პასუხები ინტერაქტივის შეკითხვებზე (პ.ი.კ.).
- მოსწავლის წიგნში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებები.

მასწავლებლისათვის ძალზე ხელსაყრელი მასალაა თავმოყრილი მასწავლებლის წიგნის მე-14 თავში. აქ მოცემულია პასუხები მოსწავლის წიგნში შეტანილ ინტერაქტივის ყველა კითხვაზე.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით მომზადებულია მდიდარი საილუსტრაციო მასალა ელექტრონული რესურსის სახით, რომელიც ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებ და ფბ-გვერდებზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი მასწავლებლის წიგნში შესაბამისი ნომრითაა აღნიშნული და დადასტურებულია სარჩევში.

მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებული კომენტარები

მასწავლებლის წიგნი, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სასწავლო თემებით და ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

1. მოსწავლის წიგნში მოცემული მასალა მასწავლებლის წიგნში გაწერილია თემატური ბლოკის მატრიცაში, რომელშიც მოცემულია:

- სასწავლო ბლოკის თემა
- საათების რაოდენობა
- თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
- სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
- საკითხები/ქვეცნებები
- საკვანძო შეკითხვები
- კომპლექსური დავალების ტიპები
- შეფასების კრიტერიუმები
- შეფასების რუბრიკები

2. კომპლექსური დავალებები გაწერილია კომპლექსური დავალების მატრიცაში, რომელშიც მოცემულია
   - ამ დავალების სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
   - საკითხები/ქვეცნებები
   - საკვანძო შეკითხვები
   - კომპლექსური დავალება
   - შეფასების კრიტერიუმები
   - შეფასების რუბრიკები

3. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სასწავლო თემის ფარგლებში, გაკვეთილების წარმართვისას გაითვალისწინოს მოსწავლის წინარე ცოდნა, რაც იმას გულისხმობს, რომ მან აუცილებლად უნდა მოამზადოს წინასწარ ის შეკითხვები, რომლითაც გამოვლინდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული უკვე განვლილი მასალის ცოდნა და ასევე წინა პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევები. სწორედ ამ ბაზისზე უნდა მოხდეს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.
4. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო თემის ფარგლებში, ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა მოაწესრიგონ სამუშაო ადგილი, რათა სასწავლო პროცესი სუფთა გარემოში გაგრძელდეს. მოსწავლეებმა სამუშაო ადგილი – მერხები, კლასი – ყოველ ჯერზე უნდა დაასუფთაონ. მასწავლებელმა ამ ჩვევის გამომუშავებაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს და საჭიროებისამებრ, შეახსენოს მოსწავლეებს ამ მოვალეობის შესახებ.
5. მასწავლებელი უნდა ეცადოს, აღზარდოს მოსწავლეებში საკუთარ და სხვის ნამუშევართან ფაქიზად და გულისყურით მოპყრობის კულტურა.
6. მასწავლებელს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს თითოეული სასწავლო თემის ხანგრძლივობა.

6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები

ბავშვის განვითარების თავისებურებები

კრიზისული ანუ ე.წ. გარდატეხის ასაკი განვითარების რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური თუ სოციალური განვითარება. როგორ გაივლის ამ პერიოდს ბავშვი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზეა დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

კრიზისული ანუ ე.წ. გარდატეხის ასაკი 4-5 წელი გრძელდება და სწრაფი ფიზიკური ზრდითა და ფიზიოლოგიური ცვლილებებით ხასიათდება. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება თავის ტვინის წინა, შუბლის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების და ქცევის კონტროლის პროცესებს. თავის ტვინის ამ ნაწილის განვითარება ხელს უწყობს დაგეგმვას, რისკების შეფასებას, იმპულსის კონტროლს.

ამ პერიოდში იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე: „ვინ ვარ?“ „როგორი ვარ?“; გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე. პარალელურად მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების აზრის წვდომას ცდილობენ.

შემეცნებითი უნარების განვითარება

11 წლიდან მოზარდის აზროვნება რადიკალურად იცვლება ლოგიკური ოპერაციების განვითარებით. ამ ასაკის ბავშვს უკვე თავისუფლად შეუძლია განზოგადება, ლოგიკური მსჯელობა და დასკვნების გამოტანა და უფრო აქტიურად ვითარდება მკვეთრი წარმოსახვის უნარი. ამასთან ერთად, მოზარდის აზროვნება არათანმიმდევრულია მისი მოჭარბებული ემოციური რეაქტიულობისა და იმპულსურობის გამო. გარდატეხის ასაკის მოზარდებს მოსწონთ კამათი – ეს უფროსებთან მათი ურთიერთობის წამყვანი სტილია, რადგან ხაზს უსვამს მათ დამოუკიდებლობას. ამის მიზეზია ის, რომ მოზარდის ლოგიკური უნარები სწრაფად ვითარდება და მეორე მხრივ იზრდება მისი სკეპტიციზმი, ავტორიტეტების შემოწმების და უარყოფის ტენდენცია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. საკუთარი თავის შესწავლის და გაგების მოთხოვნილება წამყვანი ხდება და ამიტომ მოზარდის აზროვნება ეგოცენტრულობას უბრუნდება. მოზარდის ეგოცენტრულობა, ანუ საკუთარ თავზე ფოკუსირება განსხვავდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეგოცენტრულობისაგან. გარდატეხის ასაკის ბავშვი საკმაოდ ბევრს ფიქრობს საკუთარი თავის შესახებ, საკუთარი თავითაა დაკავებული, იქნება ეს გარეგნობა, ურთიერთობები თუ სტატუსი. მოზარდს უკვე შეუძლია ლოგიკურად სიტუაციის ანალიზი, სხვადასხვა ვარიანტის განხილვა-შედარება და დასკვნების გაკეთება. მოზარდს იზიდავს მისთვის უცნობი, შეუმეცნებელი, მისთვის ახალი მოვლენები, ნივთები, ადამიანები.

გარდატეხის ასაკის შემეცნებითი უნარების დამახასიათებელი ნიშნები:

- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი;
- ალტერნატივების დანახვისა და გაგების უნარი;
- კამათის და დისკუსიის მოთხოვნილება;
- ძლიერი წარმოსახვა;
- ცნობისმოყვარეობა, უცნობის და ახლის გამოცდის და შემეცნების სურვილი;
- საკუთარი თავის შემეცნების სურვილი და ცხოვრების საზრისის ძიება: „ვინ ვარ, რატომ ვარ?“

ფსიქოემოციური განვითარება

მოზარდის ემოციური სფერო და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რადიკალურად იცვლება. მისი ქცევა წინააღმდეგობრივი, იმპულსური და რადიკალურია. თვითონ მოზარდისთვისაც დისკომფორტია ასეთი წინააღმდეგობრიობა თუ რადიკალურობა, უჭირს საკუთარი თავის გაგება, რაც ხშირად საკუთარი თავითა და გარშემო მყოფებით უკმაყოფილებას იწვევს. გარეგნობაზე შფოთვა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება მოზარდის ემოციური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შესაბამისად, ნებისმიერი, თუნდაც უწყინარი რეპლიკა მათი გარეგნობის შესახებ, ძალიან მძიმედ აღიქმება და განიცდება. თავისი ეგოცენტრულობის გამო, მოზარდი თვლის, რომ გარშემო მყოფები მას მიკროსკოპით კრიტიკულად აკვირდებიან, რის გამოც ხშირად თავს უხერხულად გრძნობს. სიმორცხვე და მოუქნელობა გარდატეხის ასაკის მოზარდისთვის ხშირი მახასიათებლებია, რომელთა დაფარვასაც ზოგჯერ არაადეკვატური გზით ცდილობს. ამ ასაკის ბავშვისთვის რთულია ემოციების მართვა, რის გამოც ხშირია სიბრაზისა და უხალისობის გამოვლინება.

გარდატეხის ასაკის ფსიქო-ემოციური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- უხერხულობის განცდა და სიმორცხვე;
- საკუთარი თავით და გარშემო მყოფებით უკმაყოფილება;
- გრძნობებისა და აზრების ამბივალენტობა;
- იმპულსურობა;
- უხალისობა და უგუნებობა;
- სწრაფი აგზნება და ემოციური აფეთქებები;
- სტრესი.

სოციალური განვითარება

11-12 წლამდე ბავშვისთვის მშობელი მნიშვნელოვან ავტორიტეტს წარმოადგენდა, უკვე გარდატეხის ასაკში მშობლების გავლენა მოზარდზე მცირდება, მისი თანატოლებისა თუ რომელიმე ჯგუფის გავლენა კი მნიშვნელოვნად იზრდება. მოზარდის მთავარი სოციალური ამოცანაა თავისი იდენტობის ძიება და აღმოჩენა.

გარდატეხის ასაკის სოციალური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- დამოუკიდებლობის სურვილი;
- თანატოლების მხრიდან აღიარების სურვილი;
- ჯგუფთან მიკუთვნების და აღიარების მოთხოვნილება;
- მშობლების ავტორიტეტის უგულებელყოფა;
- „მე“-ს იდენტობის ძიება: თვითშეფასებისა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების და რწმენების ჩამოყალიბება;
- ადამიანებთან ურთიერთობით ექსპერიმენტირება;
- ალტერნატიული როლების, იდენტობების მორგება, მათ შორის, ნეგატიურის და სარისკოსი;
- მნიშვნელოვანი ჯგუფის გავლენის ქვეშ ადვილად მოქცევის ტენდენცია.

მორალური განვითარება

კრიზისულ ასაკში, როდესაც ძლიერია დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, მოზარდისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთი ქმედებები, როგორებიცაა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და არჩევანის გაკეთება. მოზარდს აწუხებს კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვანაირად? მოზარდი ვერ იტანს ორმაგ სტანდარტებს, მისთვის კონკრეტული ქცევის ეთიკური შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მისი პიროვნების იდენტობის მდგრადობისა და განვითარებისთვის.

არსებობს უამრავი ფუნდამენტური გამოკვლევა ესთეტიკური აღზრდის დარგში, რომლებიც XX საუკუნის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებს ეყრდნობა. ასეთ ნაშრომებში ხაზი აქვს გასმული იმ მდგომარეობას, რომ კრიზისული ანუ „გარდატეხის“ ასაკის მოსწავლეების შემოქმედებითი უნარი მკვეთრად კლებულობს და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით სწავლების გეზი სწორად უნდა იქნეს არჩეული, რაც გულისხმობს იმას, რომ ესთეტიკური საგნების იგნორირება დაუშვებელია. რეკომენდებულია, გარდატეხის ასაკის ბავშვები აქტიურად დაკავდნენ ხელოვნებისა და სპორტის სახეობებით. სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, როგორც სასწავლო დისციპლინას, აქვს მძლავრი თერაპიული ეფექტი და მოსწავლეს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნერგავს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, ხოლო მიღებული შედეგი ამაღლებს მოზარდის მოტივაციას და ეხმარება კრიზისული ასაკის სირთულეების დაძლევაში.

7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე

თუ კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ – იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები), მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მასწავლებელმა არ უნდა მოაქციოს ყურადღების ცენტრში და არ გამოხატოს ზედმეტი ყურადღება თუ თანაგრძნობა მის მიმართ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ სხვა საგნების გაკვეთილებზე. მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა თუ მიღწევების გაუმჯობესებას. მიუხედავად მისი განსხვავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რისი გაკეთება მოეთხოვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე. საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ან კომბინირებული ადაპტირებული ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა თვალსაჩინო საშუალებებიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნას აცილებული, ერთი მხრივ, მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის არაეფექტიან დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა – რა შეუძლია, რა არ შეუძლია. შეფასებაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბავშვისთვის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება.

სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრავს იმ მოსწავლის ან მოსწავლეთა სიას, რომლებიც მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით სწავლას საჭიროებენ. სსსმ მოსწავლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე; გუნდში ერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს (სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი), აგრეთვე: მშობელი/მეურვე, ფსიქოლოგი, ექიმი და სხვა დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს ზედამხედველობას უწევს კლასის დამრიგებელი; მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები მოეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს; ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა; ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და ინახება მოსწავლის პირად საქმეში; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

8. სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციფიკურ, საგნობრივ კომპეტენციებს ავითარებს ამ საგნის შემადგენელი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ცოდნა და გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევები. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეს უვითარდება როგორც კონკრეტულად მხატვრული შემოქმედების სფეროს აღქმა/გაცნობიერების, ასევე, საკუთარი იდეების, ემოციების, განწყობილებების გადმოცემის, თვითრეალიზების კომპეტენციები, რომელთათვისაც აუცილებელია იგი ფლობდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად პრინციპებსა და ტექნოლოგიებს, იცნობდეს და იყენებდეს მის ხერხებს, ელემენტებსა და პროცედურებს. გამოსამუშავებელ უნარ-ჩვევათაგან უმნიშვნელოვანესია ის კომპეტენციები, რომლებიც ხელოვნების როლისა და დანიშნულების გააზრებას უწყობს ხელს ზოგადად მსოფლიო კულტურის კონტექსტში **(ანალიზისა და კრიტიკული ანალიზის უნარი)**, ასწავლის და აჩვევს მოსწავლეს, შემოქმედებითად მიუდგეს სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრას **(პრობლემის გადაჭრის უნარი)**, უვითარებს მას ნებისმიერ სფეროში საკუთარი იდეების და განცდების გამოხატვის და მათზე მსჯელობის ჩვევას **(თვითგამოხატვის და შემოქმედებითი აზროვნების უნარი)**, უღვივებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის სურვილს **(აქტიური სამოქალაქო პოზიციისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება),** უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, მისი გაცნობიერების, ინტერპრეტაციის ჩვევებს **(კვლევა-ძიების უნარი)**, ასწავლის თანამშრომლობითი სწავლის და მუშაობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის გზებს **(კომუნიკაციის უნარი),** აჩვევს იყოს ობიექტური და თვითკრიტიკული საქმიანობის ნებისმიერ სფეროში **(თვითშეფასებისა და სწავლის უნარი)**.

ამდენად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლა უვითარებს მოსწავლეს სპეციფიკურ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს: მშვენიერების განცდის განვითარება, წარმოსახვისა და ფანტაზიის გაღვივება, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარ-ჩვევა, ხელოვნების უნივერსალური ენის გაცნობიერების უნარი, რაც ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ერთ მთლიანობაში აღქმის საშუალებას აძლევს მას და უვითარებს ესთეტიკური აღქმის მყარ საფუძვლებს.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება, რაც გარდა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარისა, გულისხმობს ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარს იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;

მედიაწიგნიერება – ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მულტიმედიური ტექსტების (ანუ ისეთი ტექსტის, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს) აღქმა/გაცნობიერების უნარი. მოსწავლემ უნდა შეძლოს ამგვარი მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს მედიასამყაროში მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების საწინდარია;

ციფრული ანუ კომპიუტერული წიგნიერება, რაც მოსწავლეებში თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას განაპირობებს; ამდენად, სრულ შესაბამისობაშია საგნის დარგობრივ კომპეტენციებთან;

რაოდენობრივი წიგნიერება – რიცხვის არსის გააზრება, რიცხვებს შორის მიმართებების გაგება, რაოდენობათა შედარება მოსწავლეს მათემატიკის და სხვა საგნების შესწავლაში ეხმარება;

ეკოლოგიური წიგნიერება გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს და რადგან გარემო, მასზე დაკვირვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესასწავლად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ეკოლოგიურ წიგნიერებას განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლის პროცესში.

მრავალენობრივი კომპეტენცია ენების დაუფლების და გამოყენების უნარია, რომლის განვითარება ნებისმიერი საგნის ფარგლებშია შესაძლებელი.

სემიოტიკური კომპეტენცია ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანას გულისხმობს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სწორედ ეს კომპეტენციაა უმნიშვნელოვანესი დარგობრივ კომპეტენციათა მსგავსად, რადგან საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ინტერპრეტირება გაუკეთოს ვერბალურ ან არავერბალურ (სქემა, რუკა, მელოდია და სხვ.) ინფორმაციას და საკუთარი ნააზრევი ან შთაბეჭდილება ხელოვნების მეშვეობით გამოხატოს. მაგალითად, სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების უნარია, რომელსაც უპირატესად უვითარებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი. სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, რომელიც სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩენინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა. ხელოვნების სწავლების პროცესში განსხვავებული ესთეტიკის და შემოქმედებითი მიდგომების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლისათვის ამ კონპეტენციის განვითარებას. სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლეს, გააცნობიეროს მსოფლიო მოქალაქეობის ახალი განზომილება, რომელსაც გლობალური მოქალაქეობა ეწოდება, შეეხოს გლობალურ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგიური პრობლემები, ძალადობა და სხვა. მოსწავლეებმა უნდა წარმართონ დისკუსია, გაანალიზონ თუ რა შედეგები მოყვება ამა თუ იმ ქმედებას და იზრუნონ არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე.

თანასწორობა

სახელმძღვანელო ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა,რაც განაპირობებს საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხმარება მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებასა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას,რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემის გამოხატვას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები ეხმარება მოსწავლეს იმის

გაცნობიერებაში, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას სურს უსაფრთხოდ ცხოვრება, პატივისცემა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რომ თანასწორობა მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა და მის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული, პოლიტიკურად თუ ეკონომიურად ძლიერი ქვეყნის მშენებლობა.

ძალადობა/ჩაგვრა (ბულინგი)

ძალადობა, ბულინგი, ჩაგვრა — აქტუალური პრობლემაა მთელს მსოფლიოში. კვლევების თანახმად, ბულინგის შემთხვევები ხშირია საქართველოშიც. ბულინგი შესაძლებელია გამოვლენილი იყოს როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ვერბალური და ფიზიკური სახით. მნიშვნელოვნია — მყისიერი რეაგირება ბულინგის გამოვლენის ნებისმიერ ფორმაზე — როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების მხრიდან. აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელშიც განსაკუთრებული როლი ხელოვნებას — როგორც სასწავლო დისციპლინას ენიჭება. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხება ძალადობის, ჩაგვრის პრობლემას და აჩვენებს, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია. სხვადასხვა ეპოქის ხელოვანები მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებებით გამოხატავენ პროტესტს ძალადობის, ჩაგვრის წინააღმდეგ.

მოსწავლეებმა უნდა წარმართონ დისკუსიები საზოგადოებაში არსებულ ამ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ეს ძალადობის/ბულინგის პრევენციის ერთ-ერთი გზაა. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რა შედეგები მოაქვს ძალადობას და თავად სურდეთ ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ძალადობას და ჩაგვრას ადგილი არ ექნება.

9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც ეყრდნობა სახელმძღვანელო

„სტრატეგია 3, 2, 1“

ეს სტრატეგია გამოიყენება ფილმის ნახვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ტექსტის გაცნობის, პროექტის დასრულების შემდეგ. ეს მეთოდი აძლიერებს მოტივაციას, აყალიბებს აქტიურ მსმენელად და მკითხველად, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას. ეს მეთოდი სამი ეტაპისგან შედგება:

1. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტის წაკითხვას, ფილმის ნახვას ან თვალსაჩინოების დათვალიერებას;
2. მეორე ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ 3 საკითხი, რომლებმაც დააინტერესათ; აქედან ამოარჩიონ 2 საკითხი, რომლებზეც უნდათ, რომ მეტი გაიგონ და შეთანხმდნენ იმ ერთ საკითხზე, რომელზეც მომავალში იმსჯელებდნენ;
3. მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

„სტრატეგია: რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ“

მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ურიგებს მოსწავლეებს მცირე ზომის ფურცლებს და ავალებს მათ, რომ გააფორმონ იგი (დააწერონ თავიანთი სახელი და გვარი და ა. შ.), შემდეგ კი ერთი მომცრო აბზაცის მეშვეობით, მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა, წაკითხულმა ტექსტმა ან ნანახმა ფილმმა. რა დაამახსოვრდებათ მას შემდეგ, როცა საკლასო ოთახს დატოვებენ.

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა. შედარების დროს, ძირითადად, ორი ტიპის გრაფიკული სქემა გამოიყენება – „ვენის დიაგრამა“ და შედარების მატრიცა.

შედარება წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიკაციის პროცესს.

კლასიფიკაცია წარმოადგენს საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესს, რომელიც ეფუძნება მათ მახასიათებლებს. იგი გულისხმობს ელემენტების ჯგუფურად დაყოფას, მათ შორის, მსგავსების საფუძველზე. კლასიფიკაციის დროს მთავარია იმ წესების იდენტიფიკაცია, რომელიც კლასსა და კატეგორიაში კუთვნილებას განსაზღვრავს. კლასიფიკაციის სავარჯიშოებზე მუშაობისას მოსწავლეებმა მზა ელემენტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინფორმაციას იმ კატეგორიების (ჯგუფი, დარგი, ჟანრი, სტილი) შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებმა მოცემული ელემენტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. ასეთ სავარჯიშოში მთავარია, მოსწავლემ ზუსტად განსაზღვროს ელემენტის კატეგორია და გაიაზროს, თუ რატომ მიაკუთვნა ესა თუ ის ელემენტი ამა თუ იმ კატეგორიას.

შედარების პროცესი ეფექტიანია მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებმა ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება დაინახონ. ეს პროცესი შედეგიანი რომ იყოს, მასწავლებელმა კარგად მოფიქრებული სტრუქტურიზებული სავარჯიშო უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიუთითოს

ის მახასიათებლები, რის მიხედვითაც უნდა შეადარონ მოვლენები და ხელოვნების ნიმუშები. ასეთი სავარჯიშოები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაბამისი (საჭირო) დასკვნების გამოტანისკენ მიმართოს.

1. „ვენის დიაგრამა“ ეს მეთოდი შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა და ძალიან ეფექტიანია სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და მიმდინარეობის (ნიმუშების) ნამუშევრების შედარებისას. შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან. „ვენის დიაგრამა“ შემდეგნაირად უნდა შეივსოს: პირველ და მეორე ნაწილში განსხვავებული ნიშნები, ფაქტები, მოვლენები იწერება, მესამეში კი – მსგავსი.

შესაძლებელია სქემის განსხვავებულად შევსება. ცალ-ცალკე ივსება პირველი და მეორე ნაწილი, ხოლო ის, რაც ორივეში ერთნაირი აღმოჩნდება, გადადის მესამეში.



დიაგრამა 2. „ვენის დიაგრამა“

2. შედარების მატრიცა დეტალური მიდგომის დროს უფრო გამოიყენება, ვიდრე „ვენის დიაგრამა“. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის დროსაც, რადგან გარკვეული ელემენტების კლასიფიკაცია სწორედ მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციით იწყება. კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტების ჯგუფებად დაყოფას, მათ შორის, მსგავსების საფუძველზე. მაგ., მოსწავლეები იკვლევენ არქიტექტურულ ფორმებს – უძველესი ცივილიზაციებიდან თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებამდე (ჩათვლით) მათი შედარების საფუძველზე. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ხეოფსის პირამიდას და მინის პირამიდას პარიზში.

მახასიათებლები	შესადარებელი ნიმუშები			
	# 1	# 2	# 3	
1				მსგავსებები
				განსხვავებები
2				მსგავსებები
				განსხვავებები
3				მსგავსებები
				განსხვავებები
4				მსგავსებები
				განსხვავებები

„სტრატეგია: ვიცი – მინდა ვიცოდე – რა გავიგე“

თუკი მასწავლებლის მიზანია, მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქროს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, მასწავლებელი მოსწავლეს სტრუქტურას და საფეხურეობრივ მიდგომას სთავაზობს, ეს მეთოდი ყურადღების კონცენტრირებას უწყობს ხელს; ეხმარება მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში; ააქტიურებს მის წინა ცოდნას; ეხმარება მასალის მთლიანობაში გააზრებაში; უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას; უვითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევას; უჩვენებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში; მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით; უმაღლებს მოტივაციას.

მასწავლებელი ავალებს თითოეულ მოსწავლეს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობამდე შეავსოს პირველი და მეორე გრაფები, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ კი – მესამე.

ვიცი	მინდა ვიცოდე	რა გავიგე

დიდაქტიკური თამაშები და მოზარდის კოგნიტური და ასაკობრივი განვითარება

საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერულად დადასტურებულია, რომ თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს სიამოვნება. ბავშვისთვის თამაშის ძირითადი მოტივი აქტივობისაგან სიამოვნების მიღებაა. თამაშზე საუბრისას აუცილებელია, შევეხოთ მის ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ საფუძვლებს.

თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციურია, ანუ ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტიანი იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხშირად გამოიყენება სახალისო, შემეცნებითი სავარჯიშოები – დიდაქტიკური თამაშები.

დიდაქტიკური თამაშები მრავალფეროვანია. ეს თამაშები შეიძლება იყოს:

1. სახალისო;
2. სააზროვნო;
3. ლოგიკური;
4. განმავითარებელი;
5. შემეცნებითი;
6. სიმულაციური;
7. ინტელექტუალური.

დიდაქტიკური თამაშები, კოგნიტური განვითარების თეორიების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა:

1. ჯგუფი ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვის აზროვნება ლოგიკური ხდება, მაგრამ მაინც აღქმით არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი პრობლემას მხოლოდ საკუთარი მოლოდინის მიხედვით განიხილავს.	2. ჯგუფი ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვები აღარ უშვებენ შეცდომებს კლასიფიკაციის დროს, იმიტომ, რომ აზროვნება აღარ არის მხოლოდ აღქმით შემოფარგლული. დიდაქტიკური თამაშის გართულება იმით არის გამოწვეული, რომ ამ ასაკში (7-11 წ.) მოზარდის ცნობიერებაში ჩნდება მასის, მოცულობისა და წონის მუდმივობის ძირითადი ცნებები. მეორე მხრივ, ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ ბავშვები ხშირად წყვეტენ ამოცანებს რეალურ საგნებზე, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ ფორმალურ დონეზე – აზრობრივად, წარმოსახვით.

დიდაქტიკური თამაში „მებაღე“

„მებაღე“ მოსწავლემ უნდა დაასახელოს მისი საყვარელი 3, 4, 5 ხილის სახელი.

მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ხილს. ერთი და იმავეს გამეორება შეიძლება. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ სახელებს და დაფაზე „ბაღის პანორამა“ ჩნდება.

შემდეგ მასწავლებელი იწყებს სახალისო შეკითხვებით თამაშს. ის სვამს შეკითხვებს:

მარწყვი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

მოცხარი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

ბალი ბალახია? რომ მოწყვიტო, ბალახის ფოთლები უნდა გადასწიო და იქ იპოვი?

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სამსვეტიან ცხრილს და შიგ წერს: ხე, ბუჩქი, ბალახი. მოსწავლეები სახალისო კითხვა-პასუხის შედეგების მიხედვით ავსებენ ცხრილს, ანუ ხდება რანჟირება.

ხე	ბუჩქი	ბალახი
ვაშლი მსხალი ატამი კომში	მოცხარი ჟოლო მაყვალი	მარწყვი

დიდაქტიკური თამაში სწავლების ისეთი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო ამოცანის შენიღბვის მეშვეობით ბავშვი წინასწარი განზრახვის გარეშე დაეუფლოს ცოდნას.

მაგალითად, განვიხილოთ მკითხველთა თეატრი. ის ისეთი დიდაქტიკური თამაშია, რომელიც კითხვის დასახვეწად გამოიყენება – ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით ხომ მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატდებიან საუბარში, მეტი ინტერესი უჩნდებათ ლიტერატურისადმი.

საჭიროა მცირე ზომის ტექსტი, რომელიც 10-15 წუთში იკითხება და შედგება დიალოგებისაგან, რაც მოსწავლეებისთვის როლების განაწილების საშუალებას იძლევა.

მკითხველთა თეატრის მოსაწყობად უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

- კლასში ტექსტის წასაკითხად უნდა შეირჩნენ მოხალისეები;
- თითოეულ მკითხველს უნდა მიეცეს ასლი და მასწავლებელმა უნდა მოისმინოს მხატვრულად წაკითხული ვარიანტი;
- ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს ტექსტი კლასთან ერთად;
- მან უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი ჟესტებით, მიმიკებით, ინტონაციებით;
- მოსწავლეებმა ტექსტი თეატრალურად უნდა წაიკითხონ;
- მათ უნდა გაიმეორონ სცენები რამდენჯერმე, რათა მათი წაკითხული უფრო დრამატული და გამართული გახდეს.

გასაკვირი არაა, რომ ბავშვებს თამაში განსაკუთრებით უყვართ. ამ დროს ისინი ითავისებენ სასიცოცხლოდ აუცილებელ უნარებს და ჩვევებს, იმდიდრებენ სოციალურ წარმოდგენებს და ეცნობიან რთული და პრობლემური სიტუაციებიდან თავის დაღწევის გზებს. დიდაქტიკური თამაში სწავლების განსაკუთრებული საშუალებაა. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა და მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება ეფექტიანი იქნება იმ ტიპის გაკვეთილის წარმართვისას, სადაც მუშაობა ჯგუფური ფორმით მიმდინარეობს, ფუნქციები განაწილებულია.

დიფერენციაციის თეორია და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის

თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. ამისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტიანია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებისას. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების:

- შინაარსი;
- პროცესი;
- პროდუქტი.

სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება, შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:

- სასწავლო მასალების;
- სასწავლო რესურსების;
- სასწავლო გარემოს.

მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა;
2. სწავლის მოტივაცია;
3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ:

- მოსწავლის მზადყოფნას;
- ინტერესს;
- სწავლას.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომები სწავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება სასწავლო მიზნით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.

სწავლის მოდალობებია:

- სმენითი;
- ვიზუალური;
- კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ“ სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას. ამისთვის მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

ტომლინსონი გვთავაზობს ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა ადამიანის შესახებ სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ;
- ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად;
- მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ ტექსტი და არა სხვამ წაუკითხოს;
- ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს;
- უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება;
- ხშირად ამჟღავნებენ ემოციებს სახის გამომეტყველებით;
- უყვართ „ფაზლები“ და მსგავსი გასართობები.

უნდა გვახსოვდეს, რომ კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის „დანახვა“.

სმენით შემსწავლელები

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა, მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა – იქნება ეს ლექცია თუ დისკუსია, – მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალებაც.

სპრენჯერი წერს: „როდესაც ამ კატეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკისკენ მიდრეკილება აქვთ“.

ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს. მასწავლებლები, რომლებიც თითქმის მთლიანად სმენით სწავლებას ეყრდნობიან, შესაძლოა, პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ სხვა მოდალობების მოსწავლეებთან ექნებათ საქმე, განსაკუთრებით კი – კინესთეტიკურებთან.

მეცნიერები გვთავაზობენ სმენით შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- სმენით შემსწავლელები სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს;
- მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უწევთ ჯდომა;
- რეაგირებენ ფიზიკურ წახალისებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა;
- ურჩევნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი გრძნობენ საკლასო ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან ამ მახასიათებლის გავლენის ქვეშ; ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან; კარგი მეზღაპრეები არიან; წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

კინესთეტიკურად შემსწავლელები

სპრენჯერი ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. ეს მოძრაობა ხშირად გაიმეორეთ. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. სიმართლე რომ ვთქვათ, პედაგოგები,

რომლებიც ლექციური ტიპის გაკვეთილებს ანიჭებენ უპირატესობას, დიდ სირთულეებს წააწყდებიან კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლი მასალა მათთვის გასაგები იყოს.

მკვლევრები გვთავაზობენ კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- უკეთესად იმახსოვრებენ, როდესაც თავად ქმნიან. ეს ურჩევნიათ ნახვას ან მოსმენას;
- პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტიურობას საჭიროებს;
- არ უყვართ ისეთი პროცესი, რომელიც მხოლოდ ყურებას ითხოვს;
- უყვართ იმიტაციები, დრამატული ინსცენირებები და აქტივობები ღია ცის ქვეშ.

უნდა გვახსოვდეს, რომ მათ უყვართ მოდელები და ხშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის; თავიანთ ემოციებს გამოხატავენ „სხეულის ენით“.

მთავარია, სწავლებისას სხვადასხვაგვარ მეთოდიკას მივმართოთ – ისეთ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენის და მოძრაობის გამოყენებას სასწავლო აქტივობებში.

როგორც ცნობილია, ყველა შემომავალ მონაცემს გონება უმკლავდება პერცეპტუალური რეგისტრატორის ან რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის (RAS) მეშვეობით. ეს მძლავრი სისტემა სწრაფად წყვეტს, ღირს თუ არა მისთვის ყურადღების მიქცევა. თუ სენსორულ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია სწრაფად არ იქნა კოდირებული, იგი დაიკარგება. რის კოდირებას ახდენენ მოსწავლეები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აქცევენ ყურადღებას. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი;
2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო.

პირველი ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე სწავლობს ყველა მოდალობით, მაგრამ დომინანტური ერთ-ერთი მოდალობაა. მასალის მაქსიმალურ გააზრებას თითოეული მოსწავლე იმ აქტივობით მიაღწევს, რომლის მოდალობაც მისთვის დომინანტურია. ამიტომ ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.

მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატით სწავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით;
2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველი ფორმატის ეფექტურობას. ასაკობრივ განვითარებასთან ერთად შერეული მოდალობით სწავლების ხარისხი იზრდება, თუმცა დომინანტური მოდალობა ადამიანს

ბოლომდე უნარჩუნდება. შესაძლოა, გაკვეთილის დაგეგმვა დაეყრდნოს იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე ყველა მოდალობით სწავლობს, თუმცა თითოეული აქტივობის ფარგლებში გამოჩნდება, რომ ერთი მოდალობაა დომინანტური, ანუ დიფერენციაციის თეორია აქტივობების დონეზე რეალიზდება. მნიშვნელოვანია, დავსვათ შეკითხვა:

რა ხდება შემდეგ, ანუ რამდენად აქტუალურია დიფერენციაციის თეორია საკითხის ღრმა გააზრების, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების თვალსაზრისით; როგორ ახერხებს მოსწავლე ანალიზს, სინთეზს და შეფასებას – რამდენად დინამიკური და ტრანსფერულია შეძენილი ცოდნა? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიიღებენ და გადაამუშავებენ ინფორმაციას, ის გონების ფილტრებში გაივლის. სწორედ გონება გადაწყვეტს, თუ რა უნდა მოუხერხდეს ამ ინფორმაციას. აზროვნების პროცესი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეძლონ მასალის ღრმად გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება. ამისთვის კი მასწავლებელს სხვადასხვა როლის შესრულება უწევს: 1. ზოგიერთი მოსწავლისათვის ის კოლეგა ხდება აღმოჩენების პროცესში. 2. ზოგიერთი მოსწავლისათვის მასწავლებელი მწვრთნელის როლს ასრულებს. 3. არიან მოსწავლეები, რომლებისთვისაც ის წამქეზებლის როლს ასრულებს. 4. მასწავლებელი ვალდებულია, შინაარსის გამოტანაში დაეხმაროს ზოგიერთ მოსწავლეს. მასწავლებლის სხვადასხვა როლი სასწავლო პროცესისადმი დიფერენცირებული მიდგომიდან გამომდინარეობს, რადგან დიფერენციაციის თეორია აღიარებს მოსწავლეებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს და თითოეული მოსწავლის უნიკალურობას.

10. საგანმანათლებლო რესურსები

საგანგებოდ ამ სახელმძღვანელოსათვის მომზადებულია საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი, და შერჩეულია ვიდეომასალა ხელოვნების შესახებ (ლინკები).

ეს რესურსები ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მასწავლებლისათვის.

მასწავლებელს შეეძლება თითოეული გაკვეთილისათვის დამატებითი საილუსტრაციო მასალის გამოყენება საგანგებოდ VIII კლასის სახელმძღვანელოსათვის შექმნილი ელექტრონული რესურსიდან (მიზანმიმართულად შერჩეული ელექტრონული რესურსი, რომელიც აიტვირთება გამომცემლობის ვებგვერდზე). გარდა ამისა, ვებგვერდზევე იქნება მითითებული ვიდეომასალის ლინკები. ელექტრონულ რესურსში წარმოდგენილია სახელმძღვანელოში განხილული თითოეული თემის საილუსტრაციო მასალა (ეპოქა, კულტურა, მხატვრული ტექნიკა, შემოქმედი, ნაწარმოები და სხვ.). ამ მასალების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების მიზნის წარმატებით განხორციელებას და შედეგების ეფექტიან მიღწევას.

11. მოსწავლის შეფასების პრინციპები

შეფასების სისტემა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო თემების ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი/შემაჯამებელი შეფასების ტიპები, ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები**. მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატურად და ხელს უწყობს მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ შეფასება თანაბარ პირობებში უნდა აყენებდეს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს. ხელოვნების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული: შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარება, წერითი და ზეპირი აქტივობები, არგუმენტირებული მსჯელობა, პროექტში მონაწილეობა, გამოფენის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, მასალის მოგროვება და სისტემატიზება, კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლის პოტენციის განვითარებას და მის წინსვლას ანუ ამ შემთხვევაში ფასდება სწავლის პროცესის დინამიკა. განმავითარებელი შეფასების ფორმები და საშუალებებია: მასწავლებლის კომენტარი, თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით		
	განმსაზღვრელი	განმავითარებელი
მიმდინარე	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩარ-თულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ნიშანი იწერება.	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვე-თილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.
შემაჯამებელი	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვ.

სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

მოსწავლის ნიშანი უნდა გამომდინარეობდეს მის მიერ საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტისგან. მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტს შეფასებისას თანაბარი წონა აქვს.

შეფასების კომპონენტები

საკლასო დავალება

1. პრაქტიკული სამუშაო, რომელიც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:
   - სახვითი და გამოყენებითი ელემენტების და პრინციპების, ტექნიკის და მასალის ფლობა;
   - შემოქმედებითი მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღება;
   - ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალა/აღჭურვილობა, სისტემურობა);
   - ჯგუფური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა.

2. საკუთარი და სხვისი ნამუშევრის განხილვაში მონაწილეობა.

3. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი/განხილვა, რაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:
   - განხილვაში აქტიური მონაწილეობა;
   - აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
   - სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

4. საკუთარი და სხვების ნამუშევრების წარდგენა, რაც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
   - სათქმელის ნათლად გადმოცემა; კონტაქტი აუდიტორიასთან;
   - თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
   - კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა;
   - საშინაო დავალება;
   - პრაქტიკული სამუშაო;
   - ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება;
   - რეფერატი, ესე, შემაჯამებელი დავალებები;
   - მასშტაბური პრაქტიკული ნამუშევარი;
   - გამოფენა;
   - ტესტირება/კროსვორდი;
   - მოხსენება/რეფერატი (მხატვრული ნაწარმოების, შემოქმედის, ეპოქის შესახებ).

სასწავლო თემების ფარგლებში რეკომენდებულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება:

- პრაქტიკული სამუშაოს შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- ნამუშევრის აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების ნიმუში;
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- მოსწავლის პროგრესზე დაკვირვების სქემის ნიმუში;
- შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკების ნიმუში:
- მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუში.

განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის

განვითარების ხელშეწყობა, სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება, პროგრესის მონიტორინგი და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. განმავითარებელი კომენტარები/რჩევები, ხელს უწყობს მოსწავლეს, ხარვეზის/სუსტი მხარეების დანახვასა და უკეთესი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ხარვეზის/ნაკლოვანების აღმოჩენის დროს მოსწავლე იმედოვნებს, რომ მასწავლებელი მიუთითებს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება უკეთესი შედეგის მისაღწევად, არ ფერხდება და არ უქრება სწავლის მოტივაცია. ახალი ცოდნის ათვისების პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე ერთად ცდილობენ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა, შემაფერხებელ როლს თამაშობდეს და განსაზღვრავენ მათი გადალახვის ტაქტიკას. ამასთან, მოსწავლეს უყალიბდება თვითშეფასების უნარი, იზრდება მისი შეგნება და პასუხისმგებლობა. განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს.

განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა შეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებს და მოსწავლის მიღწევებს დინამიკაში აფასებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, სიტუაციებზე კომენტირების პროცესია. იგი ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე.

წერილობითი უკუკავშირი

წერილობითი უკუკავშირი გამოიყენება საშინაო დავალების, საკლასო სამუშაოსა თუ პორტფოლიოს შეფასებისთვის. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჯერ აღნიშნავს ნამუშევრის ძლიერ მხარეს. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში – მისი გამოსწორების რეკომენდაციებს გასცემს. რეკომენდაციების მიწოდებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეხსენება და თანმიმდევრული დახმარება. თანმიმდევრული დახმარება შეიძლება განხორციელდეს შეკითხვების დასმის, აღწერისა და მაგალითის/ნიმუშის შეთავაზების ფორმით.

შემაჯამებელი ბარათები

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პატარა ფურცლებს – „შემაჯამებელ ბარათებს“, სთხოვს, ანონიმურად უპასუხონ ერთ ან ორ შეკითხვას და დატოვონ მაგიდაზე. ბარათებს რომელიმე მოსწავლე აგროვებს.

კითხვები შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემულის მსგავსი ან სულაც თქვენ მიერ შერჩეული.

- დაწერეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დღეს პირველად გაიგეთ. რატომ არის ეს საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი?
- რა ვისწავლე დღეს?
- როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

შემაჯამებელი ბარათები გამოგადგებათ იმის გასარკვევად, თუ რა უჭირთ მოსწავლეებს, როგორ

წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზნებს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა აღნიშნეს ბარათებში. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში შეგაქვთ შემაჯამებელი ბარათები, პასუხები შესაძლოა განსხვავდებოდეს. ზოგჯერ მოსწავლეები შეიძლება ზერელედ მოეკიდონ ბარათების შევსებას, თუმცა, თუ მათ დაანახვებთ, რა შედეგი მოჰყვება პასუხების გაცემას, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება.

კითხვების დასმა

კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, თუმცა, საგულისხმოა ის, რომ ნებისმიერი კითხვა ვერ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას. თუ კითხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, მასწავლებელი ვერ იგებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა. მაგალითად, კითხვა – „რომელ წელს შეიქმნა რომელიმე კონკრეტული ნაწარმოები?“ – რადგან მხოლოდ მზა ცოდნაზეა ორიენტირებული, თუმცა, შემდეგი კითხვა – „რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული საზეიმო განწყობილების, სასიხარულო ემოციების გადმოსაცემად: ნათელი, მკვეთრი ფერები თუ პირქუში, მუქი ფერთა გამა?“ შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. როცა მოსწავლეებმა ფერის გამოყენების პრინციპები იციან, ასეთი კითხვა ნამდვილად დაგვანახვებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

აუხსენი შენზე უმცროსს/აუხსენი მეგობარს

მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს/მეგობარს ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითი/რეალური მეგობარი, მათ შორის, არსებული ასაკობრივი სხვაობის გამო, შესაძლოა, ბევრად უფრო ნაკლებ ცოდნას ფლობდეს. ამიტომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ შეძლონ მოცემული ცნების ახსნა ბევრად უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/გაიაზრეს საკითხი.

ურთიერთშეფასება

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთიერთშეფასება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია, სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ერთმანეთის პრაქტიკულ ნამუშევრებს. თავდაპირველად აღნიშნონ რა მოსწონთ თანატოლთა ნამუშევრებში და რატომ, ხოლო შემდეგ დაურთონ კორექტული კომენტარები, რომლებიც უნდა აღწერდეს არა მარტო იმას, თუ რა არის არასწორი, არამედ ნაშრომის გაუმჯობესების გზებსაც (ტექნიკა – ნამუშევრების გაცვლა/შეფასება; ურთიერთგამოკითხვა გეგმის მიხედვით; კომენტარების დართვა). ეს სტრატეგია მასწავლებელს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით. თანაკლასელების შეფასება ეხმარება მოსწავლეებს, ურთიერთშეფასების პროცესში მოსწავლეები სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და ამით აანალიზებენ საკუთარ პროგრესსაც.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება

ეს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისთვის, რომ მოსწავლემ განივითაროს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი, საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1. ვასწავლოთ მოსწავლეს საკუთარი სწავლის მოტივის გაცნობიერება. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი ტიპის შეკითხვების დასმით: რატომ უნდა ვიცოდე? რატომ უნდა შემეძლოს?

რაში შემეშლება ხელი, თუ არ მეცოდინება?

2. საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა: რა ნაბიჯები უნდა გადავდგა დავალების შესასრულებლად? რა რესურსები დამჭირდება ამისთვის (რა უნდა მოვიმზადო დავალების შესასრულებლად? რა სირთულეები შეიძლება შემხვდეს? როგორ უნდა დავძლიო? რა/ვინ დამეხმარება ამაში?
3. შედეგის ანალიზი – უნდა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: შეესაბამება თუ არა სამუშაო დასახულ მიზანს? როგორ შემიძლია შევამოწმო შედეგი? რატომ დავუშვი შეცდომები? შემიძლია აღვნიშნო, რატომ დავუშვი ისინი?

ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარები. გთავაზობთ კითხვარის გამოყენების კონკრეტულ ნიმუშს: მასალის ახსნის, განმტკიცებისთვის.

სავარჯიშოების შესრულების შემდეგ კლასს ვყოფთ ოთხ ჯგუფად. მათ უნდა შეავსონ შემდეგი ტიპის კითხვარი:

- რა ვისწავლეთ დღეს ახალი?
- რომელი ინფორმაცია იყო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო?
- რა იყო რთული?
- რა გვიშლიდა ხელს მუშაობაში?
- რაში გამოგვადგება მიღებული ცოდნა?

თითოეული მოსწავლე ჯგუფის შიგნით მხოლოდ ერთ კითხვას სცემს პასუხს, ამის შემდეგ ჯგუფდებიან ბავშვები, რომელთაც ანალოგიურ კითხვაზე მოუხდათ პასუხის გაცემა. ხდება პასუხების განზოგადება და წარდგენა ჯგუფის წინაშე.

შემაჯამებელი შეფასება

განვლილი მასალის შეჯერება-შეფასება მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და ინსტრუმენტებით ხორციელდება. სახელმძღვანელოში შემაჯამებელი დავალებები წარმოდგენილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული დავალებებისა და ტესტების სახით. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა და სწავლა/სწავლების ხარისხის მართვა მოსწავლის შეფასებით ხორციელდება. შეფასება უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი მეთოდით და დიდი ინტენსივობით, რაც მოსწავლის შესაძლებლობების შემდგომი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. შემაჯამებელ დავალებებს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა, დავალების ტიპის გათვალისწინებით ანუ თეორიული და პრაქტიკული ნაშრომის შეფასება.

შემაჯამებელი დავალებების შესრულება აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის. დადებითი ან უარყოფითი შემაჯამებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სასურველია, მასწავლებელმა გააკეთოს წერილობითი კომენტარი, რაც, ერთ შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის საწინდარი გახდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოტივაციას აუმაღლებს მოსწავლეს.

შემაჯამებელი შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. შემაჯამებელმა დავალებამ უნდა შეაფასოს ის, რაც მოსწავლეებმა კონკრეტული თემის გავლის შედეგად ისწავლეს;
2. **შეფასების კრიტერიუმები** წინასწარ ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის;
3. **შეფასების კრიტერიუმები** უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს ინტერპრეტირების საშუალებას;
4. შეფასების რუბრიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომლის

ათვისებასაც ემსახურებოდა გავლილი თემა;

5. შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულები გადანაწილებული უნდა იყოს გონივრულად;
6. მრავალდონიანი შეფასების რუბრიკის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი რისკები და შესაძლო შედეგები.

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელმა:

ნაბიჯი 1. ხელოვნების მასწავლებელი, შემაჯამებელი დავალების ჩატარებამდე მოსწავლეებთან ერთად დეტალურად განიხილავს შეფასების რუბრიკას;

ნაბიჯი 2. მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად ეძლევათ იმ ტიპის დავალება, რომელიც შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების დროს იქნება გამოყენებული;

ნაბიჯი 3. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ თვითშეფასების ფორმებს და სთხოვს, დავალების შესრულების შემდეგ საკუთარი ნაშრომები თავად შეაფასონ.

ნაბიჯი 4. მასწავლებელი თავად აფასებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და საერთო შეცდომებსა და ტენდენციებს განიხილავს გაკვეთილზე.

ამგვარი სიღრმისეული განხილვის შემდეგ, მოსწავლეებისთვის ნათელი ხდება, როგორ შეასრულონ შემაჯამებელი დავალება, როგორ გამოიყენონ შეფასების ფორმები თვითშეფასებისათვის და როგორ გააუმჯობესონ საკუთარი მიღწევები.

შენიშვნა: მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები – ტესტები და მის მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები მასწავლებლის კომენტარით უნდა ინახებოდეს პორტფოლიოში.

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: ——————————————————————————

მოსწავლე: ——————————————————————————— *(VIII კლასის მოსწავლე)*

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	• შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? • ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? • ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? • ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	კარგი	საშუალო	საჭიროებს გაუმჯობესებას
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/ მიგნებები	• რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? • წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			

დავალების შესრულება	• დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/ პრობლემა? • თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	• ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

შენი ნამუშევარი თვითშეფასების რუბრიკა	
ორიგინალურია?	
საინტერესოა?	
რამდენად დეტალურია?	
შენი საკუთარი იდეაა?	
იდეის/დავალების შესაბამისია?	
შენი ნამუშევარი ფერადოვანია?	
დარწმუნებული ხარ, რომ ნამუშევარი დასრულებულია?	

მასწავლებლის რეფლექსია
როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?

თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება?
- რის საფუძველზე მივაღწიე ამას?
- რა სირთულეს წავაწყდი?
- რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს?
- რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე?
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე)
- რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება?
- მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ?
- მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკები

აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?	1-3	4-8	9-10
აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში? • ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა; • ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი? • რა მასალითაა ის შესრულებული? • როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)? • რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია? • აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომელსაც ხედავთ; • ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა.შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?	მოსწავლე არ პასუხობს პირობაში მოცემულ მითითებებს – არც ერთ კითხვაზე არ არის გაცემული ადეკვატური პასუხი	მოსწავლე პასუხობს პირობაში მოცემულ ზოგიერთ მითითებას, მისი პასუხი ნაწილობრივ სწორია – ზოგიერთ კითხვაზე გაცემულია ნაწილობრივ სწორი პასუხი უმრავლესობაზე გაცემულია სწორი პასუხი მოსწავლე პასუხობს უმეტეს მითითებას	მოსწავლე პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა – პასუხები გააზრებული და დამაჯერებელია, ყველა კითხვაზე გაცემულია სწორი პასუხი

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები? • როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწონასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს? • შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)? • როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი,) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე; • რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/გამოსახულებები? • რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი? • რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?	მოსწავლის პასუხები – მსჯელობა არ შეესაბამება სქემაში დასმულ საკითხებს	მოსწავლის პასუხებიდან ჩანს სქემაში დასმული საკითხების ნაწილობრივი ცოდნა და გააზრება. მოსწავლის მსჯელობიდან ჩანს, რომ აქვს შესაბამისი ცოდნა და ესმის სქემაში დასმული საკითხების არსი, თუმცა, მისი პასუხები ზოგადია	მოსწავლის პასუხები – მისი მსჯელობა დამაჯერებელია და ლოგიკური, ადეკვატური არგუმენტებითაა გამყარებული

ესეს შეფასების რუბრიკა

მოსწავლე	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული 0-2	ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებულ ი პრობლემატიკი ს ცოდნა 0-3	მსჯელობა დამაჯერებლა-დაა დასაბუ-თებული და არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით 0-3	ნაშრომში გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება, ცნებების გააზრება 0-2	ჯამი

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	სუსტი
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/ საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

დისკუსიის შეფასების კითხვარი

სახელები: _____ თარიღი: _____

სადისკუსიო თემა: _____

	დიახ	არა	ზოგჯერ	შენიშვნები
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა, გამოთქვამდა აზრს და ასაბუთებდა				
ჯგუფი მეგობრულად იყო განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ				
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია				
ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას				

შემუშავებული შეფასების რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, თავად აღნიშნოს, თუ რამდენად კარგად აქვს შესრულებული კონკრეტული დავალება

დავალება 1.	დავალება ძალიან კარგად შევასრულე	დავალება კარგად შევასრულე	ნაწილობრივ შევასრულე დავალება	მჭირდება დამატებითი მუშაობა
დაასახელეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები და დაასახელეთ მათი მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და მათი (ყველა) მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და დავასახელე მათი თითოეული მახასიათებელი	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები	ვერ დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

პრაქტიკული სამუშაო

მოსწავლის სახელი, გვარი _____

დავალების ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ, სანამ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას დავიწყებ, ჯერ სამოქმედო გეგმას ვადგენ (თანმიმდევრულად რას რის შემდეგ გავაკეთებ)	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
მუშაობის დაწყებამდე ვქმნი მოსამზადებელ ჩანახატს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვიცავ დროის ლიმიტს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვაწესრიგებ სამუშაო ადგილს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვინიშნავ რესურსების ნუსხას, რომელიც დამჭირდება შემდეგ გაკვეთილზე	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს

ხელოვნების ნაწარმოების აღწერის სქემა

აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?

- ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა;
- ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი?
- რა მასალითაა ის შესრულებული?
- როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)?
- რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია?
- აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომლებსაც ხედავთ;
- ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა.შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა

ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები?

- როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწონასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს?
- შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)?
- როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე;
- რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/გამოსახულებები?
- რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი?
- რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (დ. სტაინეკერის მიხედვით)

1. ცოდნა: აღწერე ნამუშევარი — რას/ვის ხედავ?
2. გაგება: შენი აზრით, რას ეხება ნამუშევარი?(შინაარსი)
3. გამოყენება: რომ შეგეძლოს, რა შეკითხვას დაუსვამდი ავტორს ამ სურათთან დაკავშირებით?
4. ანალიზი: შენი აზრით, რისი თქმა სურდა ავტორს ამ სურათით?
5. სინთეზი: რა საშუალებებით, რა ხერხებით შეძლებდი შენ ამ თემაზე ნამუშევრის შექმნას?
6. შეფასება: რას ფიქრობ სურათის შესახებ, უნდა ნახონ ადამიანებმა, რატომ?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (კ. რონალდსის მიხედვით)

1. **აღწერე** — ვის ხედავ სურათზე? რა საგნებს/ გამოსახულებებს ხედავ სურათზე? კიდევ რას ხედავ? რომელ სიტყვებს გამოიყენებდი ამ სურათზე საუბრისას? როგორ აუღწერდი სურათს იმ ადამიანს,რომელსაც ის არ უნახავს? როგორ აუღწერდი აქ გამოყენებულ ხაზებს? ფორმებს? ფერებს? როგორ აღწერდი ფიგურებს და გარემოს სურათზე?
2. **დააკავშირე** — რა საგნები/გამოსახულებები შეგიძლია იცნო ამ სურათზე? რომელი საგნები/ გამოსახულებებია შენთვის უცნობი? რით განსხვავდება ეს სურათი რეალური ცხოვრებისგან? რა გაინტერესებს ყველაზე მეტად ამ სურათთან დაკავშირებით
3. **გაანალიზე** — რომელი საგნები/გამოსახულებები გეჩვენება უფრო ახლოს?უფრო შორს? რა შეგიძლია თქვა ამ სურათის ფერებზე? რომელი ფერი აქვს ყველაზე მეტად გამოყენებული მხატვარს? რა შეგიძლია თქვა სურათზე გამოსახული ადამიანების/საგნების შესახებ? შენი აზრით, როგორ შექმნა მხატვარმა ეს ნამუშევარი? რა შეკითხვებს დაუსვამდი ამ ნამუშევრის ავტორს, აქ რომ იყოს? ამ სურათის რომელი ფრაგმენტი მიგაჩნია უფრო მნიშვნელოვნად?
4. **ახსენი** — რომ წარმოიდგინო, რომ სურათი ხმას უშვებს,როგორ ხმას გამოუშვებდა იგი? წარმოიდგინე, რომ სურათში მოხვდი, რას გრძნობ? შენი აზრით, როგორი იქნებოდა იმ დროს/ გარემოში რომ გეცხოვრა, როგორც ამ სურათზეა ასახული?
5. **შეაფასე** — შენი აზრით რა არის მნიშვნელოვანი სურათში? როგორ გგონია, ეს ამ მხატვრის საუკეთესო ნამუშევარია? რატომ გგონია ასე? შენი აზრით, რატომ უნდა მოვიდნენ ადამიანები მის სანახავად?

12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

1. მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შესატყვისი გარემოს შექმნა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების მოფიქრება და მომზადება.

რესურსები შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საჭიროება
- ხელმისაწვდომობა
- შენახვის უზრუნველყოფა
- დახმარება

რესურსის შექმნამდე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს:

- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე სწავლას (სწავლა კეთებით);
- შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ხელს ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას;

საგანმანათლებლო რესურსები სხვადასხვა გზით შეიძლება შეიქმნას:

- ხელმისაწვდომი და სკოლაში არსებული რესურსების მოძიება და გამოყენება;
- საგანმანათლებლო რესურსები შესაძლებელია, თავად მასწავლებელმა შექმნას. რესურსების შექმნისას შესაძლებელი და სასურველია თანამშრომლობა სასწავლო რესურსების გაცვლის გზით როგორც სხვა საგნების პედაგოგებთან ერთი სკოლის ფარგლებში, ასევე, სხვა სკოლებთანაც.
- რესურსი, ასევე, შეიძლება შეიქმნას მოსწავლეების მიერ და ეს იქცეს სასწავლო პროცესის ნაწილად. მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო რესურსების შექმნის საქმეში სხვადასხვაგვარად შეიძლება.

რეკომენდაცია: შეიძლება, მასწავლებელმა დაავალოს მოსწავლეებს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული ბუნებრივი მასალის შეგროვება.

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს, შექმნას საკუთარი პორტფოლიო, რომელშიც შევა მის მიერ შესრულებული ყველა პრაქტიკული დავალება და საშინაო დავალებები.

2. მასწავლებლის მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაო

მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს თითოეული გაკვეთილის სწავლების შედეგი, ჩამოაყალიბოს სამიზნე ცნებები და დაუკავშიროს ისინი მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებელმა ასევე მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რომელ გრძელვადიან მიზნებს უნდა მიაღწიოს სწავლების პროცესში.

სამიზნე ცნებების დასაუფლებლად, სწავლის შედეგის უზრუნველსაყოფად და სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, ყოველ კონკრეტულ გაკვეთილზე შესასწავლი საკითხები და ქვეცნებები. ამის მიხედვით მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს რესურსები, დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს აქტივობებისათვის საჭირო დრო.

3. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს და აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს და უსახავს კონკრეტულ ამოცანას.

4. ძირითადი და დამხმარე სასწავლო მასალა

საკითხის დასმისა და ამოცანის განსაზღვრის შემდგომ მასწავლებელი გადადის კონკრეტულ მასალაზე. შესაძლებელია, გაკვეთილი პირდაპირ აქტივობით დაიწყოს. ამ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსახილველი თემის შესაბამის ილუსტრაციასაც. მისი გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს ინტერაქტივის კითხვებს, რითიც უბიძგებს მოსწავლეებს გამოთქვან სურათიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება, აღწერონ სურათი, გააანალიზონ იგი, იმსჯელონ და საკუთარი აზრი გამოთქვან მის შესახებ. დამხმარე სასწავლო მასალად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ელ. რესურსში მოცემული სხვადასხვა სახის მასალა.

5. დამოუკიდებელი სამუშაო

თითქმის ყველა თემა შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, წყვილებში ან ჯგუფურად ასრულებს გაკვეთილის მსვლელობისას; დამოუკიდებელი სამუშაო სრულდება სახატავ რვეულში ან ფორმატზე.

ამის შედეგად მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეამოწმოს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა და როგორ გამოიყენეს ეს ცოდნა პრაქტიკულად. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი თანაბარი ვერ იქნება, მაგრამ თუ მოსწავლე ახერხებს გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის რაიმე სახით დემონსტრირებას, თუნდაც სიტყვიერი კომენტარით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია.

6. სავარჯიშოები

ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის მსვლელობისას დასვას და ამით გააააქტიუროს მოსწავლეები და შეამოწმოს ახალი მასალის ათვისების ხარისხი.

7. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაო

ყოველ თემატურ ბლოკს აგვირგვინებს შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელზეც სრულდება კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალება შესაძლოა, იყოს თემატური ბლოკის იმ მონაკვეთში, სადაც მთავრდება მუშაობა კონკრეტულ თემებზე.

კომპლექსური დავალება შესაძლებელია იყოს ორი ტიპის: გაკვეთილი, რომელზეც სრულდება მხოლოდ პრაქტიკული დავალება, ან გაკვეთილი, რომელზეც მოსწავლე ასრულებს როგორც წერით ნაშრომს, ასევე პრაქტიკულ ნამუშევარს. მათი საშუალებით მოწმდება როგორც მასალის ათვისების, ასევე, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხარისხი.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და თითოეული გაკვეთილის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას.

13. მოსწავლის წიგნის სარჩევი

გარემო და ხელოვნება

1. უძველესი ქალაქები 6
2. რეკონსტრუქცია 10
3. სახლის მაკეტი 11
4. როგორ ასახავდნენ გარემოს ძველ ეგვიპტეში 12
5. ეგვიპტური ხელოვნების მოტივები . 16
6. კატაკომბების ხელოვნება 17
7. ვაკეთებთ ნიღაბს..... 22
8. როგორ აისახება გარემო შუა საუკუნეების ხელოვნებაში 24
9. როგორ შევინარჩუნოთ კულტურული გარემო 29
10. პეიზაჟი ჩინურ ხელოვნებაში..... 33
11. ვხატავთ ტუშით, მელნით, აკვარელით..... 38
12. აღმოსავლური ხელნაწერი წიგნი .. 39
13. აღმოსავლური ზღაპრის ილუსტრაცია 44
14. პანორამა..... 45
15. ჰაეროვანი პერსპექტივა..... 47
16. ფერადოვანი პერსპექტივა 50
17. განათება და ჩრდილი..... 53
18. საგნის ფორმა და ჩრდილი 57
19. კინო და მხატვრობა 58
20. „ვიღებთ“ კინოფილმს 62
21. გარემოს ასახვის ხერხები..... 63

ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო

22. ისტორიული ეპოქა და ადამიანი ... 66
23. „მარადიული საღებავები“ და „სიცარიელე“ 70
24. პორტრეტი — განსხვავებული ხედვა..... 73
25. ხელოვანის ამოცანა და სახვითი ხერხები..... 74
26. ფონი და ფიგურა 77
27. პორტრეტი ქართულ მხატვრობაში 78
28. რეალობისა და წარმოსახვის ზღვარზე 82
29. წარმოსახვა და ნამუშევარი 85
30. ადამიანი თანამედროვე ქართულ ქანდაკებაში 86
31. მცირე პლასტიკა 89
32. ძველი ნამუშევრის ახალი სიცოცხლე..... 90
33. ხელოვნების ნიმუში — შთაგონების წყარო 95

ადამიანი, საზოგადოება და ხელოვნება

34. არქეოლოგიური მონაპოვარი — ინფორმაციის წყარო..... 98
35. ხელოვნება — ინფორმაციის წყარო 102
36. „დედამიწის მოქალაქე“ 107
37. პროტესტი ხელოვნებაში..... 108
38. ისტორიული ფაქტი ხელოვნების ნაწარმოებში 113
39. პიკასო ომის წინააღმდეგ..... 114
40. ხელოვნება ძალადობის წინააღმდეგ 116
41. ხელოვნება და ადამიანის მანკიერებანი..... 117
42. პერფორმანსი..... 120
43. ჩვენი პერფორმანსი 125
44. კრიტიკული დამოკიდებულება ხელოვნებაში 126
45. კარიკატურა 131
46. მონოტიპია..... 132
47. ხელოვნება ბუნების გადასარჩენად..... 133
48. როგორ დავეხმაროთ დედამიწას 137
49. ღირსშესანიშნავი მოვლენა ხელოვნების ნაწარმოებში 138

პროექტი 1. შეხვედრა ხელოვანთან . 140
პროექტი 2. კომპიუტერული ტექნოლოგიები..... 141
პროექტი 3. კარნავალი..... 142

განმარტებები 143

14. პასუხი ინტერაქტივის კითხვებზე

პირველი თავი: გარემო და ხელოვნება

1. უძველესი ქალაქები

1. გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ, რომელ უძველეს ქალაქებს იცნობთ და სად მდებარეობდა ისინი.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მდებარეობდა უძველესი ქალაქები: ჩათალ-ჰუიუკი (თურქეთი), მოჰენჯო დარო (ინდოეთი), ალეპო (სირიის უძველესი ქალაქი), დამასკო (სირიის დედაქალაქი), სუზი (ძველი ელამის სახელმწიფოს დედაქალაქი, დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე), ელ-ფაიუმი (ეგვიპტე), თებე (ეგვიპტე), ათენი (საბერძნეთი), ბეირუთი (ლიბანის დედაქალაქი), მცხეთა (საქართველო)

2. როგორ აღწერდით იერიქონს ილუსტრაციაზე მოცემული რეკონსტრუქციის მიხედვით?

ამ რეკონსტრუქციის მიხედვით, ქალაქი გაშენებულია არც თუ მაღალ ბორცვზე. იერიქონის ამ რეკონსტრუქციაზე ვხედავთ, რომ ქალაქს გარს არტყავს ორი გალავანი; გარე გალავანი გამაგრებულია კედელში დატანებული მძლავრი კოშკებით. გარე და შიდა გალავნებს შორის მოქცეულ არეში ნაგებობებია განლაგებული. ქალაქს აღმოსავლეთის მხრიდან აქვს ერთადერთი შესასვლელი და აქ ორივე გალავანში მძლავრი კოშკებით ფლანკირებული კარიბჭეებია დატანებული.

3. რომელ ძველ ლეგენდას, ეპოსს ან ლიტერატურულ ნაწარმოებს დადგამდით ან ფილმად გადაიღებდით ამ გარემოში?

უძველესი ქალაქების გარემო იდეალურად შეესაბამება, მაგალითად, მაცხოვრის ცხოვრების ისტორიას. ასევე, ამ გარემოში შესაძლებელია გილგამეშის ეპოსის მიხედვით და, საერთოდ, ნებისმიერი ძველ ეპოქასთან დაკავშირებული ისტორიული სიუჟეტის ან ლეგენდის გადაღება.

4. თქვენი აზრით, რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა ფოტოზე მოცემულ გალავნის მრგვალ ნაწილს?

სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ქალაქის გალავანში დატანებული სათავდაცვო და სათვალთვალო დანიშნულების მრგვალი ფორმის კოშკი.

5. აღწერეთ შუა საუკუნეების მოზაიკა, რომელზეც იერიქონის აღებაა გამოსახული.

ადრექრისტიანული ხანის (432-440) მოზაიკაზე, რომელიც რომის სანტა მარია მაჯორეს ეკლესიას ამკობს, გამოსახულია ქალაქ იერიქონის ალყა და გამაყრუებელი ხმაურისაგან სათავდაცვო კოშკის კედლების ჩამონგრევა. ამ სცენაზე კარგად ჩანს იერიქონის განიერი და მძლავრი გალავანი, მასში დატანებული სათოფურებიანი სათვალთვალო კოშკები; ასევე, ვხედავთ იერიქონის დამცველთა და ისუ ნავეს ჯარისკაცთა ფიგურებს, მათ სამხედრო აღჭურვილობას - გრძელ შუბებსა და ფარებს. აღსანიშნავია, რომ ამ მოზაიკაზეც იერიქონის გალავანი ინგრევა გარეთ და არა შიგნით, როგორც ეს ჩვენთვის ლეგენდიდანაა ცნობილი.

6. წარმოიდგინეთ, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა თქვენზე ქუჩების გარეშე ნაშენი ქალაქი.

ქუჩების გარეშე, მჭიდროდ ნაგები ქალაქი ალბათ მეტად უჩვეულო შთაბეჭდილებას მოახდენდა დღვანდელ ადამიანზე და მას ამგვარი ქალაქის წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდა. თუმცა, სახლების ბრტყელ სახურავებზე მოძრაობა და გადაადგილება არ იქნებოდა რთული, მაგრამ ტერასულად განლაგებული ბანიანი სახლები მაინც ერთგვარად ლაბირინთთან გამოიწვევდა ასოციაციას.

7. დააკვირდით ჩათალ-ჰუიუკის საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციას. რა არის სახლის ქვეშ გამოსახული და რატომ?

ჩათალ-ჰუიუკის საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციიდან ნათლად ჩანს, რომ მიცვალებულებს სახლის ქვეშ კრძალავდნენ. ძველი რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ოჯახის წევრები გარდაცვალების შემდეგ მათ მფარველებად იქცეოდნენ და მათი დაკრძალვა სახლის ქვეშ გარკვეულწილად საკრალური აქტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, სახლის იატაკი და კერია ძველი ადამიანების რწმენა-წარმოდგენების თანახმად, განასახიერებდა მიწისქვეშა სამყაროს ანუ ქვესკნელს, სადაც მიცვალებულთა სულები ბინადრობდნენ და სწორედ ეს განაპირობებდა მათ დაკრძალვას სახლის იატაკის ქვეშ.

8. თქვენი აზრით, რა არის გამოსახული ჩათალ-ჰუიუკის ამ მოხატულობაზე?

ჩათალ-ჰუიუკის საცხოვრებლის კედელზე უძველესი ფრინველის და ადამიანის უთავო ფიგურის სქემატური გამოსახულებებია დატანილი. მოხატულობა, სავარაუდოდ ლეგენდის სიუჟეტს უნდა ასახავდეს.

9. აღწერეთ, როგორ არის გამოსახული ქალაქი ჩათალ-ჰუიუკის ერთ-ერთი სახლის კედელზე.

ჩათლ-ჰუიკის სახლის ერთ-ერთ კედელზე შემორჩენილია ქალაქის სქემატური გამოსახულება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ქალაქი ხედვის ზედა წერტილიდან არის დანახული ანუ მისი ზედხედია გამოსახული.

10. თქვენი აზრით, რისთვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ საკუჭნაოს ეს ორი დამოუკიდებელი უბე?

საკუჭნაოს ორი სათავსო, სავარაუდოდ, მოსავლის შესანახად გამოიყენებოდა. შესაძლოა, ამ ორ უბეში განსხვავებული ჯიშის მარცვლეულს ან სხვა სანოვაგეს ინახავდნენ.

3. როგორ ამკობდნენ ინტერიერს ძველ ეგვიპტეში

1. ჩამოთვალეთ ეგვიპტის ხელოვნების (არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნების) თქვენთვის ცნობილი ნიმუშები.

2. შეეცადეთ, მოკლედ დაახასიათოთ ისინი.

არქიტექტურის ძეგლები. გიზას პირამიდები და ლუქსორისა და კარნაკის ანსამბლები და სხვ. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია დიდი, გრანდიოზული ზომები, მონუმენტურობა და სიდიადე.

ქანდაკება. სფინქსი, მემნონის კოლოსები, ფარაონების ქანდაკებები, პორტრეტები. ეგვიპტური ქანდაკებისათვის, ისევე როგორც არქიტექტურისათვის, დამახასიათებელია დიდი ზომები, მონუმენტურობა, პორტრეტულობა. თვალების ინკრუსტირების წესი.

რელიეფი და ფერწერა. რელიეფითა და ფერწერით ამკობდნენ სამარხებისა და ტაძრების კედლებს. დამახასიათებელია ადამიანის გამოსახვის ხერხი სიბრტყეზე: თავი და ფეხები პროფილში, თვალი და ტორსი - ფასში.

3. აღწერეთ, რას საქმიანობენ ამ რელიეფზე გამოსახული ადამიანები.

ამ რელიეფზე გამოსახული ადამიანები მდინარეში თევზს იჭერენ. ნავის კიჩოზე წარმოდგენილ ჩამუხლული მამაკაცი მდინარეში ნასროლ ბადეს ექაჩება, რომ ნადავლი ნავზე ამოსწიოს. მეორე მამაკაცს კი, რომელიც ფეხზე დგას და რომლის ფრაგმენტს ვხედავთ ამ ილუსტრაციაზე, უკვე ამოუწევია ბადე, რომელშიც უამრავი თევზია მოქცეული. კომპოზიციის ქვედა ნაწილში კი ვხედავთ პირობითად, ზოლის სახით გამოსახულ მდინარეს, რომელშიც საკმაოდ დიდი ზომის თევზები დაცურავენ.

4. როგორი ფონია ამ რელიეფზე?

ამ რელიეფზე მოქმედება სრულიად სადა ფონზეა წარმოდგენილი.

5. როგორ არის ასახული გარემო ამ რელიეფზე?

ამ რელიეფზე გარემო ძალზე პირობითადაა ასახული. სადა განყენებული ფონი პრაქტიკულად

გამორიცხავს კონკრეტულ გარემოს. არც წყალი/მდინარეა გამოსახული, არც ნაპირები, მხოლოდ - თევზები და ნავი, ანუ ამ სცენაზე მინიმალურადაა გამოსახული გარემოს დეტალები.

6. იმსჯელეთ, რა ადგილი უჭირავს იეროგლიფებს (წარწერებს) ამ რელიეფზე.

ამ რელიეფზე და საერთოდ ეგვიპტურ ხელოვნებაში წარწერას ძალზე დიდი როლი აკისრია. მას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ამ კომპოზიციაში და სასურათო სიბრტყის უმეტეს ნაწილს მოიცავს.

7. რა როლს ასრულებს წარწერები ნამუშევრის მხატვრული სახის შექმნაში?

ეგვიპტური იეროგლიფები თითქოს პატარა ზომის ნახატებია, ამიტომაც იეროგლიფები და გამოსახულებები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. მოხატულობებში ჩართული იეროგლიფური ტექსტები ორგანულად უკავშირდება სცენებში მოცემულ გამოსახულებებს.

8. დააკვირდით ამ გვერდზე მოცემულ სცენებს. აღწერეთ რა საქმიანობას ეწევიან აქ წარმოდგენილი ადამიანები და როგორ არის აქ ასახული გარემო.

პირველ სცენაზე ასახულია ხვნა-თესვის პროცესი. გუთანში შებმულ ხარს კვალში მამაკაცი მიყვება, მის უკან კი ქალია გამოსახული, რომელსაც ხელში კალათი უჭირავს და ხორბლის მარცვლებს ხნულებში ყრის. მეორე სცენაზე წარმოდგენილია მოსავლის აღების პროცესი. მესამეზე კი რამდენიმე სცენაა გაერთიანებული. მარჯვნივ რთველია გამოსახული - ორი მამაკაცი ყურძენს კრეფს, მარცხნივ კი საწნახელში მდგომი რამდენიმე ფიგურა ყურძენს წურავს. ამ ორ სცენას შორის გამოსახული ჭაბუკი მაჭრის ნაკად ს აკვირდება, რომელიც მილიდან მოედინება.

მნახველი ამ სცენებით ინფორმაციას იღებს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ და რომელ იარაღებს იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში თიბვის ან მოსავლის აღების დროს. ზუსტად არის ნაჩვენები სამოსი, ვარცხნილობა და მრავალი სხვა საინტერესო დეტალი. ამ თვალსაზრისით, ეგვიპტური რელიეფები და კედლის მხატვრობა ერთგვარ მატიანეს წარმოადგენს. გარემო აქ პირობითად და სიბრტყობრივადაა გამოსახული.

9. თქვენი აზრით, რამდენად რეალისტურადაა წარმოდგენილი ამ სცენაზე მცენარეები, ფრინველები და ცხოველები?

ამ სცენაზე მცენარეები, ფრინველები და ცხოველები ბევრად უფრო ბუნებრივად და რეალისტურადაა წარმოდგენილი, ვიდრე ადამიანის ფიგურა. ფრინველებისა და ცხოველების მოძრაობა ბუნებრივია, მათი შეფერილობა კი - რეალური.

6. კატაკომბების ხელოვნება

1. რომელი ნამუშევარი ქმნის რეალური ბაღის შთაბეჭდილებას?

რეალური ბაღის შთაბეჭდილებას ქმნის პომპეის მხატვრობა, რადგან აქ უხვი მცენარეული საფარი ბუნებრივად არის ასახული; სხვადასხვა სახის მცენარეები ერთგვარ ხშირ ტევრს ქმნიან. ფრინველებიც ამ მცენარეების ტოტებზე სრულიად ბუნებრივად არიან წარმოდგენილი. კატაკომბების მხატვრობაზე კი განყენებულ სადა თეთრ ფონზე სრულიად პირობითად, გრაფიკული საკმაოდ სქელი ხაზითაა მონიშნული ერთგვარი სადგარი, რომელზეც ყვავილებიანი ლარნაკი დგას და ერთმანეთის პირირსპირ ორი ფრინველი ზის. მცენარეები კი თეთრ ფონზე ისეა გაფანტული, რომ უფრო დეკორის შთაბეჭდილებას ქმნის, ვიდრე რეალური ბაღისას.

2. როგორ აისახება გარემო თითოეულ ამ მოხატულობაზე და რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის ამ თვალსაზრისით?

პომპეის მოხატულობაზე გარემო შედარებით უფრო რეალისტურადაა ასახული, სხვადსხვა ფორმის, ზომისა და ფერის მცენარეები აქ ხშირ მცენარეულ საფარს ქმნის. ამ ნიმუშისაგან განსხვავებით, კატაკომბების მოხატულობაზე თეთრ ფონზე მეჩხრად გამოსახული ყვავილების ყლორტები გარკვეული ინტერვალებით სიმეტრიულადაა განლაგებული ცენტრში გამოსახული

ლარნაკის ორივე მხარეს ისე, რომ ისინი უფრო დეკორატიულ „შპალიერს“ წააგავს, ვიდრე ბუნების რეალურ ხედს.

3. რომელ ნამუშევარზეა უფრო მოწესრიგებული კომპოზიცია?

ცხადია, უფრო მოწესრიგებულია კატაკომბების კომპოზიცია, რომელსაც კომპოზიციური ცენტრი გააჩნია ლარნაკის სახით და მის ორივე მხარეს ჩიტებისა და მცენარეების გამოსახულებები სიმეტრიულ გაწონასწორებულ კომპოზიციას ქმნიან, ხოლო პომპეის მოხატულობის უხვი მცენარეული საფარი ძალზე თავისუფლად და ნებისმიერად, ყოველგვარი კომპოზიციური პრინციპის გარეშე ავსებს სასურათო სიბრტყეს.

4. აღწერეთ აქ წარმოდგენილი სცენა ადამისა და ევას გამოსახულებებით.

სცენა სიმეტრიის პრინციპზეა აგებული. თეთრ განყენებულ ფონზე ცენტში გამოსახულია ხე, ხოლო ხის ორსავ მხარეს ადამისა და ევას შიშველი ფიგურებია წარმოდგენილი. გარემო აქ ძალზე ძუნწადაა გადმოცემული. სამოთხის ბაღი აქ გამოსახული არაა, მხოლოდ ერთადერთი ხეა წარმოდგენილი, რომელიც ძალზე პირობითად, თავისუფალი, თითქოს დაუდევარი მონასმებითაა ასახული.

5. თქვენი აზრით, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ სცენაზე გამოსახულ ხეს?

როგორც ვხედავთ, ამ სცენაზე სამოთხის ბაღი გამოსახული არაა. სცენა ძალზე ლაკონიურია, რადგან სამოთხის ბაღიდან მხოლოდ ერთადერთი ხეა წარმოდგენილი. ეს კი ის ხეა, რომლის ნაყოფიც იგემეს ადამმა და ევამ. ამ ხის გამოსახვა აუცილებელი იყო, რადგან მას აზრობრივი და სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა თავად სიუჟეტის შინაარსის წარმოსაჩენად.

6. აღწერეთ ფოტოზე წარმოდგენილი კალისტოს კატაკომბების მოხატულობა.

კალისტოს კატაკომბების ეს სივრცე წარმოადგენს თეთრ განყენებულ ფონზე წითელი ხაზებით საკმაოდ მოზრდილ მონაკვეთებად დანაწევრებულ კედლებს, რომლებზეც თითოეულ მონაკვეთზე საკმაოდ დიდი ზომის თითო ფიგურა წარმოგვიდგება; ეს ფიგურები თეთრ ფონზე მკაფიოდ იკითხება. მათ გარშემო თეთრი ფონის საკმაოდ დიდი თავისუფალი არეები რჩება, რაც სიხალვათის და სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის.

7. თქვენი აზრით, რა პრინციპით არის აგებული მხატვრობა?

მოხატულობა ორგანიზებულია საკმაოდ სქელი, წითელი, გამოსახულებათა გამმიჯნავი ე.წ. რეგისტრის ხაზების საშუალებით, რის გამოც მთელ მხატვრობას ძალზე მკაფიო აგებულება/სტრუქტურა აქვს.

8. რას ფიქრობთ, რატომ იყენებდნენ კატაკომბების მხატვრობაში თეთრ ფონს?

თეთრ ფერს ქრისტიანულ ხელოვნებაში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. იოანეს სახარებაში მაცხოვარი თავად ამბობს „მე ვარ ნათელი სოფლისაი“; ასევე, ფერისცვალების დროს, მაცხოვარი თაბორის მთაზე უსპეტაკესი ნათლით იმოსება, რომელსაც სწორედ თეთრი ფერით წარმოადგენენ ფერისცვალების სცენის გამოსახვისას. ამგვარად, თეთრი მაცხოვრის მეტაფორად მოიაზრებოდა და სიმბოლურად განასახირებდა ღვთაებრივ ნათელს. გარდა ამისა, თეთრ კედლებს პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა, თეთრი კარგად ირეკლავდა სანთლისა თუ ჩირაღდნის შუქს და განათების ეფექტი ბევრად უმჯობესდებოდა კატაკომბების მიწისქვეშა ბნელ გარემოში.

9. გაიხსენეთ, როგორ ასახავდნენ ეგვიპტელები გარემოს ფრესკებზე და შეადარეთ კატაკომბების მხატრობის გარემოს ასახვის პრინციპებს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

ეგვიპტელები გარემოს პირობითად ასახავდნენ. ისინი იყენებდნენ განყენებულ სადა ფონს, თუმცა გარემოს ცალკეულ ელემენტებს (მაგ., მცენარეებს, წყალსატევებს, ფრინველებს, ცხოველებს, ჭურჭელს და სხვ.) გამოსახავდნენ იმის მიხედვით, რამდენად საჭირო იყო ისინი სიუჟეტის შინაარსის გადმოსაცემად. ეგვიპტური მხატვრობის ეს პრინციპი წააგავს კატაკომბების მხატვრობისას და ისიც პირობითობით გამოირჩევა; თუმცა, კატაკომბებში გარემოს ასახვა ბევრად უფრო ძუნწად ხდება; აქ

მინიმუმამდეა დაყვანილი გარემოს ამსახველი ცალკეული ელემენტები, თეთრი განყენებული ფონი მინიმალურადაა დატვირთული გარემოს ელემენტებით, მაშინ, როდესაც ეგვიპტურ რელიეფებსა და მოხატულობებზე განყენებულ ფონზე ეს ელემენტები საკმაო დიდი რაოდენობითაა ხოლმე წარმოდგენილი.

10. გაიხსენეთ სამი ყრმის ძველი აღთქმისეული ისტორია.

ძველ აღთქმაში, დანიელის წიგნში მოთხრობილია სამი ყრმის (ანანიას, აზარიას და მისაილის) სასწაულებრივი გადარჩენის ისტორია: ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მმართველობის დროს მაღალი თანამდებობის მქონე სამმა იუდეველმა მოხელემ უარი თქვა მიწაზე დამხობით თაყვანი ეცა მეფის ვეებერთელა ოქროს ქანდაკებისათვის. ამის გამო ისინი ცეცხლოვან ღუმელში „თავიანთი მოსასხამებით, შარვლებითა და ქუდებით“ ჩაყარეს , მაგრამ ,,არც თმა შეტრუსვიათ თავზე და არც მათ სამოსელს მოსვლიათ რამე“. უფალმა ,,მოავლინა ანგელოზი და იხსნა თავისი მსახურნი“. (დანიელი. 1:7).

11. აღწერეთ ამ ფიგურების პოზები. რა ეწოდება ამგვარ პოზას და რამდენად შეესატყვისება ის სიუჟეტის შინაარსს.

სამივე ფიგურა ფეხზე დგას, ხელები განზე აქვთ გაშლილი და ზემოთ აპყრობილი. ამგვარ პოზას ორანტა ეწოდება და ის ვედრების პოზას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ვედრების პოზა სრულიად გამართლებულია ამ შემთხვევაში; ბუნებრივია, რომ ცეცხლის ღუმელში ჩაყრილი მორწმუნეები ხელებაპყრობილი შესთხოვენ უფალს გადარჩენას და მათი სულების ხსნას.

7. ვაკეთებთ ნიღაბს

1. შეადარეთ პიკასოს მიერ შექმნილი ნამუშევარი აფრიკულ ნიღაბს. აღწერეთ და დაახასიათეთ ის სახვითი ხერხები, რომლებიც ამ ორ ნამუშევარზეა გამოყენებული.

ერთი შეხედვისთანავე ცხადი ხდება, რომ პიკასოს ნამუშევარი ძალზე წააგავს აფრიკულ ნიღაბს. აშკარაა, რომ პიკასო იცნობს აფრიკულ ნიღბებს და იყენებს მათ საკუთარი ნამუშევრის შექმნის დროს. ეს მსგავსება, უპირველეს ყოვლისა, თავად სახე-ხატში ვლინდება. სახის ნაკვთების ცალკეული დეტალები ძალზე მსგავსია: გრძელი და საკმაოდ დიდი ცხვირი, ქვემოთ დავიწროვებული, წაგრძელებული სახის ოვალი, საგანგებოდ გამოყოფილი თვალები, მაღალი და ამობურცული შუბლი. გარდა ამისა, აფრიკულ ნიღაბზე გამოსახვის პირობითი ხერხებია გამოყენებული და პიკასოც სწორედ ამგვარ პირობით ხერხებს იყენებს. სახე სიბრტყობრივია, თვალები და ცხვირი გრაფიკულად, საკმაოდ სქელი ხაზებითაა მონიშნული.

8. როგორ აისახება გარემო შუა საუკუნეების ხელოვნებაში

1. გაიხსენეთ რომელ ქართულ ტაძრებში ხართ ნამყოფი და აღწერეთ მათი ექსტერიერი.

აქ მოსწავლე აღწერს ნებისმიერ იმ ტაძარს, რომელიც მას პირადად აქვს ნანახი, აღწერს მის ფასადებს და მასზე დატანილ გამოსახულებებს. თუ მოსწავლეს უჭირს აღწერა, მასწავლებელმა ეს აღწერა შეკითხვების საშუალებით უნდა წარმართოს.

2. აღწერეთ სამთავისისა და მაღალაანთ ეკლესიის ფასადებზე გამოსახული ორნამენტები.

სამთავისის სარკმლის გარშემო განლაგებული ჩუქურთმა საკმაოდ დიდ მონაკვეთზეა გაშლილი და მცენარეული მოტივების ულამაზეს წნულს წარმოგვიდგენს, რომლის სახეები დინამიკურად გადაედინება ერთმანეთში.

მაღალაანთ ეკლესიის ფოტოზე გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული ორნამენტებისა და ასევე ლილვების, ბურთულებისა და ორნამენტული ბადით შემკული დეკორის ფრაგმენტია წარმოდგენილი. ორნამენტულ წნულში ერთმანეთის მონაცვლეობით გეომეტრიული ფორმები და მცენარეული მოტივებია ჩაწნული.

3. აღწერეთ მარტვილისა და ანანურის ტაძრების შემამკობელი რელიეფების გამოსახულებები. რას ფიქრობთ, რომელი ცხოველის და ფრინველის რეალური დეტალები გამოიყენა ოსტატმა მათი შექმნისას?

მარტვილის ტაძრის რელიეფზე გამოსახულია ვაზის დენად წნულებში ჩართული ფანტასტიკური ფრთოსანი ცხოველის - გრიფონისა და ადამიანის გამოსახულებები. აქ ფიგურები და მცენარეული მოტივი ერთმანეთს მისდევს და მთლიანად ავსებს დეკორისათვის განსაზღვრულ არეს. ხოლო, ანანურის ტაძრის რელიეფზე ჩვენ ვხედავთ ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებას.

მარტვილის გრიფონს ლომის თათები და სხეული აქვს, სახე მგლისას მიუგავს, ხოლო საკმაოდ მოზრდილი, ზემოთ აწეული ფრთები არწივის ფრთებს მოგავგონებს.

ანანურის ცხოველიც რამდენიმე რეალური არსების ელემენტებისაგან შედგება. წაგრძელებული თავით, დაღებული პირითა და დიდი ბასრი კბილებით ის ნიანგს მოგვაგონებს. წაგრძელებული სხეულიც ნიანგისას მიუგავს, მაგრამ ბრჭყალებიანი მოკლე ფეხი ფრინველის კლანჭს უფრო გავს, ვიდრე, ნიანგის კიდურს. ფრთაც, რომელიც ულამაზესი ორნამენტული სახისაა, ფრინველის ფრთასთან იწვევს ასოციაციას.

4. ბუნებრივი გარემოს რომელი ელემენტებია აღბეჭდილი ამ კომპოზიციებზე?

მარტვილის ტაძრის რელიეფზე ვაზის ნაყოფით დამშვენებული ყლორტებია წარმოდგენილი, ხოლო ანანურის რელიეფის მარჯვენა ზედა კიდეში მცენარეულ ელემენტს ვხედავთ.

5. თქვენი აზრით, რატომ გამოისახება გუმბათში ჯვარი?

გუმბათში ჯვრის ან ჯვრის ამაღლების სცენის გამოსახვა მაცხოვრის ზეცად ამაღლების მხატვრული ხატია და ბუნებრივია, გამოისახება ტაძრში ყველაზე მაღლა მდებარე ნაწილზე - გუმბათის სფეროზე, რომელიც ზეციურ სფეროს განასახიერებს.

6. თუ დაკვირვებიხართ, რა არის გამოსახული მხატვრობით შემკული ეკლესიის კედლებზე?

ტაძრის კედლებზე, როგოც წესი, სახარების სცენები, წმინდანთა, მოწამეთა და ქტიტორთა გამოსახულებებია ხოლმე გამოსახული.

7. თქვენი დაკვირვებით, სად, რომელ ადგილას გვხვდება მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებები?

მაცხოვრის გამოსახულება ქრისტიანულ ტაძარში უმეტესად გუმბათში ან საკურთხევლის კონქში გვხვდება. ღვთისმშობელი კი, ხშირად საკურთხევლის კონქშია წარმოდგენილი. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებები ჩართულია ისეთ სცენებში, როგორიც არის: ხარება, შობა, ჯვარცმა და სხვ.

8. დააკვირდით, სახარების რომელი ეპიზოდია გამოსახული გელათის XVII ს-ის მხატვრობის ნიმუშზე?

გელათის მხატვრობის წარმოდგენილ ნიმუშზე გამოსახულია მაცხოვრის მიერ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების სახარებისეული ეპიზოდი. მაცხოვარმა, ლაზარეს დების თხოვნით, გააღებინა აკლდამის კარი და სამი დღის მიცვალებული მკვდრეთით აღადგინა .

9. აღწერეთ, როგორაა ასახული გარემო გელათის მოხატულობის სცენაზე?

გარემო აქ პირობითადაა წარმოდგენილი. სრულიად დარღვეულია პროპორციული ურთიერთშეთანხმება სცენის მარჯვენა და მარცხენა კიდეებში გამოსახული კლდეების, უკან წარმოდგენილი თეთრი ქონგურებიანი გალავნის კედლისა და ადამიანთა ფიგურების ზომებს შორის. გარდა ამისა, კლდეების წაკვეთილი ზედა ნაწილები, მათი ფორმები და მათი გრაფიკული ხასიათი ასევე აძლიერებს სცენის პირობითობას. მლიანობაში კი სცენის სიბრტყობრივი გადაწყვეტა პირობით გარემოს ქმნის.

10. რას ფიქრობთ, როგორია ატენის სიონის მხატვრობის წარმოდგენილ ნიმუშზე მძინარე იოსებისა და მის უკან გამოსახული შენობის პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება?

მათ შორის პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება დარღვეულია, რადგან იოსები რომ ფეხზე ადგეს, მისი ფიგურა თავად შენობაზე მაღალი თუ არა, შენობის სიმაღლის მაინც იქნება.

9. როგორ შევინარჩუნოთ კულტურული გარემო

1. დაასახელეთ თქვენი ქალაქის თუ რეგიონისათვის დამახასიათებელი კულტურული გარემოს უმთავრესი ელემენტები. კულტურული მემკვიდრეობის რომელ ძეგლებს იცნობთ კარგად თქვენს რეგიონში და რა იცით მათ შესახებ.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ მათ სოფელში, ქალაქში ან რეგიონში არსებული კულტურურლი მემკვიდრეობის ძეგლები. ეს შეიძლება იყოს ეკლესია-მონასტრები, სამრეკლოები, სათავდაცვო ნაგებობები: გალავანი, კოშკი; ასევე, ძველი ავთენტური საცხოვრებელი სახლები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა (იმ ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები, სამარხები და სხვ.). როგორც წესი, ძალზე საინტერესოა ხოლმე ძველი საფლავის ქვები. საქართველო უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყანაა და მისი პრაქტიკულად ყველა მხარე მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება გაამახვილოს ამ ძეგლებზე, რადგან ზოგჯერ მოქმედი საცხოვრებელი სახლი თანამედროვე ადამიანს ძეგლად არც მიაჩნია, თუმცა მისი კონსტრუქციები, სტრუქტურა თუ დეკორი უნიკალურ ძეგლს წარმოაჩენს ჩვენ თვალწინ.

სასურველია, მოსწავლეებმა საერთო ძალისხმევით საკუთარი რეგიონის კულუტურულ ძეგლთა რუკა შექმნან. თანდათანობით მოინახულონ ისინი და თითოეული ძეგლის შესახებ ცალკეულ ბარათზე დააფიქსირონ ინფორმაცია. ამაში ამ გაკვეთილის გაცნობაც დაეხმარებათ.

2. გაიხსენეთ თქვენს გარემოში არსებული ისტორიული არქიტექტურული ძეგლი. აღწერეთ მისი დღევანდელი მდგომარეობა. ხომ არ საჭიროებს რესტავრაციას და კონკრეტულად რა ნაწილებია დაზიანებული?

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ჩვენი კულტურის რომელიმე ძეგლზე, რომელსაც მოსწავლეები მოინახულებენ მასწავლებელთან ერთად და გულდასმით აღწერენ ძეგლის თავისებურებებს, მის დღევანდელ მდგომარეობას. თუ ძეგლს აშკარა დაზიანებები აქვს, ბზარები, გამობერილი ან ჩამოცვენილი საღებავის ფენა მოხატულ ნაწილებში, მოსწავლეები წერილობით აღწერენ დაზიანების სახეობას. ბუნებრივია, მოსწავლეები დამოუკიდებლად არ ცდილობენ რაიმე ტიპის დაზიანების აღმოფხვრას, რადგან არასპეციალისტის ჩარევამ ძეგლი შესაძლოა უფრო მეტად დააზიანოს. საუკეთესო გამოსავალი ასეთ შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის თქვენი ინფორმაციის გაზიარებაა. გადაღებული ფოტოები და დაზიანების აღწერა, ასევე ინფორმაცია ახალი დაზიანების შესახებ, რომელიც, მაგალითად, ისეთმა ბუნებრივმა მოვლენამ გამოიწვია, როგორიცაა ძლიერი ქარი, მიწისძვრა, მეხის დაცემა ან სხვ. გაუზიარეთ სპეციალისტებს. ეს ძეგლის ოპერატიულად დახმარების, ან სულაც მისი გადარჩენის წინაპირობა შეიძლება იყოს.

10. პეიზაჟი ჩინურ ხელოვნებაში

1. როგორ და როდის ჩამოყალიბდა პეიზაჟი, როგორც მხატვრობის დამოუკიდებელი ჟანრი ევროპულ კულტურაში?

პეიზაჟი, როგორც მხატვრობის დამოუკიდებელი ჟანრი ევროპაში, კერძოდ, XVII საუკუნის ნიდერლანდებში ჩამოყალიბდა. თუმცა, მანამდე, აღორძინების ეპოქის მხატვრობაში და მომდევნო პერიოდში, ევროპულ მხატვრობაში პეიზაჟს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნამუშევრის მხატვრულ იერსახეში. ბუნების ხედი ნაწარმოებში ფონიდან თანდათან ჯერ მის სრულფასოვან ნაწილად, ხოლო შემდეგ მხატვრული მნიშვნელობით პირველხარისხოვან ელემენტად იქცა.

2. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი პეიზაჟის ყველაზე ადრეული ნიმუშები

სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ ევროპული პეიზაჟის მათთვის ცნობილ XVI საუკუნის მეორე ნახევრის და XVII საუკუნის ნიმუშებს.

3. რა მსგავსება და განსხვავებაა ჩინურ და ევროპულ პეიზაჟებს შორის?

ევროპული პეიზაჟი შესრულებულია რეალისტურად, გულდასმითაა ამოწერილი დეტალები. მაგ., ასეა შესრულებული ხის გამოსახულება მდინარის ნაპირზე; საგულდაგულოდაა დახატული ხის ტანი, ტოტები და ფოთლები. ასევე დამაჯერებლადაა შესრულებული თავად მდინარის ზედაპირი, სადაც თითქოს პატარა ტალღები ენაცვლება ერთმანეთს. კარგად არის გადმოცემული წყლის, მცენარეების, მიწის ფაქტურა.

მნიშვნელოვანია ტერნერის ნამუშევრის კომპოზიციური აგების პრინციპიც. ფართოდ გაშლილი კადრი, რომელშიც ჰორიზონტის ხაზი დაახლოებით სასურათო არის შუაშია. აგების ეს პრინციპი ხედის ფართო კადრის ერთბაშად დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

ჩინური პეიზაჟი ვერტიკალურ სასურათე არეზეა გამოსახული. მთელ სიმაღლეზე აზიდული მთის გამოსახულება მარჯვენა მხრიდან „კეტავს“ კომპოზიციას, ხოლო სურათის მარცხენა კიდეში ფურცლის თეთრი ზედაპირი ხელუხლებლადაა დატოვებული და სწორედ ის ქმნის მდინარის ზედაპირის შთაბეჭდილებას. გამომსახველობის უმთავრესი საშუალება ამ ნამუშევარში ხაზია. სხვადასხვა ტიპის შტრიხების (გრძელი, მოქნილი, მოკლე, დინამიკური) და ტუშის ლაქების მონაცვლეობა გრაფიკული ხასიათისაა, თუმცა, ეს ლაკონიური, ფერადოვნების მხრივ გაცილებით უფრო თავშეკავებული მანერა მაინც ზუსტად ასახავს ბუნების ხედის მთავარ თავისებურებებს.

ევროპული და ჩინური პეიზაჟის ნიმუშების შედარება თვალნათლივ ამჟღავნებს, რომ მხატვრული საშუალებები, შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული იყოს; ევროპული პეიზაჟის შემთხვევაში მთლიანად ფერწერული, ზეთის საღებავის მდიდარი გრადაციების გამოყენებით პირდაპირი მნიშვნელობით „დასურათხატებული“ პეიზაჟი, რომელიც ფართოდ გაშლილი ხედის შთაბეჭდილებას ქმნის; ჩინური პეიზაჟის შემთხვევაში კი, მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ხაზის მეშვეობით და შავ-თეთრის ლაკონიური გრადაციით პირობითად „მონიშნული“ ხედი. სახატავი მასალის არჩევა, წერის ორი ტრადიციული, ევროპული და ჩინური, მანერა ერთი და იმავე ჟანრის ნაწარმოებებისადმი დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მიდგომას წარმოაჩენს. ევროპული პეიზაჟის ფერწერულობა და ჩინური პეიზაჟის გრაფიკული ხასიათი ამ ორი განსხვავებული მიდგომის ნათელი მაგალითია.

შენიშვნა: ბუნებრივია, რომ პასუხის გაცემისას მოსწავლე საკუთარი ლექსიკის გამოყენებით გადმოსცემს მოსაზრებას მოცემულ საკითხზე.

4. აღწერეთ შთაბეჭდილება. რა როლს ასრულებს კომპოზიციაში იეროგლიფებით შესრულებული ტექსტი?

ჩინურ პეიზაჟში იეროგლიფებით შესრულებული წარწერა, როგორც წესი, მხატვრულად დაუტვირთავ არეზეა მოთავსებული, თავად იეროგლიფები, რომლებიც მთლიანად სურათის მსგავსად ტუშით და კალმით არის შესრულებული, ძალიან ხატოვანია. ხაზი, როგორც გამომსახველობის მთავარი საშუალება ორივე შემთხვევაში წამყვანია, რაც, შავ-თეთრი ტუშის გრადაციასთან ერთად, ბუნებრივად და ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს სურათებზე აღბეჭდილ პეიზაჟებსა და იეროგლიფულ წარწერებს.

5. გაიხსენეთ, რომელ მხატვრულ მიმდინარეობას ჰქონდა დასახული მიზნად წამიერი შთაბეჭდილების ასახვა ფერწერულ ნამუშევარში?

წამიერების შთაბეჭდილების ეფექტის გადმოცემა XIX საუკუნის ევროპულ მხატვრობაში წარმოშობილი მხატვრული მიმდინარეობის – იმპრესიონიზმის მთავარი მიზანი იყო.

6. როგორი მხატვრული ხერხებია, რამდენი სახის ხაზი და მონასმია გამოყენებული წარმოდგენილ პეიზაჟებში?

ორ ჩინურ პეიზაჟში გამომსახველობის მთავარი საშუალება ხაზია, თუმცა, ძველი ჩინელი ოსტატების ხელოვნების წყალობით მხატვრული ეფექტი განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ეს რბილი, ოდნავ გადღაბნილი, თითქმის ლაქისმაგვარი გრადაციაა ქაღალდის ზედაპირზე. მეორეგან კი, სხვადასხვა ხასიათის შტრიხის მთელი არსენალია გამოყენებული. მოკლე და გრძელი, წვრილი და შედარებით სავსე, დაქუცმაცებული, მოძრავი და კიდევ უფრო მრავალფეროვანი შტრიხების ერთიანობა პეიზაჟის ცოცხალ სურათს უშლის მაყურებელს თვალწინ.

7. როგორ არის გადმოცემული აქ შორეული ხედი?

ევროპული პეიზაჟისაგან განსხვავებით, ჩინელი ოსტატი შავი ტუშის გრადაციას იყენებს. ტუშის მუქი და შედარებით გაფერმკრთალებული მონასმები ახლო და შორეული ხედის გადმოსაცემად არის გამოყენებული. მაყურებლისაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული ხედის გადმოცემა ტუშის სხვადასხვა ინტენსივობის მონასმების მეშვეობით ჩინური პეიზაჟის დამახასიათებელი თვისებაა.

ჩინელი მხატვარი არ იყენებს სივრცის გადმოცემის არც ერთ ტრადიციულ ხერხს, რომლებიც ევროპულ მხატვრობაშია გავრცელებული. აქ ვერც გეომეტრიულ/ ხაზობრივ და ვერც ჰაეროვან ან ფერადოვან პერსპექტივას შეხვდებით. ამის ნაცვლად, ტრადიციული ჩინური პეიზაჟი მოხერხებულად იყენებს სასურათო არეს და ყველაზე მაღალ წერტილში, სურათის ზედა კიდესთან, გამოსახავს მაღალი მთის მწვერვალს. ვერტიკალური ფორმატის მქონე გრაგნილებზე, ზედა კუთხეში გამოსახული ელემენტები მაყურებლისაგან ყველაზე მეტად დაშორებულ ხედებად აღიქმება.

შენიშვნა: *ბუნებრივია, რომ პასუხის გაცემისას მოსწავლე საკუთარი ლექსიკის გამოყენებით გადმოსცემს თავის მოსაზრებას მოცემულ საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ ყურადღება გაამახვილოს სხვადასხვა ხედის გადმოცემის იმ თავისებურებებზე, რომელიც ჩინური მხატვრობისათვის არის დამახასიათებელი.*

8. შეადარეთ ერთმანეთს ევროპული და ჩინური პეიზაჟის წარმოდგენილი ნიმუშები. დაახასიათეთ თითოეული მათგანი.

კამილ კოროსა და იაკობ რეისდალის პეიზაჟები ევროპული ფერწერის ტიპური ნიმუშებია. ისინი შესრულებულია რეალისტური მანერით, ფერადოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენებით. ხეების, ბალახის, მდინარის შესრულებისას დამაჯერებლად არის ასახული განსხვავებული დეტალები და ფაქტურა. მდიდარი და ცხოველხატულია სურათების კოლორიტი.

ჩინურ პეიზაჟს გამომსახველობითი ხერხების მეტი პირობითობა ახასიათებს. მთებისა და წყლის გამოსახულება ტუშის სხვადასხვა ინტენსივობის მონასმებით არის შესრულებული, თუმცა, გამოსახულებები მხოლოდ მონიშნულია. ასევეა გადმოცემული ახლო და შორი ხედები.

9. როგორ გამოხატავს ჩინელი ოსტატი მდინარის დინებას, რა მსგავსება და განსხვავებაა წყლის გადმოცემის თვალსაზრისით ევროპულ და ჩინურ მხატვრულ ხერხებს შორის?

კამილ კორო წყლის გადმოსაცემად მდინარის მთავარ მახასიათებლად მისი ზედაპირის ისეთ ნიშანს იყენებს, როგორც მასში არეკლილი გარემოა. არეკვლის შესაძლებლობა წყლის ზედაპირს ერთდროულად გარინდებულს და დენადს ხდის.

ჩინურ ტრადიციაში თითქმის უგულებელყოფილია წყლის ამგვარი რეალისტური გამოსახვის მანერა. აქ წყალი არ ლაპლაპებს, თითქმის არაფერს ირეკლავს, უბრალოდ, დაშტრიხული მთებისა თუ გორაკების, ნაპირების და ნიადაგის გვერდით, თითქმის დაუმუშავებელი ქაღალდის ზედაპირი, ოდნავ ტონირებული ან მსუბუქად დაშტრიხული მონაკვეთების მონაცვლეობით მაყურებლის წარმოსახვაში მდინარის დინების ასოციაციას აღძრავს.

10. რა მსგავსება და განსხვავებაა, სცენაში ჩართული წარწერების თვალსაზრისით, ეგვიპტური და ჩინური ხელოვნების ნიმუშებს შორის?

ჩინური ხელოვნების ნიმუშებზე წარწერები, როგორც წესი, კომპოზიციის ერთ კონკრეტულ არეზეა თავმოყრილი, ეგვიპტურზე კი, ხშირად, მთელ სადა ფონზე არის განაწილებული. თავად წარწერების ხასიათი განსხვავებულია. ჩინური იეროგლიფები გრაფიკული, კალიგრაფიული ხაზით არის შემოწერილი და მსუბუქი და მოხდენილია, ეგვიპტური კი უფრო ნახატს წააგავს, შედარებით მასიურია და ნაკლებად ტოვებს წარწერის შთაბეჭდილებას.

12. აღმოსავლური ხელნაწერი წიგნი

1. შეადარეთ შუა საუკუნეების მინიატურები ერთმანეთს, რა განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

წარმოდგენილ მინიატურებს შორის პირველი ორი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშია, მესამე ქართულ, ხოლო მეოთხე აღმოსავლურ მხატვრობას განეკუთვნება. ბიზანტიურ ნიმუშებში მკაფიოდ

არის გამოკვეთილი კომპოზიციის ცენტრი. გამოსახულებები პირობითი ხასიათისაა, თუმცა, რეალურ ფიგურებთანაც ავლენს გარკვეულ მსგავსებას. ქართულ და აღმოსავლურ მინიატურებზე კომპოზიციები მრავალფიგურიანია, აქ ცენტრის გამოკვეთა არ ხდება და სასურათო არე თანაბრად არის შევსებული გამოსახულებებით.

2. რაში მდგომარეობს მსგავსება აქ წარმოდგენილ მინიატურებს შორის?

როგორც უნდა იყოს შესრულებული მინიატურა, ის ტექსტის ილუსტრირებას ისახავს მიზნად და წიგნის ორგანული ნაწილია. ტექსტის შინაარსიც, გარკვეულწილად, განაპირობებს მინიატურის ხასიათს. გარდა უშუალოდ გამოსახულებებისა, დასურათებული ფურცლები ორნამენტული წნულებითაცაა დეკორირებული და მდიდარი ფერადოვნებით ხასიათდება.

3. რომელი მათგანი ხასიათდება გამოსახვის უფრო პირობითი მანერით და როგორ დეტალებში აისახება ეს მკაფიოდ?

თუ ბიზანტიურ მინიატურაში მთავარი მნიშვნელობა ფიგურებს ენიჭება, აღმოსავლურ მინიატურაში პატარა ზომის ფიგურები არც მდებარეობით, არც ზომით თუ ფერადოვნებით არ გამოიყოფა მკვეთრად ორნამენტული ელემენტებისაგან. ფერადოვანი თვალსაზრისითაც ისინი ერთ სიბრტყეზე ორნამენტივით შეფენილ ფერად კომპოზიციას ქმიან. ამდენად, აღმოსავლური მინიატურა შესრულების უფრო პირობითი მანერით გამოირჩევა.

4. დააკვირდით და აღწერეთ მინიატურაზე გამოსახული ადამიანების, ფრინველების, მცენარეების ფორმები. რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ოსტატი გამოსახულებების შექმნისას?

სპარსულ მინიატურაზე ფიგურები, მცენარეები, ორნამენტი ერთიანად ფარავს სასურათო არეს. გამომსახველობის მთავარი საშუალებები მკაფიო, ლოკალური ფერი და სხვადასხვაგვარი ხაზია. კომპოზიციაში ორგანულად ჩართულია რამდენიმე წარწერა. მოქმედება ბუნების წიაღში მიმდინარეობს და საინტერესოა, რომ ხეების ტანიც კი ორნამენტული ფერადი წნულებით არის დაფარული. მცენარეები ხალიჩასავით ფარავს მთელ სიბრტყეს. მოქნილი ხაზით შემოწერილი ცხოველების ფიგურები ფერითაც ოდნავ არის მოდელირებული და მეტ-ნაკლებად მოცულობით ხასიათს ატარებს, თუმცა, ფერადოვანი დეტალებით გადატვირთულ ფონზე, ისინი მკაფიოდ არ იკითხება.

5. დაახასიათეთ წარმოდგენილი მინიატურების კომპოზიციები. თქვენი აზრით, როგორ არის შევსებული გამოსახულებებით სასურათო სიბრტყე?

ბიზანტიურ მინიატურებში კომპოზიციაში ხაზგასმულია მთავარი ფიგურები. როგორც წესი, მთავარ, ხოლო გარემოს ელემენტები და ორნამენტი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. სპარსულ მინიატურაში სასურათო სიბრტყე კიდიდან კიდემდე შევსებულია თანაბარმნიშვნელოვანი გამოსახულებებით და კომპოზიცია ხალიჩისებური პრინციპით არის აგებული. ფიგურა, გარემო და ორნამენტი თანაბარმნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს და ერთიან ფერადოვან სურათს ქმნის.

6. აღწერეთ როგორ გადმოსცემს მხატვარი გარემოს გველეშაპთან ბრძოლის ამსახველ მინიატურაზე?

გარემო ამ მინიატურაზე სრულიად პირობითადაა გამოსახული. სადა სასურათო სიბრტყეზე მიმოფანტულია ყვავილები და ამით მხოლოდ მინიშნებულია გარემო.

7. თქვენი აზრით, როგორ ეთანხმება ერთმანეთს მინიატურა და ხელნაწერი ტექსტი?

გველეშაპთან ბრძოლის ეპიზოდში თავად გველეშაპის გამოსახულება ისეთსავე ორნამენტულ ხასიათს ატარებს, როგორსაც თანდართული ხელნაწერი ტექსტი. ასოების ორნამენტული მოხაზულობა ჰარმონიულად ერწყმის კომპოზიციის საერთო ხასიათს.

15. ჰაეროვანი პერსპექტივა

1. გაიხსენეთ გეომეტრიული პერსპექტივის ის კანონები, რომლებიც რენესანსის ეპოქის არქიტექტორებმა აღმოაჩინეს და მხატვრებმა გამოიყენეს სიბრტყეზე სივრცის ანუ რეალური გარემოს ასასახად.

რენესანსის ეპოქის მხატვრები არქიტექტორების მიერ აღმოჩენილი პერსპექტივის კანონებიდან ძირითადად იყენებდნენ ორ კანონს: 1. რაც უფრო შორსაა საგანი მნახველისაგან, მით უფრო მცირდება მისი ზომა; 2. სიღრმეში მიმავალი ურთიერთპარალელური ხაზები ერთმანეთისაკენ მიემართება და ერთ გარკვეულ წერტილში იკვეთება, რომელსაც თავშეყრის წერტილი ეწოდება.

2. გაიხსენეთ სახარებისეული ისტორია მოგვების შესახებ.

მაცხოვრის შობის შემდეგ იმ ადგილს ბეთლემში, სადაც მდებარეობდა ბაგა და სადაც იშვა მაცხოვარი, თავს დაადგა მანათობელი ვარსკვლავი. სწორედ ამ ვარსკვლავისაკენ მიდიოდა სამი აღმოსავლელი ბრძენი, სამი მოგვი (კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი), რომლებმაც იცოდნენ, რომ ბეთლემში მხსნელი დაიბადა. ეს ამბავი მოთხრობილია ლუკას სახარებაში. შორეული ქვეყნებიდან ახალშობილთან თაყვანსაცემად მოსულმა მოგვებმა მას ძღვნად საჩუქრები - ოქრო, მური და გუნდრუკი მიართვეს. ეს სცენა სახარების სცენათაგან ერთ-ერთია, რომელიც ხშირად გამოისახება აღორძინების ეპოქის კედლის და დაზგურ მხატვრობაში.

3. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოსახა მხატვარმა მსვლელობა ტოსკანის პეიზაჟის ფონზე?

რენესანსის ეპოქის ხელოვნების ნიმუშებზე ხშირად გვხვდება სახარებისეული სცენების „გადმოტანა“ ადგილობრივ პეიზაჟსა თუ ინტერიერში. ამას ისიც ემატება, რომ პერსონაჟები მხატვრისა და დამკვეთის თანადროულ სამოსში, იმ დროისათვის მოდური ვარცხნილობით, აქსესუარებით დამშვენებულნი გამოისახებიან. თითქოს წაშლილია დროითი ზღვარი და მოქმედება ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის რეალურ დროში მიმდინარეობს. ამგვარ სცენებში გამოსახული პერსონაჟები ხშირად ცოცხალი, მთელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადამიანები არიან, ასევე ცნობადი და მშობლიურია ასახული გარემოც. ეს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მოქმედება შორეულ დროში და გარემოში კი არა, ნაწარმოების შექმნის ეპოქის თანადროულად, ნაცნობ გარემოში მიმდინარეობს. თითქოს იმ დროის ადამიანები ცდილობენ, ამ მნიშვნელოვანი სახარებისეული მოვლენების თანადამსწრენი და მოზიარენი იყვნენ.

4. დააკვირდით აქ მოცემულ ილუსტრაციას. პერსპექტივის რომელ კანონს იყენებს ბენოცო გოცოლი ამ კომპოზიციაზე?

ბენოცო გოცოლის ნამუშევარზე შორს გამოსახული დეტალები პატარა ზომისაა, ხოლო წინა პლანზე წარმოდგენილი კი – დიდი ზომის. ამდენად, მხატვარი იყენებს გეომეტრიული პერსპექტივის იმ კანონს, რომლის თანახმადაც, რაც უფრო შორსაა საგანი ადამიანისაგან, მით უფრო მცირდება მისი ზომა ადამიანის თვალში.

5. დააკვირდით ბენოცო გოცოლის მიერ შექმნილი კომპოზიციის „ მოგვთა მსვლელობის“ ფრაგმენტს. აღწერეთ სხვადასხვა პლანზე წარმოდგენილი ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებები.

მოსწავლეებმა აღწერის დროს ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ წინა პლანზე გამოსახული ფიგურები დიდი ზომისაა, ხოლო რაც უფრო სიღრმეშია „შეტანილი“ ფიგურა, მით უფრო მცირდება მისი ზომა. ამდენად, სასურათო სიბრტყის წინა და უკანა პლანებზე გამოსახულ ფიგურების ზომებს შორის ძალზე დიდი სხვაობაა.

6. თქვენი აზრით, რატომ ვერ ვხედავთ მკაფიოდ შორი მანძილიდან საგნის ყოველ დეტალს?

ჩვენსა და ჩვენგან დაშორებულ საგანს შორის არის ჰაერის მასა, რომელიც თვალით უხილავია, მაგრამ ის რეალურად არსებობს და აბუნდოვნებს შორს მდებარე საგნის კონტურებს.

7. თქვენი აზრით, თვალისწინებს თუ არა ბენოცო გოცოლი ამ გარემოებას?

ბენოცო გოცოლი ამ გარემოებას არ ითვალისწინებს, რადგან მის მიერ წინა და უკანა პლანზე გამოსახული ფიგურები ერთნაირად ზედმიწევნით არის ამოხატული. უკანა პლანზე წარმოდგენილი მცირე ზომის გამოსახულებები ისეთივე მკვეთრია და მათი დეტალები ისეთივე სიზუსტითაა ამოხატული, როგორც წინა პლანის გამოსახულებებისა.

8. შესაძლებელია თუ არა, მკაფიოდ გავარჩიოთ რა არის გამოსახული ხის უკან, სიღრმეში ლეონარდო და ვინჩის ამ სურათზე?

არ არის შესაძლებელი

9. იგრძნობა თუ არა ლეონარდო და ვინჩია ამ სურათზე ჰაერი?

დიახ, იგრძნობა.

10. შეადარეთ ბენოცო გოცოლის ნამუშევრის ფონზე გამოსახული პეიზაჟი ლეონარდოს ნამუშევრის ფონის პეიზაჟს.

ბენოცო გოცოლი ისე ამუშავებს ფონზე გამოსახული პეიზაჟის დეტალებს, რომ მაყურებელი მკაფიოდ არჩევს ყველაზე პატარა ელემენტსაც კი. ლეონარდო და ვინჩის ნამუშევრის ფონი კი თითქოს გაცრეცილია და გაბუნდოვნებულია.

11. რომელ მათგანზე იგრძნობა სივრცე უფრო მეტად და რატომ?

სივრცე აბსოლუტურად ბუნებრივადაა გამოსახული ლეონარდო და ვინჩის ტილოზე, რადგან რეალურადაც ჩვენგან შორს მყოფ საგნებსა და ჩვენ შორის არსებული ჰაერი და მისი უმცირესი ნაწილაკები აბუნდოვნებენ შორს მდებარე საგნების გამოსახულებას, მათ კონტურს. ლეონარდოს მიერ გამოყენებული ჰაეროვანი პერსპექტივის გამოსახვის ხერხი ორგანზომილებიან სიბრტყეზე სამგანზომილებიანი ანუ რეალური სივრცის გადმოცემის ყველაზე რეალისტურ და გავრცელებულ მეთოდად იქცა.

12. იგრძნობა თუ არა ველასკესის ამ სურათზე ჰაერი?

დიახ, იგრძნობა.

13. რამდენი პლანია ამ სურათზე?

ამ სურათზე ორი პლანია: ერთი — წინა პლანი, რომელიც ძალზე ახლოსაა მნახველთან მოტანილი. ესაა შემაღლებაზე მოქმედი ფიგურები და მეორე — უკანა პლანი, რომელზეც ზემოდან, სიმაღლიდან დანახული შორეული პეიზაჟი — ბრძოლის ველი მოჩანს.

14. შეადარეთ წინა და უკანა პლანები ერთმანეთს და ჩამოაყალიბეთ მათ შორის არსებული განსხვავება.

უპირველესი განსხვავება ისაა, რომ წინა პლანის გამოსახულებები ძალზე ახლოსაა მნახველთან მოტანილი, უკანა პლანი კი ძალზე შორეულია. გარდა ამისა, წინა პლანის გამოსახულებები ზედმიწევნით ზუსტად და დაწვრილებითაა ამოხატული, ხოლო უკანა პლანი თითქოს ბურუსშია გახვეული, რაც შორეული სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის.

15. როგორ განწყობილებას ქმნის ფონი ველასკესის სურათზე?

ამგვარად შესრულებული, თითქოს ბურუსში ჩაძირული ფონი, რომელზეც ბრძოლის ველია გამოსახული, რეალური სივრცის, რეალური გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს.

16. ფერადოვანი პერსპექტივა

1. არის თუ არა კასპარ დავით ფრიდრიხის ამ ნამუშევარზე გამოყენებული ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხები?

დიახ, კასპარ დავით ფრიდრიხის ამ ნამუშევარზე გამოყენებულია ჰაეროვანი და ფერადოვანი პერსპექტივის ხერხები.

2. როგორ იცვლება ფერის ინტესიობა ამ სურათზე?

წინა პლანზე ფერები უფრო აქტიური და ჟღერადია, ხოლო სიღრმეში ისინი თანდათან კარგავს ჟღერადობას და უფრო და უფრო მქრქალი და ღია ხდება.

3. იცვლება თუ არა მთების კონტურები სიღრმის კვალად ამ სურათზე და როგორ?

დიახ, იცვლება. რაც უფრო ახლოსაა მთები მნახველთან, მით უფრო მკაფიოა მათი კონტურები, ხოლო რაც უფრო შორს, სასურათო სიბრტყის სიღრმეშია გამოსახული ისინი, მათი კონტურები მით უფრო არამკვეთრი და ბუნდოვანი ხდება.

17. განათება და ჩრდილი

1. განსაზღვრეთ და მიუთითეთ, ამ ილუსტრაციაზე სად არის საკუთარი ჩრდილი, სად ნახევარჩრდილი და სად – დაცემული ჩრდილი?

წარმოდგენილ ილუსტრაციაზე სინათლე გეომეტრიულ ფორმას (ცილინდრს) მარცხნიდან ეცემა, შესაბამისად, საკუთარი ჩრდილი აქ საპირისპირო მხრიდან ჩნდება. ნახევაჩრდილი დაახლოების ფორმის ცენტრში, ყველაზე ჩაბნელებულ და ყველაზე განათებულ მონაკვეთებს შორის არის გამოსახული. დაცემული ჩრდილი კი მარჯვენა მხარეს სადგამის ზედაპირზე არის გაწოლილი.

2. აღწერეთ აქ წარმოდგენილი ეგვიპტური და ჩინური ხელოვნების ნიმუშები.

ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშზე გამოსახულნი არიან ქალები დასვენების დროს. ისინი მუხლმორთხმულნი სხედან. ჩინური მხატვრობის ნიმუშზე გამოსახულნი არიან ადამიანები ბუნების წიაღში, ზოგი მათგანი ზის, ზოგი ფეხზე დგას. ეგვიპტურ ნიმუშზე ქალების ფიგურები დიდი ზომისაა, თითქოს მათ ახლოდან ვხედავთ. ჩინურ ნიმუშზე კი ფიგურები შედარებით პატარა ზომისაა და ისინი ბუნების წიაღში არიან განაწილებული.

3. გამოსახულია თუ არა ამ ნამუშევრებზე ჩრდილები?

არც ერთ ამ ნამუშევარზე ჩრდილები გამოსახული არ არის.

4. როგორ არის აქ გამოსახული ფორმა?

ორივე ნამუშევარზე ფიგურების თუ საგნების ფორმების გადმოსაცემად ჩრდილი თითქმის არ არის გამოყენებული. მხოლოდ დენადი, მოქნილი ხაზის მეშვეობით შემოწერილი ფორმები იძენენ ერთგვარ სიმრგვალეს და მოცულობითობის ილუზიას ქმნიან. ჩინურ ნამუშევარზე ოდნავ უფრო გამსხვილებული შტრიხების მეშვეობით გადმოცემულია ქსოვილის ნაკეცები, რაც ასევე პირობით ხასიათს ატარებს.

5. დააკვირდით კარლო კრიველის ნამუშევარს. მიუთითეთ, სად არის გამოყენებული ამ სურათზე დაცემული ჩრდილები? იმსჯელეთ რამდენად რეალურია ისინი.

კარლო კრიველის ნამუშევარზე ჩრდილი დაცემულია კედელზე, რაც სურათზე სივრცის შთაბეჭდილების გადმოცემას ემსახურება. წინა პლანზე გამოსახული კიტრისა და ვაშლის გვერდით დაცემული ჩრდილები ერთი მიმართულებით, საგნებზე სინათლის სხივების მოხვედრის საპირისპირო მხარესაა გაწოლილი და თავად ამ საგნების მოცულობითობის გადმოცემას ემსახურება; ასევე ჰაერით სავსე სივრცის ეფექტსაც ქმნის.

6. გაიხსენეთ ბიბლიური ისტორია აბრაამის შესახებ.

ბიბლიის თანახმად, ღმერთმა მოუწოდა აბრაამს მითითებულ ადგილას, ერთ-ერთი მთის წვერზე მსხვერპლად შეეწირა მისი ვაჟი ისააკი აბრაამი უსიტყვოდ დაემორჩილა ღმერთის ნებას, მივიდა მითითებულ ადგილას, სამსხვერპლო მოაწყო, ზედ ხელებშეკრული საკუთარი ვაჟი დააწვინა და მის მოსაკლავად დანა რომ აღმართა, ანგელოზის ხმა ჩაესმა, რომელიც აუწყებდა მას, რომ აღარ აღემართა ხელი ერთადერთი პირმშოს მოსაკლავად, რომლის მოკვლაც უყოყმანოდ გადაწყვიტა ღვთის შიშისა და მისდამი სიყვარულის გამო.

7. თქვენი აზრით, რატომაა სიბნელიდან „ამოტაცებული“ მხოლოდ მისი სახე და ხელები?

რემბრანდტი მკვეთრი განათების საშუალებით ჩრდილიდან გამოყოფს აზრობრივად ყველაზე მნიშვნელოვან დეტალებს – მამის შეძღწუნებულ სახესა და ხელებს, რაც აძლიერებს გამოსახული სცენის დრამატიზმს, რადგან ჩრდილში ჩაძირული და მკაფიოდ განათებული დეტალების მონაცვლეობა დაძაბულობის ეფექტს, ემოციური განცდისა და დრამატულობის შთაბეჭდილებას აძლიერებს.

19. კინო და მხატვრობა

1. თქვენი აზრით, რა ტიპის ფილმებშია მხატვრის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

მხატვარი მნიშვნელოვანი ფიგურაა ყველა ტიპის კინოპროდუქციის წარმოებისას. მაგრამ მისი როლი სრულიად განსაკუთრებულია იქ, სადაც გარემო – ისტორიული თუ ფანტასტიკური, ყოფითი თუ ზღაპრული, ხელოვნურად არის შესაქმნელი. ამ დროს მხატვარი სამეცნიერო ინფორმაციას აჯერებს საკუთარ წარმოსახვასთან და ფილმის მიზნებიდან, თუ ესთეტიკიდან გამომდინარე, ხელოვნურად ქმნის გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს ფილმის მოქმედება.

2. გაიხსენეთ მხატვრული ფილმი „იავნანა“ და შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ, რით დაგამახსოვრდათ ის?

„იავნანა“ ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული, დახვეწილი ესთეტიკით შექმნილი ქართული ფილმია, რომელშიც დიდი სიფაქიზით არის მოწყობილი ეპოქის შესაბამისი გარემო, კინემატოგრაფის თავისებურებების სრული დაცვით გამახვილებულია ყურადღება კონკრეტულ დეტალებზე, რაც, საბოლოოდ, ქმნის ფილმის დასამახსოვრებელ გარემოს. ასეთ დეტალებს განეკუთვნება პერსონაჟების იერსახე თუ მათი კოსტიუმები, სახლისა და ბაღის გარემო, რომანტიკული დეტალები და მრავალი სხვა ელემენტი, რომელიც მკაფიოდ ამახსოვრდება მაყურებელს.

3. რას კითხავდით ამ ფილმის რეჟისორს, მხატვარს?

საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა, როგორ უზიარებდნენ რეჟისორი და ფილმის მხატვრები ერთმანეთს შემოქმედებით იდეებს, რა დაედო საფუძვლად ფილმის ვიზუალური გამომსახველობის და ესთეტიკის შექმნას. იხელმძღვანელეს თუ არა მხატვრებმა დოკუმენტური მასალებით, ძველი ფოტოებით, თუ შექმნილი გარემო და ნივთები მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფია.

4. ხომ არ იცით ასეთი ისტორიული უზუსტობების მაგალითები მსოფლიო კინოხელოვნებიდან?

შესაძლოა, მოსწავლეებმა იცოდნენ ამგვარი უზუსტობების შესახებ ისეთ ფილმებში, როგორიცაა, მაგალითად, კვენტინ ტარანტინოს ფილმი „კრიმინალური საკითხავი», რომელშიც კედელზე ნატყვიარი ჩნდება თავად სროლის მომენტამდე. კიდევ ერთი ასეთი მაგალითი ისტორიულ დრამაში „მამაცი გული“ თეთრი ავტომობილის კადრში გამოჩენაა. სპილბერგის ყველასათვის ნაცნობ «იურიული პერიოდის პარკში“ ერთი პერსონაჟი სკაიპის გამოგონებამდე 10 წლით ადრე ვითომ ვიდეოკავშირის მეშვეობით ესაუბრება მეორე პერსონაჟს, მაგრამ კადრში ქრონომეტრაჟის ამსახველი მორბენალი სტრიქონი მოხვდა, რადგან მედიაპლეერში უბრალო მედიაფაილი იყო ჩართული. რიდლი სკოტის ფილმი „გლადიატორი“ ისტორიული კოსტიუმების და გარემოს სიზუსტით არის ცნობილი, მაგრამ ერთ-ერთ კადრში გადაბრუნებული ეტლის ქვეშ თანამედროვე გაზის ბალონი მკაფიოდ მოჩანს. ასეთი შეცდომებისაგან პრაქტიკულად არც ერთი მხატვრული ფილმი არ არის დაზღვეული და ისინი, რასაკვირველია, არ აკნინებენ ფილმების მხატვრულ ღირსებას.

5. გაიხსენეთ, რომელ ფილმებში გაქვთ ნანახი შთამბეჭდავი ვიზუალური ეფექტები.

„მეხუთე ელემენტი”, „იურიული პერიოდის პარკი”, „ბეჭდების მბრძანებელი”.

6. რას ფიქრობთ, რა როლს შეასრულებდა მათ შექმნაში მხატვარი?

თანამედროვე ფილმებში ვიზუალური ეფექტების დადგმა და გადაღება კომპიუტერული

ტექნოლოგიების საშუალებით არის შესაძლებელი, მაგრამ თავდაპირველად სწორედ მხატვარი წყვეტს, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ესა თუ ის სცენა, რომელსაც შემდეგ ეს ტექნოლოგია შექმნის.

7. ხომ ვერ დაასახელებთ ისეთ პოპულარულ ფილმებს, რომლებიც, თქვენი აზრით, კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით არის შექმნილი. რითი ხასიათდება ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში ასახული ვიზუალური გარემო?

საშინელებათა ან ფანტასტიკის ჟანრის ყველა ფილმი სწორედ ასეთი მეთოდით არის შექმნილი. კომპიუტერული გრაფიკაა გამოყენებული „ჰარი პოტერისა“ და „ბეჭდების მბრძანებელის“ გადაღების პროცესში. ამას განსაკუთრებით ის სცენები საჭიროებს, სადაც ზღაპრული ეპიზოდებია გადასაღები რეალისტურად და დამაჯერებლად.

თავი II. ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო

22. ისტორიული ეპოქა და ადამიანი

1. განსაზღვრეთ, სახარების რომელი სიუჟეტია ასახული აქ წარმოდგენილ ნიმუშებზე.

აქ წარმოდგენილ ნიმუშზე ასახულია სახარებისეული სიუჟეტი „საიდუმლო სერობა”

2. აღწერეთ თითოეული მათგანი.

აღწერის დროს მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ შუა საუკუნეების ნიმუშზე მაგიდის ზედაპირი მთლიანად ზედხედშია გამოსახული, გარემო პირობითია, დარღვეულია ფიგურებისა და არქიტექტურის მასშტაბი; ერთი სიტყვით, აქ სივრცეცა და ფიგურებიც პირობითადაა გამოსახული. ხოლო დელ კასტანიოს სურათზე სცენა უფრო რეალურია. ფიგურების პროპორციები დაცულია, მათი ფორმები მოცულობითია. სივრცე არაღრმაა, მაგრამ პერსპექტივის კანონების დაცვითაა აგებული.

3. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ მათ შორის და რა შთაბეჭდილებას აღძრავს თითოეული მათგანი?

მსგავსებაზე მსჯელობისას, ალბათ დასახელებული უნდა იყოს ნიმუშის თემა; განსხვავებისას კი ყურადღება უნდა გამახვილდეს ფიგურების პროპორციებზე, მათ პირობით თუ რეალისტურად ასახვაზე, ფორმის განხვავებულად მოდელირებაზე, სივრცის აგებასა და გარემოს გადმოცემის განსხვავებულ, პირობით თუ შედარებით რეალისტურ ხერხებზე.

4. დაახასიათეთ ორივე ნამუშევარზე წარმოდგენილი გარემო.

შუა საუკუნეების ნიმუშზე გარემო სიბრტყობრივად არის ასახული და პირობითია, ხოლო რენესანსის ოსტატის მოხატულობაზე გამოყენებულია გეომეტრიული პერსპექტივის კანონები და ამიტომ ის უფრო რეალისტურად გამოიყურება.

5. აღწერეთ კასტანიოს ნამუშევარზე გამოსახულ მოციქულთა პოზები და ჟესტები.

ამ ნამუშევარზე ფიგურების პოზები და ჟესტები მრავალფეროვანია, არც ერთის პოზა და ჟესტი არ მეორედება. აღსანიშნავია, რომ მოციქულები სხვადასხვა ჟესტით გამოსახავენ საკუთარ რეაქციას ქრისტეს სიტყვებზე: ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე. ზოგს სახესთან მიუტანია ხელი და ზემოთ იყურება, ზოგს, გაკვირვების ნიშნად, განზე გაუშლია ხელები, ერთ-ერთს კი ლოყასთან მიდებული ხელით ერთგვარი სასოწარკვეთა გამოუხატავს.

6. რომელ ნამუშევარზე უფრო მეტადაა გამოხატული ადამიანური ემოციები: შუა საუკუნეების თუ რენესანსის პერიოდის ფრესკაზე?

ცხადია, მოციქულთა ემოციები უფრო აქტიურად რენესანსის პერიოდის ფრესკაზეა გამოსახული. თუ ისინი ხელის ჟესტებით გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს, შუა საუკუნეების ნიმუშზე მოციქულთა ხელები საერთოდ არაა გამოსახული და სახეებზეც არანაირი ემოცია არ არის აღბეჭდილი.

7. დააკვირდით, როგორ არის აგებული გარემო, სივრცე ამ ნამუშევარში და შეადარეთ ის ამ კუთხით წინა ორ ნამუშევარს.

სივრცის აგებაზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მხატვარი ფიგურებს რეალურ გარემოში აქცევს და ეს გარემო გეომეტრიული პერსპექტივის ზუსტი დაცვითაა აგებული; სასურველია, განსაზღვრონ სად არის ამ ნამუშევარზე ჰორიზონტის ხაზი და თავშეყრის წერტილი

8. შეადარეთ ლეონარდოს ფიგურების ჟესტები კასტანიოს ფიგურებისას; იმსჯელეთ, რომელ ნამუშევარზეა უფრო ბუნებრივი და მეტად ემოციური ჟესტები?

მიუხედავად იმისა, რომ კასტანიოს ფიგურები გარკვეული ჟესტებით გამოხატავენ საკუთარ ემოციებს, ლეონარდოს ფიგურების ჟესტები ბევრად უფრო აქტიურიცაა და მეტად მეტყველიც.

9. შეეცადეთ, განსაზღვროთ, რა ემოციას გამოხატავს თითოეული მოციქულის სახე, მოძრაობა და ჟესტი. დაახასიათეთ თითოეული მათგანი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები უნდა გაყვნენ მოციქულების რიგს და სათითაოდ დაახასიათონ თოთოეული ფიგურის ემოცია: გაკვირვება, შეშფოთება, უარყოფა, დაეჭვება და ა.შ. აქ მთავარია, რომ მათ ამ ემოციის არგუმენტირება შეძლონ, თუ რით გამოხატავს (ჟესტით, მოძრაობით, სახის გამომეტყველებით, პოზით) თითოეული მოციქული ამა თუ იმ ემოციას.

10. აღწერეთ როგორ ასახავს სალვადორ დალი მოციქულთა ფიგურებს.

სალვადორ დალი გრძელ თეთრ სამოსში გახვეულ მოციქულებს ერთნაირ სამოსსა და პოზებში გამოსახავს. ისინი მაგიდის გარშემო ჩამუხლულან, ყველა მათგანს თავი ხელებში ჩაურგავს და ჩვენ ვერც ერთის სახეს ვერ ვხედავთ.

11. თქვენი აზრით, რატომ არ ჩანს არცერთი მოციქულის სახე ამ ნამუშევარზე?

პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგ., მნახველის ყურადღება რომ არ გაფანტულიყო და ქრისტეზე ყოფილიყო მთავარი აქცენტი, მხატვარმა მოციქულები ამიტომ გამოსახა ამგვარად; ანდა, ისინი ყველანი ერთ პოზაში თავჩაქინდრულნი იმიტომ არიან გამოსახულნი, რომ თითქოს ყველანი ერთნაირად განიცდიან ქრისტეს ამ სიტყვებს. ამით ავტორი ერთგვარად უარყოფს მათ ინდივიდუალურობას.

23. „მარადიული საღებავები” და „სიცარიელე”

1. დააკვირდით და დაასახელეთ, რომელი ადგილებია ამ სურათზე მოქცეული ჩრდილში და რომელია ყველაზე განათებული?

დიურერის ავტოპორტრეტზე ყველაზე განათებული ადგილებია სახე და მკერდთან მიტანილი მარჯვენა ხელი.

2. შეადარეთ დიურერის ორი ადრეული პორტრეტი ერთმანეთს.

დიურერის ორი ადრეული ავტოპორტრეტის შედარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებებს. მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ ორივე პორტრეტზე დიურერი სამ მეოთხედშია გამოსახული, ორივე შემთხვევაში იგი წარმოდგენილია წელამდე და, სახესთან ერთად, ხელის მტევნებზეც მახვილდება ყურადღება. ასევე, მსგავსია მზერის ხასიათი – კონცენრირებული და მნახველისაკენ მიმართული. განსხვავებების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია შემდეგი დეტალები: 1493 წლის პორტრეტზე ფონი მუქია და მთელი ყურადღება თავად პორტრეტირებულზეა გადატანილი, 1498 წლის პორტრეტზე კი დიურერი ინტერიერშია წარმოდგენილი და მის უკან კედელში გაჭრილი ფრაგმენტულად გამოსახული სარკმლიდან შორეული პეიზაჟი იხსნება, რაც მეტ სივრცესა და გახსნილობას ანიჭებს პორტრეტს. სასურველია, მოსწავლეებმა სამოსის დეტალებიც შეადარონ ერთმანეთს. სახის თუ ტიპაჟის შედარებისას, აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რომ პირველ შემთხვევაში მზერა უფრო კონცენტრირებული და დაძაბულია, მეორე პორტრეტზე კი უფრო რბილი და ნაკლებად მკაცრი.

3. შეადარეთ დიურერის ადრეული პორტრეტები 1500 წლის პორტრეტს. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ მათ შორის?

ადრეულ პორტრეტებთან დიურერის 1500 წლის პორტრეტის შედარებისას, ცხადია, პირველ რიგში, მის უკიდურეს ლაკონიურობაზე გაკეთდება აქცენტი. მუქი ფონი პირველი პორტრეტის მსგავსია, სამაგიეროდ ფიგურის რაკურსი განსხვავდება ორივე ადრეული პორტრეტისაგან: თუ ადრეულ პორტრეტებზე დიურერი საკუთარ თავს სამმეოთხედში წარმოადგენს, გვიანდელ პორტრეტზე იგი ფასშია გამოსახული. განათებას გვიანდელ პორტრეტზე მეტი ყურადღება ენიჭება. გვიანდელ პორტრეტზე ნაკლებად არის დეტალიზებული სამოსი, დიურერს არ ახურავს თავსაბური, აქ მხოლოდ ცალი – მარჯვენა ხელია გამოსახული. მისი მზერა ბევრად უფრო გახსნილია და სულშიჩამწვდომი.

4. რას ფიქრობთ, ხომ არ იყო კადნიერება დიურერის მხრიდან საკუთარი გამოსახულების შემთხვევაში ქრისტეზე მინიშნების გაკეთება?

მასწავლებელმა ძალზე რბილად და შეუმჩნევლად უნდა წარმართოს მოსწავლეების მსჯელობა ამ საკითხზე. ქრისტესთან მსგავსებაზე დიურერის პრეტენზიულობად და მკრეხელობადაც შეიძლება ჩათვალონ მოსწავლეებმა, მაგრამ მასწავლებელმა დამატებითი შეკითხვებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეები იქამდე უნდა მიიყვანოს, რომ დიურერი ყოველი ქრისტიანის ვალად მიიჩნევს, ემსგავსოს ქრისტეს როგორც შინაგანად, ისე საქციელით.

5. გააანალიზეთ პავლე მოციქულის ეს ფრაზა. თქვენი აზრით, რას გულისხმობს ის?

პავლეს სიტყვების ანალიზი „არა მე, არამედ ქრისტე ჩემში" მოსწავლეთა ასაკის შესაფერისად უნდა იყოს ინტერპრეტირებული. მოსწავლეები, სავარაუდოდ, სხვადასხვაგვარ პასუხებს გასცემენ ამ შეკითხვას; მასწავლებელმა პასუხების დასაკონკრეტებლად, სასურველია ამგვარ ხერხს მიმართოს და ჰკითხოს ბავშვებს: დაგისვამთ როდესმე თქვენი თავისთვის კითხვა – ამ სიტუაციაში, ჩემს ადგილას, როგორ მოიქცეოდა, ვთვათ, მამა ან დედა? ან სულაც ქრისტე? და თუ თქვენ მოიქცევით ქრისტეს ცნებების მიხედვით, ჩათვალეთ, რომ ის თქვენშია. სწორედ ამას ამბობს დიურერი თავისი ავტოპორტრეტით. აზროვნება და ქმედება ისე, როგორც ამას მაცხოვარი გააკეთებდა. თუ მოსწავლე დასვამს კითხვას, საიდან ვიცით, როგორ მოიქცეოდა მაცხოვარი, მასწავლებელს შეუძლია, მარტივად უპასუხოს: სახარებიდან.

6. თქვენი აზრით, რატომ მიმართავს პიკასო დეფორმაციის ხერხს?

პიკასო დეფორმაციას მიმართავს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მძაფრად გადმოსცეს თავისი სათქმელი, რაც შეიძლება მეტად გაუსვას ხაზი ნაწარმოების მთავარ იდეას: სასმელისაგან დეგრადირებული ადამიანის სიცარიელეს და ადამიანის სახის დაკარგვას.

7. თქვენი აზრით, კიდევ რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს პიკასო მარტოსულობის ამ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად?

ადამიანის ტრაგედიის მძაფრად გადმოსაცემად პიკასო კიდევ იყენებს რამდენიმე ხერხს: 1. სურათის უკანა პლანზე, ფიგურასთან ძალზე ახლოს გამოსახულია კედელი, რომელიც უკნიდან საზღვრავს სივრცეს და კეტავს ფიგურას, ერთგვარ მარწუხებში აქცევს მას და გამოუვალობის შეგრძნებას ბადებს. 2. ფონზევე, სურათის მარჯვენა ზედა კუთხეში ფრაგმენტულადაა გამოსახული სარკე, რომელშიც მირაჟივით მოჩანს კაფეს ინტერიერი. აქ სიცოცხლე ჩქეფს, მაგრამ ეს ცხოვრება ამ ადამიანისათვის შორეული და არარეალურია, რაც მის მარტოსულობას კიდევ მეტად შეგვაგრძნობინებს.

8. შეადარეთ დიურერის ავტოპორტრეტისა და პიკასოს აბსენტის მოყვარულის ძირითადი იდეები. რა განსხვავებაა მათ შორის. რით ახსნით მათ შორის არსებულ სხვაობას?

დიურერის ავტოპორტრეტისა და პიკასოს აბსენტის მოყვარულის შედარებისას ნათლად იკვეთება ავტორთა ადამიანისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. დიურერი ადამიანს სთავაზობს რწმენის გზით მოპოვებულ სიცოცხლის აზრს: აზროვნება და ქმედება (საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში) მისი კრედოა; ხოლო პიკასო მხოლოდ აფიქსირებს მისი თანამედროვე ადამიანის სულიერ სიცარიელეს, მის მიერ რწმენის დაკარგვას, ღმერთის უარყოფას, ანუ იგი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ პრობლემის მხოლოდ

კონსტატაცია კრიზისული პერიოდების ნიშანია და სწორედ ამგვარი კრიზისი უდგას ევროპას XX საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ეს სურათი შეიქმნა. ამით მასწავლებელი კონტექსტის გააზრების საშუალებასაც მისცემს მოსწავლეებს.

25. ხელოვანის ამოცანა და სახვითი ხერხები

1. დააკვირდით ჟანა სამარის ამ ფოტოს. თქვენი აზრით, რამდენად ზუსტად ასახა რენუარმა ქალის გარეგნობა და მისი ხასიათი თავის ცნობილ პორტრეტში?

ცხადია, რომ მოსწავლეები ჟანა სამარის ფოტოსა და რენუარის პორტრეტს შორის მსგავსებას დაინახავენ, მთავარი მსგავსება სახის ნაკვთებსა და მის გულღია ღიმილშია, თუმცა, ფოტოზე ჟანა ოდნავ უფრო მსუქანია (ცნობილია, რომ იგი საკმაოდ მსუქანი იყო). აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ რენუარმა ერთგვარად შეალამაზა თავისი მოდელი.

2. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ოგიუსტ რენუარის ეს ნამუშევარი (ბ)?

ჟანა სამარის ეს პორტრეტი ეტიუდის შთაბეჭდილებას ახდენს.

3. წერის როგორი მანერა ახასიათებს ამ პორტრეტს (ბ)?

წერის მანერა უკიდურესად თავისუფალია; აქ გამოყენებულია სხვადასხვა ღია ფერის ძალზე ფართო, თავისუფალი, მოქნილი მონასმები და საერთოდ არ არ არის დაფიქსირებული ფორმათა კონტურები.

4. შეადარეთ ის ჟანა სამარის ჩვენ მიერ განხილულ პორტრეტს. რა განსხვავება და მსგავსებაა მათ შორის?

ჟანა სამარის გაკვეთილში განხილულ პორტრეტსა და ამ უკანასკნელ პორტრეტს შორის მსგავსება ძალზე მცირეა, მხოლოდ ღია კოლორიტით შეიძლება ისინი დავუკავშიროთ ერთმანეთს. წერის მანერა აქ გაცილებით უფრო თავისუფალია და ფორმისა და ფონის ურთიერთშერწყმა უკიდურესობამდეა მიყვანილი ისე, რომ ქალის სახე პრაქტიკულად არ ჩანს ანუ არ არის დაკონკრეტებული.

26. ფონი და ფიგურა

1. აღწერეთ რაფაელის სურათზე ასახული ფონი. რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს მხატვარი ფონის შემთხვევაში?

რაფაელის სურათზე ასახული ფონი წარმოადგენს გაშლილ შორეულ პეიზაჟს, რომელზეც ბუნების მშვიდი, იდილიური ხედია ასახული ფიგურის უკან. აქ გამოსახულია ბორცვებითა და გორაკებით შემორტყმული ტბა, რომელშიც შორს, შორს ნავი მიცურავს.

რაფაელი აქ იყენებს როგორც გეომეტრიული პერსპექტივის კანონებს - ამცირებს საგნების (ხეების, ნავის, ადამიანების ზომას), ასევე, ფერადოვანი პერსპექტივის კანონებსაც, როდესაც შედარებით წინა პლანზე მწვანე ფერი უფრო ხასხასაა, უკანა პლანზე კი, სიშორის მიხედვით, ის უფრო ღიავდება. ასევე რაფაელს აქ ჰაეროვანი პერსპექტივაც აქვს გამოყენებული: გორაკების კონტურები უკანა პლანზე შედარებით გაბუნდოვნებულია.

2. როგორი ურთიერთმიმართებაა ფიგურასა და ფონს შორის რაფაელის სურათზე?

ფიგურასა და უკანა პლანს შორის ამ სურათზე მკვეთრი დაპირისპირებაა. ფიგურა მხატვარს ძალზე ახლოს, წინა პლანზე აქვს მოტანილი ისე, რომ მისი სხეული, მუხლებს ზემოთ, ტონდოს მრგვალი მოხაზულობით იჭრება; ხოლო უკანა პლანი ძალზე შორეულ პეიზაჟს ეთმობა.

3. როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ფონი და რამდენად შეესაბამება ის წინა პლანზე გამოსახულ ფიგურებს?

ფონი ამ სურათზე მშვიდი, იდილიური და გარინდებულია, რაც კარგად შეესაბამება წინა პლანზე გამოსახული ფიგურების - ღვთისმშობლისა და ყრმის მშვიდსა და უდრტვინველ ფიგურებს.

27. პორტრეტი ქართულ მხატვრობაში

1. რა საერთო ნიშნებს ხედავთ ტფილისური პორტრეტების წარმოდგენილ ნიმუშებში? აღწერეთ მათი კომპოზიცია, კოლორიტი, ფორმათა დამუშავება.

ყველა პორტრეტზე ადამიანები სამ მეოთხედში წელამდე არიან გამოსახულნი; ფონი უმეტეს შემთხვევაში განყენებული და სადაა, კომპოზიცია – ლაკონიური, კოლორიტი ძირითადად მუქია და თავშეკავებული; დეტალურადაა ასახული სახის ნაკვთები, სამოსის, ქსოვილების და სამკაულების ფაქტურა; წერის მანერა გულდასმითია.

2. როგორ დაახასიათებდით პორტრეტებზე გამოსახულ ადამიანებს?

სურათებიდან სერიოზული, თავშეკავებული ადამიანები გვიმზერენ; ჩაფიქრებული მზერა, შინაგანი სიმშვიდე და კდემამოსილება, კეთილშობილება და ღირსების გრძნობა გამოსჭვივის მათ სახეებში;

3. რა სახის ინფორმაციას გვაწვდის ტფილისური პორტრეტული სკოლის ნამუშევრები კონკრეტულ ადამიანზე, ეპოქაზე?

ტფილისური პორტრეტული სკოლის ნიმუშებიდან ვიგებთ, თუ როგორი თავდაჭერილი, ღირსებით აღსავსე ადამიანები ცხოვრობდნენ იმ შორეულ წარსულში ჩვენს ქვეყანაში, რომ ისინი ზრუნავდნენ შთამომავლებისათვის საკუთარი სახეები შემოენახათ. ამ ყოველივეში ვლინდება ეპოქა ანუ წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორი საზოგადოება იყო მაშინ და რა ღირებულებებს ატარებდა ეს საზოგადოება.

4. რას ფიქრობთ, რომელი ლიტერატურული ნაწარმოების ან სპექტაკლის გაფორმებაში შეიძლება ამ პორტრეტების გამოყენება.

ამ შეკითხვაზე პასუხი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, თუმცა, ალბათ მაინც ეს უნდა იყოს ისეთი ნაწარმოები, რომელშიც მოქმედება სწორედ ამ ეპოქაში, XIX საუკუნეში მიმდინარეობს.

5. შეადარეთ ერთმანეთს „ტფილისური სკოლისა“ და გ. გაბაშვილის პორტრეტები. ჩამოაყალიბეთ, რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის.

მთავარი, რაზეც ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა მიექცეს ყურადღება, ისაა, რომ განსხვავება შესრულების მანერაშია. გიგო გაბაშვილის წერის მანერა ლაღია, თავისუფალი, ფორმები რეალისტურადაა ასახული, კოლორიტი შედარებით ღია და ხალისიანია, მაშინ როდესაც, ტფილისური სკოლის პორტრეტების წერის მანერა უფრო გულდასმითია, კოლორიტი კი მუქი და თავშეკავებულია.

6. დაახასიათეთ გამომსახველობის ძირითადი ხერხები და საშუალებები (კომპოზიცია, კოლორიტი, ფორმათა დამუშავება), რომლებსაც იყენებს მხატვარი აქ წარმოდგენილ ნამუშევრებში.

ფიროსმანის კომპოზიცია უკიდურესად ლაკონიურია და მარტივი, კოლორიტი ასევე ლაკონიურია, აგებულია სულ რამდენიმე ფერით და მასში სამოსის წითელი აქცენტია წამყვანი; ფორმები დამუშავებულია ძალზე მარტივად, მაგ., შარვალზე სულ რამდენიმე ფართო, თეთრი მონასმით გადმოცემულია მოცულობა.

7. თქვენი აზრით, რა მხატვრული როლი ენიჭება პორტრეტზე გამოსახულ გარემოს დ. კაკაბაძის ავტოპორტრეტზე?

დავით კაკაბაძის მასიური ფიგურა თავდაჭერილი, მკაცრი ხასიათის ადამიანს წარმოუდგენს მაყურებელს. ავტოპორტრეტზე გარემოს საკმაოდ დიდი როლი აკისრია. ფონის ერთი ნაწილი ფიგურის უკან ჩამოფარებულ ორნამენტულ ფარდას უჭირავს, რომელიც უკნიდან კეტავს კომპოზიციას და წინ წამოსწევს მხატვრის სახეს. სურათის მარცხენა კიდესთან კი, ფარდის მიღმა შორეული პეიზაჟია გამოსახული, საიდანაც სიღრმეში მიმავალი სივრცე იხსნება. ორი ამგვარად განსხვავებული მონაკვეთი მეტად მრავალფეროვან გარემოს ქმნის ამ პორტრეტში.

შენიშვნა: *ბუნებრივია, რომ დავით კაკაბაძის ავტოპორტრეტის დახასიათებისას მოსწავლე საკუთარი ლექსიკის გამოყენებით აღწერს ნამუშევარს. მნიშვნელოვანია, რომ პორტრეტის*

დახასიათებისას მოსწავლემ ყურადღება გაამახვილოს ფიგურისა და ფონის ურთიერთმიმართებაზე, კერძოდ კი იმაზე, რომ ინტენსიური წითელი ფონი მკაფიოდ გამოკვეთს მხატვრის ნაკვთებს და მის მკაცრს ხასიათს. სასურველია, რომ მოსწავლემ ყურადღება მიაქციოს სურათზე ასახული პეიზაჟის რომანტიკულ ხასიათსაც.

8. ჩამოაყალიბეთ, რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული ამ ნამუშევარში. რას ფიქრობთ, რეალისტურია თუ არა ეს ნაწარმოები?

ესმა ონიანის პორტრეტზე გამოყენებულია პირობითი მხატვრული ხერხები. დარღვეულია ფიგურის პროპორციები, წაგრძელებულია ყელი, არაპროპორციულად პატარა ზომისაა ფიგურის თავი. წერის მანერა უკიდურესად ექსპრესიულია, თავისუფალი; დიდი მონასმებითაა დაწერილი მუქი ფერის კაბა, თუმცა რეალურ მოცულობას ეს მონასმები არ ქმნის და გამოსახულება სიბრტყობრივია.

9. ხომ არ გიჩნდებათ ასოციაცია სხვა ეპოქის რომელიმე ცნობილი მხატვრის პორტრეტებთან? დაასახელეთ ეს მხატვარი და სცადეთ, განსაზღვროთ, რა ნიშნებით ჰგავს მათ წარმოდგენილი ნამუშევარი.

ძალიან შორეულად ეს პორტრეტი მოგვაგონებს ამადეო მოდილიანის პორტრეტებს მთელი რიგი ნიშნებით: ქალის წაგრძელებული ყელით, გამოსახვის სიბრტყობრივი ხერხებით, თუმცა განსხვავებაც ძალზე არსებითია: პირველ რიგში განსხვავებულია ფერადოვნება: თუ მოდილიანისთან უფრო ღია კოლორიტი და შედარებით ლოკალური ფერები გვხვდება, აქ კოლორიტი უფრო მუქია და ფერადოვანი სიბრტყეები ლოკალური არ არის, ისინი სხვადასხვა ფერის მონასმებითაა დაწერილი; გარდა ამისა, მოდილიანისთან უფრო აქტიურია კონტურის ხაზი, აქ კი ხაზს საერთოდ არ ვხვდებით, შესრულების მანერა აქ უფრო ფერწერულია.

შენიშვნა: *სასურველია მასწავლებელმა მეტი თვალსაჩინოებისათვის ამადეო მოდილიანის პორტრეტებიც აჩვენოს მოსწავლეებს, რათა მათ ინტერაქტივის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუადვილდეთ.*

10. როგორ დაახასიათებდით ამ სურათზე წარმოდგენილ ქალს?

ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ დახვეწილი მანერების მქონე, თავდაჭერილ, კეთილშობილ არისტოკრატ ქალის; ეს თვისებები ჩანს მისი თხელი სახის დახვეწილ ნაკვთებში, ნატიფ თითებსა და წაგრძელებულ პროპორციებში.

28. რეალობისა და წარმოსახვის ზღვარზე

1. როგორ დაახასიათებთ მარკ შაგალის ამ ნამუშევარს?

ეს ერთგვარად ზღაპრული, პოეტური ნამუშევარია, რომელზეც, ერთი მხრივ, გამოსახულია რეალური პეიზაჟი და, მეორე მხრივ, ცაში მფრინავი ერთმანეთს გადაჭდობილი ორი ადამიანი – მამკაცი და ქალი. რეალობა და მხატვრის წარმოსახვა აქ ერთმანეთს ერწყმის.

2. თქვენი აზრით, რა არის უჩვეულო ამ ნამუშევარში?

უჩვეულო ამ ნამუშევარში ისაა, რომ აქ მფრინავი ადამიანები არიან გამოსახულნი. ისინი სურათის ზედა ნაწილში, ცის ფონზე თითქოს „მიცურავენ".

3. როგორ არის აგებული ამ ნამუშევრის კომპოზიცია და როგორ ფერებს იყენებს მხატვარი აქ?

ამ ნამუშევრის კომპოზიცია არამყარია, ქალაქი დამრეცად არის გამოსახული და მყარ საფუძველს ვერ უქმნის სურათის ზედა ნაწილში ცაში მოფარფატე, ერთმანეთს გადაჭდობილ, ისედაც არამყარ მდგომარეობაში წარმოდგენილ ორ ფიგურას. ნამუშევარს ფერადოვანი თვალსაზრისით ამთლიანებს ლურჯი და ცისფერი ტონები.

4. რას ფიქრობთ, როგორ განწყობილებას ქმნის მხატვარი ამ ნამუშევარში?

მხატვარი ამ ნამუშევარში რომანტიკულ-სევდიან, ლირიკულ განწყობილების ქმნის.

5. რას ფიქრობთ, რომელი ქვეყნის არქიტექტურის ტიპური ნიმუშია ამ სურათზე ასახული?

ამ სურათზე ასახულია რუსული ეკლესია, რადგან ხახვის ბოლქვის მსგავსი გუმბათები სწორედ რუსული ტაძრებისთვისაა დამახასიათებელი.

6. რა იქცევს, პირველ რიგში, მაყურებლის ყურადღებას ამ სურათში?

ამ სურათზე მაყურებლის ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს დიდი ზომის გარემოსთან მასშტაბურად შეუსაბამო მფრინავი მამაკაცის გამოსახულება.

7. რას ფიქრობთ, რეალისტურია თუ პირობითი წარმოდგენილი ნამუშევარი?

ამ ნამუშევარში არის როგორც რეალისტურად ასახული ნაწილები (პეიზაჟის ცალკეული ელემენტების პერსპექტიული შემცირება სიღრმის კვალად), ისე პირობითი ელემენტები: ცის დამუშავება სხვადასხვა ტონის ლაქებითა და მონასმებით, მამაკაცის მასშტაბური შეუსაბამობა და მისი სხეულის ფორმების სიბრტყობრივად, ბრტყელი ლაქის საშუალებით გადმოცემა, ტაძრის ფორმების დეფორმირება, თავად ტაძრის უჩვეულო ყვითელი ფერი.

8. დაფიქრდით, რა არის წარმოდგენილი მარკ შაგალის ამ ნამუშევარზე?

შაგალის ამ ნამუშევარზე წარმოდგენილია ცირკის არენა, რომელზეც სხვადასხვა ნომრების შემსრულებელ მსახიობებს ვხედავთ.

9. როგორი განწყობილება სუფევს სურათზე?

სურათი მხიარული, ხალისიანი, შეიძლება ითქვას, საზეიმო-ბალაგანური განწყობილებით ხასიათდება.

10. გამოსახვის რომელ ხერხებს გამოყოფდით ამ ნამუშევარზე?

აქ ერთდროულად გვხვდება როგორც გრაფიკული, ისე ფერწერული ხერხები. აქ ვხვდებით გრაფიკულად გამოსახულ დეტალებს, მაგ., მარტივად, ხაზით არის შესრულებული ცხენზე მდგარი გოგონას კაბა, ასევე, ცხენის სხეულზე შემოვლებული კონტურის ხაზი და, ამავე დროს, ფერწერული მონასმებითაა შესრულებული ცირკის არენა.

30. ადამიანი თანამედროვე ქართულ ქანდაკებაში

1. დააკვირდით ჩახრუხაძის პორტრეტს და ჩამოაყალიბეთ, როგორ შთაბეჭდილებას აღძრავს ის.

ჩახრუხაძის პორტრეტი რომანტიკული ბუნების მქონე შთაგონებული პოეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც იყო კიდეც ავტორის მიზანი.

შენიშვნა: *სასურველია, მასწავლებელმა გააცნოს მოსწავლეებს, ვინ იყო ჩახრუხაძე.*

ჩახრუხაძე (1170 — 1212) XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართველი პოეტი, რომელიც თამარ მეფის კარზე მოღვაწეობდა და რომელიც ტრადიციულად მიიჩნევა *"თამარიანის"* ავტორად. ცნობილია, რომ იგი წარმოშობით ხევიდან, სოფელ დარიალიდან იყო. მას ისეთი ქართველი პოეტების გვერდით აყენებენ როგორიცაა იოანე შავთელი და შოთა რუსთაველი.

მისი პოემა „თამარიანი" ხოტბას ასხამს თამარ მეფეს. თამართან ერთად ამ პოემაში შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი და ვაჟი - ლაშა-გიორგი. ზოგ მკვლევარს „თამარიანი სხვადასხვა დროს დაწერილი ოდების კრებულად მიაჩნია, ზოგს კი - თამარ მეფის ცხოვრების ამსახველ ერთიან პოემად. ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს XIII ს-ის დასაწყისში, ჩვენამდე კი XVII- XVIII საუკუნეთა ხელნაწერების სახითაა მოღწეული.

2. დაახასიათეთ ქანდაკება და განსაზღვრეთ ის ძირითადი მხატვრული ხერხები, რომლებიც განაპირობებს ქანდაკებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას.

ესაა ბიუსტი, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ პოეტის სახეს წარმოაჩენს. ამ ნამუშევრის მთავარი შთაბეჭდილების შექმნას, ძირითადად, თავისუფლად ნაძერწი ფორმები განაპირობებს,

რომლებიც ღრმა შუქჩრდილებს ქმნიან სახეზე, მიხედავად იმისა, რომ პორტრეტი ქვაშია გამოკვეთილი, ფორმები ისეა დამუშავებული, რომ ის ნაძერწის შთაბეჭდილებას ტოვებს.

3. აღწერეთ ის მხატვრული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ესა თუ ის მხატვრული შთაბეჭდილება თითოეული ქანდაკების შემთხვევაში.

გოგი ოჩიაურის ვაჟა-ფშაველა: დიდი, მონუმენტური ფორმები, გადიდებული მარცხენა ხელი;

ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი: მკაფიო ლაკონიური სილუეტი, სტატიკურობა, დაძაბული, განზოგადებული მკვრივი ფორმები;

მერაბ ბერძენიშვილის მედეა: დიდი მონუმენტური ფორმები, დანაწევრებული, ტეხილი სილუეტი, ფიგურების დინამიკური პოზები, ფორმების დეფორმაცია და პლასტიკურობა.

4. რამდენად შეესაბამება ქანდაკება თქვენს წარმოდგენას გამოსახული კონკრეტული პიროვნების შესახებ?

ამ შეკითხვაზე (რამდენად შეესაბამება ქანდაკება თქვენს წარმოდგენას ასახული კონკრეტული პიროვნების შესახებ) პასუხები, შეიძლება იყოს უარყოფითიც და დადებითიც. მასწავლებელმა უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება, მოიყვანონ არგუმენტები.

5. გაიხსენეთ არგონავტების მითი და მედეას ისტორია. რომელ დრამატულ ეპიზოდებს გამოჰყოფთ ამ მითში განსაკუთრებულად.

მოსწავლეები არგონავტების მითის შემთხვევაში, ცხადია, ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდად მედეას მიერ შვილების დახოცვას დაასახელებენ.

6. რომელი სახვითი ხერხების გამოყენებით აღწევს მოქანდაკე მხატვრულ გამომსახველობას?

ავტორი მედეას ქანდაკების შემთხვევაში იყენებს ფორმის დეფორმაციას და დინამიკას.

7. აღწერეთ ჯუნა მიქატაძის ქანდაკება.

ჯუნა მიქატაძის გალაქტიონის ქანდაკების აღწერისას მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ფიგურის სხეული მკაფიოდ არ ჩანს, ის თითქოს ქსოვილის „ბობოქარ ტალღებშია" გახვეული, საიდანაც ამოიზრდება პოეტის შთაგონებული სახე.

8. გაიხსენეთ, გალაკტიონის პოეზიიდან რომელიმე ლექსი, რომელიც თავისი განწყობით ამ ქანდაკებას მოგაგონებთ.

მოსწავლეებმა, შესაძლოა, სხვადასხვა ლექსი გაიხსენონ ჯუნა მიქატაძის გალაქტიონის ქანდაკების ნახვისას, მაგრამ, ალბათ, ყველაზე ადექვატურია მისი ლექსი „ქარი ქრის". სასურველია, მასწავლებელმა ეს ლექსი ან ნაწყვეტი ამ ლექსიდან წაუკითხოს მოსწავლეებს.

9. რამდენად შეესაბამება ეს ქანდაკება თქვენს წარმოდგენას გალაკტიონის, როგორც დიდი პოეტისა და პიროვნების შესახებ?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, შესაძლოა, მოსწავლეებმა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხი გასცენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი აზრი.

10. აღწერეთ ბარათაშვილის ხიდზე განლაგებული ქანდაკებები და გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილება.

მოსწავლეებმა უნდა აღწერონ გია ჯაფარიძის ქანდაკებების მოძრაობა, პოზები, მათი ჩაცმულობა, სტილიზებული ფორმები. მათი შთაბეჭდილება კი, ალბათ, იქნება ხალისიანი, მხიარული.

11. განსაზღვრეთ, რა ფაქტორები განაპირობებს კონკრეტული მხატვრული შთაბეჭდილების შექმნას.

პირველ რიგში, გია ჯაფარიძის ქანდაკებებისაგან აღძრულ სახალისო განწყობილებას განსაზღვრავს ფიგურების თავისუფალი, ბუნებრივი და ხალისიანი პოზები; ასევე ისიც, რომ ისინი ზრდასრული ადამიანის ზომისაა და სადღაც შორს, სიმაღლეზე და კვერცხლბეკზე კი არ დგანან,

არამედ უშუალოდ ადამიანის სივრცეში, მის გვერდით „მოქმედებენ", რაც მათთან სიახლოვის, ერთობის შეგრძნებას ბადებს.

12. თქვენი აზრით, რამდენად შესაფერისია ეს ადგილი (ხიდი) ამ ქანდაკებებისათვის?

ალბათ, მოსწავლეთა უმეტესობა გია ჯაფარიძის ამ სახალისო ქანდაკებებისათვის ხიდზე ადგილის მიჩენას დადებითად შეაფასებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მათ საკუთარი მოსაზრება არგუმენტებით უნდა გაამყარონ.

32. ძველი ნამუშევრის ახალი სიცოცხლე

1. აღწერეთ პაპის პოზა და ჩაცმულობა.

ტახტზე მჯდომი პაპი მნახველისაკენ სამ მეოთხედშია გამოსახული. იგი მშვიდად ზის, ხელები სავარძლის სახელურებზე აქვს ჩამოდებული და მზერა ჩვენსკენ, მნახველისაკენ აქვს მომართული. მას თეთრი ქათქათა ქვედაბოლო აცვია, მხრებზე პრიალა წითელი ატლასის წინ შეკრული მოკლე მოსასხამი აქვს დაფენილი, რომელსაც თეთრი მოზრდილი საყელო ამშვენებს. მას თავზე პაპის წითელი წუდი ახურავს.

2. იმსჯელეთ, როგორ არის გამოსახული გარემო პორტრეტზე.

გარემო ამ პორტრეტზე ძალზე ძუნწად არის გამოსახული. მოჩანს მხოლოდ საკმაოდ მდიდრული, მოოქრული ხის საზურგიანი სავარძელი, რომლის ცენტრალურ ნაწილზე წითელი ქსოვილია გადაკრული. პაპის ფიგურის უკან მოჩანს მუქი წითელი ფონი, რომელიც იმდენად ზოგადადაა გამოსახული, რომ გაურკვეველია, კედელია ეს თუ უკნიდან მუქი წითელი ქსოვილის ფარდა საზღვრავს პაპის გამოსახულებას. სივრცე ამ სურათზე სწორედ ამ წითელი ფონით არის შეზღუდული. ეს ფონი თავისუფალი, ფართო წითელი, ალაგ-ალაგ მოყავისფრო მონასმებითაა დაწერილი, ამიტომ ეს ერთგვაროვანი სიბრტყე როდია, არამედ, სხვადასხვა ტონალობის წითლით შევსებული მონაკვეთებისაგან შედგება.

3. დააკვირდით ინოკენტი X-ის პორტრეტს და იმსჯელეთ, რომელი შთაბეჭდილების მიხედვით შექმნა ველასკესმა ეს პორტრეტი.

ველასკესმა ეს პორტრეტი თავისი პირველი შთაბეჭდილების მიხედვით შექმნა.

4. თქვენი აზრით, რას გამოხატავდა პაპის ეს სიტყვები?

ეს სიტყვები ორაზროვანია და მათში ორივე აზრის ამოკითხვა შეიძლება.

5. თქვენთვის ცნობილი რომელი მხატვარი შეგიძლიათ დაასახელოთ, რომელიც ასევე აქტიურად მიმართავს ფორმის დეფორმაციას ექსპრესიის გადმოსაცემად?

დეფორმაციაზე საუბრისას მოსწავლეებმა სხვადასხვა მხატვარი შეიძლება დაასახელონ, თუმცა, ალბათ, მათ პირველ რიგში პიკასო გაახსენდებათ.

6. პიკასოს რომელ ნამუშევარს გაგონებთ ბეკონის ეს სურათი თავისი ექსპრესიულობით?

მოსწავლეები გაიხსენებენ პიკასოს სხვადასხვა ნამუშევარს: დორა მაარის პორტრეტს, რამდენიმე გაკვეთილის წინ ნასწავლ აბსენტის მოყვარულს და სხვ.

7. გაიხსენეთ პიკასოს ნამუშევარი „აბსენტის მოყვარული" და შეადარეთ პიკასოს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა ბეკონის პაპისას. რა მსგავსება და რა განსხვავება შეიძლება დავინახოთ მათ შინაგან მდგომარეობაში?

მსგავსება ამ ორ ნამუშევარს შორის ალბათ ისაა, რომ ორივე მხატვარი ადამიანის შინაგან დრამატულ მდგომარეობას ასახავს და ორივე მათგანი იყენებს დეფორმაციის მეთოდს; განსხვავება კი ისაა, რომ აბსენტის მოყვარული ქალი თავის თავშია ჩაკეტილი და თითქოს არც კი გამოხატავს თავის შინაგან მძიმე მდგომარეობას, ხოლო ბეკონის პაპის ემოცია მთლიანად გარეთაა გამოფრქვეული.

8. აღწერეთ, როგორ არის გადმოცემული გარემო ბეკონის სურათზე და რა შთაბეჭდილებას ქმნის ის.

ბეკონის სურათზე გარემო პირობითადაა გამოსახული. მუქი, სადა, განყენებული ფონი, ვერტიკალური ფართო ზოლები, რომლებიც პაპის გამოსახულებასაც კვეთს, რა თქმა უნდა, რეალობას სრულიად მოწყვეტილ გარემოზე მიგვითითებს. წინა პლანზე გამოსახული ყვითელი ფერის ზოლები თითქოს ერთგვარ ჩარჩოს უქმნის ფიგურას, მარწუხებში აქცევს მას, მაგრამ რას გამოსახავს ეს ზოლები პრაქტიკულად გაურკვეველია.

9. არის თუ არა სივრცე ბეკონის ნამუშევრებში და როგორაა ის აგებული?

სივრცე ბეკონის ნამუშევარზე პირობითია, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ გვაქვს ერთგვარი პლანები: წინა პლანზე — ყვითელი ზოლები, შუა პლანზე - თავად პაპი, რომელიც 3/4-ში ზის, და სულ ბოლოს, უკანა პლანზე შავი, ყრუ ფონია, რომელიც სრულიად კეტავს კომპოზიციას. ერთი სიტყვით, სურათში არის სივრცე, თუმცა ის პირობითია.

10. გაიხსენეთ წინა წლებში განვლილი მასალიდან, XX საუკუნის კიდევ რომელი მხატვრების შემოქმედებაში გვხდება ველასკესის ნამუშევრების ინტერპრეტაცია?

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ წინა წელს ნასწავლი პიკასოს მიერ შექმნილი სერია „მენინები", რომელიც ველასკესის ამავე სახელწოდების სურათით იყო შთაგონებული.

11. თქვენი აზრით, რას ამბობს ბეკონი ყვირილის ასახვით თანამედროვე ადამიანის შესახებ?

ბეკონის მიერ სხვადასხვა სურათზე ყვირილის მოტივის გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ბეკონი ამით თანამედროვე ადამიანის შინაგანი მძიმე მდგომარეობის, გამოუვალობის განცდას და მის სასოწარკვეთას ასახავს.

12. კიდევ რომელ მხატვარს აქვს ასახული ადამიანის სასოწარკვეთილი ყვირილი?

სასოწარკვეთილი ყვირილი ედვარდ მუნკს აქვს ასახული თავის ნამუშევარში „ყვირილი".

თავი III. ადამიანი, საზოგადოება და ხელოვნება

34. არქეოლოგიური მონაპოვარი – ინფორმაციის წყარო

1. გაიხსენეთ მითი მინოტავროსის შესახებ და დაფიქრდით, რით შეიძლება ის დაუკავშიროთ კნოსოსის სასახლეს.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კრეტის მმართველი მინოსი ზევსისა და ევროპეს ერთ–ერთი ვაჟიშვილი იყო. იგი კუნძულ კრეტაზე დაიბადა. მინოსი იშვილა კრეტის მეფემ ასტერიონმა. მამობილის სიკვდილის შემდეგ კი მინოსმა თავად დაიკავა კრეტის სამეფო ტახტი და ცოლად შეირთო მზის ღმერთის, ჰელიოსის ქალიშვილი პასიფაე. მინოსსა და პასიფაეს ჰყავდათ ვაჟი, ანდროგეოსი, რომელმაც ათენის შეჯიბრებებში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებული ანდროგეოსი მარათონულმა ხარმა მოკლა. ათენელებზე შურის საძიებლად, მინოსმა ჯარი გაგზავნა და მათ ბრძოლა გაუმართა. ამ ბრძოლაში ათენელები დამარცხდნენ და მინოსმა მათ ხარკი დაუწესა. უმძიმესი იყო ეს ხარკი: ათენელები კრეტაზე ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ აგზავნიდნენ შვიდ ქალწულსა და შვიდ ჭაბუკს, სადაც მათ შთანთქავდა ხარ-კაცი მინოტავროსი, რომელიც ლაბირინთში ბინადრობდა. პასიფაემ პოსეიდონისაგან (თუ მისგან მიგზავნილი ხარისაგან) შვა ეს საშინელი ურჩხული მინოტავროსი, რომელიც მინოსმა დედალოსის მიერ აგებულ ლაბირინთში დაამწყვდია. ეგევსის შვილმა, თესევსმა განიზრახა, ათენელებთან ერთად გამგზავრებულიყო კრეტაზე, მოეკლა მინოტავროსი და ამით სიკვდილისაგან ეხსნა როგორც განწირული თანამოქალაქეები, ასევე, თავისი მშობლიური ქალაქი სამუდამოდ გაეთავისუფლებინა ამ შემაძრწუნებელი ხარკისაგან. კრეტაზე ჩასული თესევსი ხილვისთანავე შეუყვარდა მინოსის ასულს არიადნეს, რომელმაც ძაფის გორგალი მისცა თესევსს, ბასრი მახვილითაც აღჭურვა და თან დაარიგა: ძაფის თავისუფალი ბოლო ლაბირინთის კარის წირთხლისათვის გამოება; გორგალი თავისით გაგორდებოდა და უსასრულო

დერეფნების გავლით მიაღწევდა მინოტავროსის სამყოფელამდე. უკანა გზაზე გმირს დაშლილი ძაფი ისევ უნდა დაეგორგლა. თესევსი ასეც მოიქცა, მინოტავროსი მოკლა და არიადნეს ძაფის საშუალებით ლაბირინთიდან უკან გამოვიდა.

2. რა ნაწილებისაგან შედგება კნოსოსის სასახლის სვეტები. რა არის უჩვეულო მათ მხატვრულ თუ კონსტრუქციულ იერსახეში?

კნოსოსის სასახლის სვეტებს უჩვეული ფორმა აქვს. როგორც წესი, სვეტები ქვემოდან ზემოთ ვიწროვდება, აქ კი პირიქით, ისინი ზემოთ განიერია და ქვემოთ ვიწრო. გარდა ამისა, ისინი უჩვეულო ფერითაც გამოირჩევა. მათი წითელი ფერი განსაკუთრებულ ეფექტს ანიჭებს ამ სვეტებს. სვეტებს არ აქვს საყრდენი ელემენტი (ბაზისი), სამაგიეროდ, ზედა ნაწილში აქვს მრგვალი „ბალიში", რომელსაც კაპიტელი ეწოდება.

3. რომელი სართულის ოთახები იქნებოდა უკეთ განათებული სასინათლო ჭების მეშვეობით?

ცხადია, უკეთ იქნებოდა განათებული ზედა სართულები.

4. აღწერეთ კნოსოსის სასახლის ფრესკა „ქალები ცისფერში".

კნოსოსის სასახლის ამ ფრესკაზე სამი მოხდენილი ქალია გამოსახული. მათ ულამაზესი კაბები აცვიათ, თმები საგანგებოდ აქვთ დავარცხნილ-დალაგებული, უკან აწეულ თმებში თეთრი მარგალიტის მძივები აქვთ ჩაბნეული, ხოლო საფეთქლებთან გრძელი ხვეული კულულები ეშვება. როგორც ჩანს, ასეთი იყო კრეტელთა მოდა. სამივე ქალის სახე პროფილშია წარმოდგენილი. მარცნივ გამოსახული ქალი ერთ მხარეს იყურება, დანარჩენი ორი კი – საპირისპირო მხარეს. მათი ლამაზი პროფილი უდახვეწილესი, ნატიფი კონტურის ხაზითაა შემოსაზღვრული. თვალები, ეგვიპტური ფიგურების მსგავსად, ფასშია გამოსახული, მაშინ, როდესაც, სახე მთლიანად პროფილშია წარმოდგენილი. მათი მოძრაობა თავისუფალი და ლაღია.

5. რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს გამოსახულებები თქვენზე?

ეს გამოსახულებები მნახველზე ხალისიან შთაბეჭდილებას ახდენს; რაც ძალზე მნიშვნელოვანი ეს სცენა აშკარად საერო ხასიათს ატარებს და მასში რაიმე რელიგიური რიტუალის ამოკითხვა არ ხერხდება.

6.დაახასიათეთ გამოსახვის ხერხები.

გამოსახვის ხერხები ამ ფრესკაზე ძირითადად გრაფიკულია, წამყვანია მეტად დახვეწილი, რაფინირებული ხაზი, ლოკალური ფერადოვანი ლაქები და მსუბუქი, ღია ფერებით აგებული კოლორიტი.

7.რა ინფორმაციას იღებთ მოხატულობის ამ ნიმუშებიდან კრეტელთა ცხოვრების წესზე?

მოხატულობის ამ ნიმუშების გაცნობის შემდეგ ჩვენ აშკარად გვიჩნდება შეგრძნება, რომ კრეტელები ძალზე ლაღი და თავისუფალი ხალხი იყო; ასეთივე ლაღი, მხიარული და ხალისიანი იყო მათი ცხოვრების წესიც, რასაც ფრესკებზე ასახული მათი ხარებთან თამაშობები, საზეიმო პროცესიები თუ ნადიმების სცენები გვიდასტურებს.

8. გააანალიზეთ, როგორ ერწყმის ერთმანეთს ფორმა და დეკორი ფილაკოპეს ოინოქოიეს შემთხვევაში.

ფილაკოპეს ოინოქოეს ფორმისა და დეკორის ურთიერთმიმართების გასაანალიზებლად, პირველ რიგში აღწერილი უნდა იყოს თავად ამ ჭურჭლის ფორმა: განიერი მუცელი, ვიწრო ყელი, რომელიც ცალ მხარესაა მკვეთრად გადაწეული. სწორედ ამან განაპირობა მასზე გამოსახული ყვავილების განლაგება, ცენტრში ყველაზე მაღალღეროიანი ყვავილია გამოსახული, გვერდებზე კი ყვავილების ღეროების სიმაღლე მცირდება, რაც ჭურჭლის ფორმისა და დეკორის სრულ ურთიერთშეთანხმებულობას განაპირობებს.

35. ხელოვნება – ინფორმაციის წყარო

1. აღწერეთ ეს სურათი. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ის თქვენზე და რატომ?

ჟერიკოს სურათის „მედუზას“ ტივის“ აღწერისას, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ წინა პლანზე გამოსახულ ტივს, მასზე მყოფ ადამიანებს და დეტალურად აღწერონ მათი მოძრაობა, პოზები; ასევე, მოსაწავლეებმა უნდა აღწერონ გარემო: მღელვარე ზღვა და მოქუფრული ცა. გარდა ამისა, მათ უნდა ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებაზე, შთაბეჭდილება კი ამ სურათისაგან არის მძიმე და ტრაგიკული.

2. რომელ ხერხებს იყენებს ავტორი, რათა მძაფრად გადმოსცეს სიუჟეტის დრამატულობა?

სიუჟეტის მძაფრად გადმოსაცმად ავტორი იყენებს როგორც კომპოზიციურ ხერხს (დიაგონალურად აგებს კომპოზიციას, რაც დინამიკას და დაძაბულობას ანიჭებს სცენას), ისე ფერადოვან გადაწყვეტას (ტყვიისფერ-მოყავისფრო მუქი კოლორიტი). სცენის სიმძაფრეს აძლიერებს შიმშილისა და წყურვილისაგან ღონემიხდილი ფიგურები, მათი დრამატული, განწირული პოზები და სახეების სასოწარკვეთილი გამომეტყველება.

3. ჩანს თუ არა ამ სურათზე მხატვრის დამოკიდებულება მომხდარი ფაქტის მიმართ?

სურათზე ადამიანთა ტანჯვა იმდენად ზუსტად და გულდასმითაა გადმოცემული, რომ მხატვრის მხრიდან თანაგრძნობის გარეშე ეს ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

4. რა საერთო აქვს ჩანახატებს და სურათს?

ჩანახატებსა და სურათს საერთო აქვს ის, რომ სამივე შემთხვევაში ტივი და მასზე მყოფი ადამიანები სურათის ცენტრში, წინა პლანზე არიან გამოსახული და თავად ტივი დიაგონალურად არის წარმოდგენილი სასურათო სიბრტყეზე; გარდა ამისა, სამივეგან ტივზე აღმართული ბოძი სურათის ერთგვარ ღერძს ქმნის. განსხვავება კი მდგომარეობს შემდეგში: სამივე სურათზე ტივის დიაგონალური მიმართულება სხვადასხვაგვარია, ადამიანთა პოზებიც განსხვავებულია. ყველაზე მეტად გააზრებული, რა თქმა უნდა, ფერწერული ტილოს კომპოზიციაა, სადაც დიაგონალის თავში მოქცეულია შემაღლებაზე მდგომი მამაკაცი, რომელიც ქსოვილს აფრიალებს და ჰორიზონტზე გამოჩენილ გემს უხმობს.

5. იყენებს თუ არა ჟერიკო ამ ჩანახატების გარკვეულ ელემენტებს თავის ფერწერულ ტილოზე?

დიახ, ჟერიკო ფერწერულ ტილოზე იყენებს ჩანახატების ძირითად მოტივს – წინა პლანზე დიაგონალურად გამოსახულ ტივს. ასევე, ტივზე აღმართულ ბოძს და მასზე დამაგრებულ აფრას, ბოძის გარშემო შეჯგუფულ ადამიანთა ჯგუფს.

6. რომელ ცნობილ ქანდაკებას მოგაგონებთ თავისუფლების ეს ფიგურა და რატომ?

დელაკრუას თავისუფლების ფიგურა მოგვაგონებს ნიუ იორკში, ყურეში მდგარ ფრედერიკ ბარტოლდის მიერ შექმნილ თავისუფლების ქანდაკებას, რომელიც საფრანგეთისაგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საჩუქრად მიიღო 1876 წლის მსოფლიო გამოფენისათვის ამერიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავად. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების ერთი გამოსახულება ფერწერულ ტილოზეა ასახული, მეორე კი ქანდაკებას წარმოადგენს, მათ შორის მსგავსების დანახვა არ არის რთული. ეს მსგავსება, პირველ რიგში, პოზაში ჩანს, ზეაწეული ხელი, შემართული პოზა და წინ სწრაფვის შთაბეჭდილება ორივე ფიგურისათვის არის დამახასიათებელი.

7. აღწერეთ ბიჭუნას გამოსახულება. რას გამოხატავს მისი სახე, მოძრაობა?

ბიჭუნას, რომელიც თავისუფლების ფიგურის მხარდამხარ იბრძვის, მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, ორივე ხელში იარაღი (პისტოლეტები) უჭირავს, ნაბიჯი გადაუდგამს და წინ მიიწევს. ბიჭუნას ზეაღმართული ხელი და შემართული კონცენტრირებული მზერა მის გამბედაობასა და სიმამაცეზე მეტყველებს. მისი ღია პირიდან კი თითქოს საბრძოლო ყიჟინაც კი გვესმის.

8. რა ინფორმაციას გვაწვდის დელაკრუას ეს სურათი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, ამ სურათიდან ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას საფრანგეთის 1830 წლის

რევოლუციის საერთო სულისკვეთების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორი თავგანწირვით იბრძვიან საკუთარი უფლებების დასაცავად ადამიანები პარიზის ქუჩებში აღმართულ ბარიკადებზე. ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ორივე მხრიდან (როგორც აჯანყებულების, ისე მთავრობის გვარდიელებს შორის) არიან დაღუპულები (ისინი სურათის წინა პლანზე არიან წარმოდგენილნი). გარდა ამისა, ჩვენ ვიგებთ, რომ ამ რევოლუციაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები – წვრილი ბურჟუაზიის, მუშათა კლასის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა ასაკის ადამიანები და, მათ შორის, მოზარდებიც. გარდა ამისა, დელაკრუას მიერ სურათზე გამოსახული თავისუფლების ალეგორიული ფიგურის ჰეროიკული სახე, ნათლად წარმოაჩენს ამ რევოლუციის მისწრაფებას, მის მაღალ იდეალებს და ეხმიანება მის დევიზს – ძმობა, ერთობა თავისუფლება.

37. პროტესტი ხელოვნებაში

1. რას ასახავენ ანტიკურ სამყაროში?

ანტიკურ სამყაროში ძირითადად ასახავდნენ ანტიკურ გმირებს, ღმერთებს, ქალღმერთებს, მითოლოგიურ სიუჟეტებს.

2. რას ასახავენ შუა საუკუნეების ოსტატები?

შუა საუკუნეების თემატიკა განპირობებული იყო წმინდა წერილით და შუა საუკუნეების მოხატულობებზე, წიგნის მინიატურაზე თუ ტაძრების ფასადებზე ძველი აღთქმისა და სახარების სიუჟეტებს გამოსახავდნენ.

3. რომელ თემებს მიმართავენ რენესანსის პერიოდის მხატვრები?

რენესანსის პერიოდში გვხვდება, როგორც ანტიკური მითოლოგიური სიუჟეტები, ისე ქრისტიანული თემები, განსაკუთრებულ ფუნქციას კი პორტრეტის ჟანრი იძენს.

4. გააანალიზეთ, რომელ მოტივებს ირჩევს გოია ომის საშინელებათა წარმოსაჩენად და შეეცადეთ, ახსნათ, რატომ?

გოია პირველ ოფორტზე გამოსახავს ბრძოლის სცენას, რომელზეც დამპყრობლებს რიგითი ესპანელი ნაჯახით ებრძვის. მეორე ილუსტრაციაზე წარმოდგენილნი არიან ქალები, რომლებიც ტოვებენ საკუთარ გარემოს, მათ ხელში უჭირავთ, რაც მათთვის ძვირფასია (ერთ-ერთ ქალს ხელში უხერხულად უჭირავს ბავშვი); ისინი გაურბიან ომს.

5. დაახასიათეთ, რომელ მხატვრულ ხერხებსა და ელემენტებს იყენებს გოია ამ გრაფიკულ სერიაში.

გოია ამ ნამუშევრებში იყენებს სხვადასხვა სახის შტრიხს და შუქ-ჩრდილს.

6. გააანალიზეთ, როგორ არის აგებული ამ სურათის კომპოზიცია.

ამ სურათის მრავალფიგურიანი კომპოზიცია ძალზე რთული სტრუქტურისაა, აქ ფიგურები თითქოს ერთმანეთში ქაოტურად არიან გადაჭდობილნი. ძალზე დინამიკურ მოძრაობაში გამოსახული ადამიანების ეს მასა ღელავს და მოძრაობს ჩვენს თვალწინ. ამდენად, კომპოზიცია ქაოტურ ხასიათს ატარებს, რაც დაუნდობელი ბრძოლის შთაბეჭდილებას ქმნის.

7. რომელი გამოსახულებებია გამოყოფილი ფერით?

ფერით გამოყოფილია კომპოზიციის ცენტრში გამოსახული თეთრი ცხენის საკმაოდ დიდი ფიგურა; ფაქტობრივად, ეს ერთი ფერის ყველაზე დიდი ლაქაა ამ სცენაზე; ცხენის თეთრ ფონზე მკვეთრად იკვეთება ამავე ცხენზე გადაწოლილი მამლუქის ხასხასა წითელი ფერის შარვლის საკმაოდ დიდი ლაქა. ანუ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოია განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ ცენტრალურ ჯგუფზე (ცხენი და მამლუქი) ამახვილებს მნახველის ყურადღებას. (თუ რატომ, ამის შესახებ შემდეგ ტექსტში არის ახსნილი).

8. როგორ ემოციებს აღძრავს ეს სურათი თქვენში?

ეს სურათი მნახველზე ამაღელვებელ, დრამატულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავისი ჰეროიკული სულით იგი მნახველს ამაღლებულ განწყობილებასაც უქმნის

9. რას ფიქრობთ, ვის თანაუგრძნობს აქ მხატვარი?

ცხადია, რომ გოია, ამ სურათის მიხედვით, აშკარად აჯანყებულთა მიმართ თავის თანაგრძნობას გამოხატავს.

10. დააკვირდით და იმსჯელეთ, როგორ განსხვავდება მთავარი ფიგურისა და ჯალათების სამოსის დამუშავების მანერა ერთმანეთისგან. თქვენი აზრით, რით აიხსნება ეს განსხვავება?

მთავარი ფიგურის სამოსი – თეთრი პერანგი და კაშკაშა ყვითელი შარვალი დამუშავებულია ძალზე ფართო, თავისუფლად დადებული ფერადი მონასმებით, მაშინ, როდესაც, დამყრობელთა შინელები უსახური რუხი ფერის უხეში, მშრალი მოანსმებითაა დამუშავებული. ეს არ არის გასაკვირი, რადგან სწორედ გმირის სამოსის ლაღი წერის მანერა შეესაბამება (სხვა მხატვრულ ხერხებთან ერთად) თავისუფლების იმ იდეას, რომელსაც ეს გმირი განასახიერებს. ხოლო დამპყრობელთა სამოსის ძუნწი და ერთგვარად შეზღუდული მონასმები მათ უსახურ და ბნელ ძალად წარმოაჩენს.

38. ისტორიული ფაქტი ხელოვნების ნაწარმოებში

შენიშვნა: ედუარდ მანეს სურათი „ მექსიკის იმპერატორის მაქსიმილიანეს დახვრეტა“ ისტორიულ ფაქტს ემყარება. მაქსიმილიან ჰაბსბურგი ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების უმცროსი ძმა იყო.

XIX საუკუნის შუა ხანებში მექსიკა საფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დროს ფრანგებმა მექსიკიდან გააძევეს მექსიკის არჩეული პრეზიდენტი ბენიტო ხუარესი.

საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III- მ მექსიკის იმპერატორის წოდება და გვირგვინი მაქსიმილიან ჰაბსბურგს შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. *1864* წლის *14* ივნისს იმპერატორი ტრიუმფალურად შევიდა მექსიკაში. იგი სულ სამი წლის განმავლობაში მეფობდა. 1867 წელს მექსიკის გაძევებული პრეზიდენტი ხუარესი თავისი ჯარებით და აშშ-ს დახმარებით დაბრუნდა მექსიკაში და ტყვედ აიყვანა იმპერატორი. ევროპელი მონარქები, აშშ-ს პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი, ასევე, ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო და იტალიელი რევოლუციონერი ჯუზეპე გარიბალდი წერილს წერილზე უგზავნიდნენ ხუარესს და თხოვდნენ, სიკვდილით არ დაესაჯა მაქსიმილიანე, მაგრამ ამაოდ. ხუარესმა იგი სამხედრო სასამართლოს გადასცა და განაჩენის თანახმად, მაქსიმილიან *I, თავის თანამოაზრეებთან - ერთგულ* გენერლებთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს.

გერმანელი მხატვრის ოტო დიქსის *(1891-1969)* ნამუშევარს საფუძვლად არ უდევს კონკრეტული ისტორიული ფაქტი, მაგრამ თავად მხატვარი, *რომელიც მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში და საკუთარი თვალით ქონდა ნანახი ომის საშინელებანი სემდეგ არა ერთხელ შეეხო ამ თემას და ომის საპროტესტო მრავალი ნამუშევარი სექმნა.*

39. პიკასო ომის წინააღმდეგ

1. თქვენი აზრით, ასე ფართოდ გავრცელდებოდა თუ არა გერნიკას დაბომბვის ამბავი და ემახსოვრებოდა ის კაცობრიობას, რომ არა პიკასოს სურათი „გერნიკა“?

ცხადია, რომ არა პიკასოს შედევრი „გერნიკა”, დღეს ქალაქ გერნიკას ტრაგედია, რომელიც ოთხმოც წელზე მეტი ხნის წინ დატრიალდა, შესაძლოა, ბევრ ადამიანს არც კი სცოდნოდა. დიდმა მხატვარმა თავისი შედევრით ფაქტობრივად უკვდავყო ქალაქ გერნიკას უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნა.

2. გააანალიზეთ, რომელ სახვით ხერხებს იყენებს პიკასო ადამიანთა ტანჯვისა და ომის საშინელებების გადმოსაცემად?

პიკასო ამ სურათზე იყენებს შემდეგ ხერხებს: კომპოზიციის ქაოტურობას, დეკონსტრუქციას, ფორმათა დეფორმაციას, პირობითობას და ძალზე თავშეკავებულ, თითქმის მონოქრომულ ფერთა გამას და ამ სახვითი საშუალებებით გადმოსცემს ფაქტის დრამატულობას.

41 . ხელოვნება და ადამიანის მანკიერებანი

1. აღწერეთ ბრეიგელის სურათის მე-5 ფრაგმენტი. თქვენი აზრით, რას მიათრევს გოდრით მამაკაცი?

მამაკაცს ხელში საკმაოდ დიდი გოდორი უჭირავს, რომელშიც რაღაც თეთრი აირის მსგავსი მასა დევს. მამაკაცი ძლივს მიათრევს გოდორს; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის, რაც გოდორში დევს, ძალზე მძიმეა. თუმცა სინამდვილეში ეს ორთქლია.

2. თქვენი აზრით, რას გულისხმობს ფლამანდიური გამოთქმა „გოდრით ორთქლის ტარება“?

ამ ფრაგმენტზე ბრეიგელი ასურათებს ფლამანდიურ გამოთქმას „გოდრით ორთქლის ტარება”. ცხადია, ორთქლი წნელებით დაწნულ გოდორში ვერ გაჩერდება; სწორედ ეს უდევს საფუძვლად ამ გამოთქმას და გულისხმობს უაზრო შრომას, რომელსაც არ აქვს შედეგი. აქ კიდევ ერთი ნიუანსია ხაზგასმული: ესაა ადამიანის თვალთმაქცობა. როდესაც ადამიანი სხვების დასანახად ქმნის ილუზიას, რომ იგი თავდაუზოგავად შრომობს, სინამდვილეში კი, „ორთქლს ათრევს გოდრით” ანუ არაფერსაც არ აკეთებს.

3. აღწერეთ ფიგურების ჯაჭვი და თითოეულის მოძრაობა. როგორი მათი რიტმი?

ფიგურების ჯაჭვი სრულიად არამდგრადია. ყველა ფიგურა თითისწვერებზე დგას და სიმყარეს მოკლებულია. მარჯვენა კუთხეში გამოსახული წინამძღოლი წაქცეულია, მისი მომდევნო მამაკაცი წინ არის გადახრილი და სადაცაა ისიც წაიქცევა. მომდევნო ფიგურაც, რომელიც თითქმის კომპოზიციის ცენტრშია გამოსახული და რომელსაც მარცხენა წინ გაწვდილ ხელში გრძელი ჯოხი უჭირავს, თითისწვერებზე აწეულა და ხელჯოხით თითქოს მის წინ მდგომ ფიგურას „ეძებს”. ამ ფიგურას მის უკან მდგომი ბრმა ზურგზე ხელს ადებს და ისე მიჰყვება, ასევე წინამორბედისათვის ზურგზე აქვს ხელი დადებული მომდევნო ფიგურას, რომელიც მუქ მოკლე მოსასხამშია გახვეული და სახე კაპიუშონით დაუფარავს. მას მარჯვენა ხელში ჯოხი უჭირავს, რომელზეც ხელი მის უკან მდგომ, ამ ჯაჭვის სულ ბოლო ფიგურასაც ჩაუვლია. ამგვარად, ფიგურები თითქოს ერთმანეთზე არიან გადაბმულნი.

4. დააკვირდით ფიგურების სახის გამომეტყველებას. აღწერეთ თითოეული მათგანი და ამ ფიგურებით აღძრული შთაბეჭდილება.

პირველი ფიგურის სახეს ჩვენ ვერ ვხედავთ, რადგან ის უკვე წაქცეულია, მეორეს ადამიანის სახეზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი ცარიელი თვალის უპეები და დაღებული პირი. მეორე ფიგურა, რომლის სახეს პროფილში ვხედავთ, გრძელი ცხვირი, თხელი ტუჩები და გუგის გარეშე გამოსახული, ერთიანი თეთრი ლაქით შევსებული თვალი აქვს. მესამე ფიგურის გაძვალტყავებულ სახეზე თვალის უპეებში ღრმად ჩაცვენილი თვალები წერტილებივით აღიქმება; აპრეხილი, ხორციანი ცხვირი და დაღებული პირიდან მეჩხერად გამოჩენილი გალეული კბილები საკმაოდ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მომდევნო ორი ფიგურის სახეზე ყურადღება ნაკლებად მახვილდება. ერთ მათგანს თვალებს კაპიუშონი უფარავს, მეორეს კი, რომელსაც განიერი უხეში სახის ნაკვთები აქვს, თვალები მილულული აქვს და მისი გამომეტყველება არ ჩანს.

5. აღწერეთ პეიზაჟი და მისით აღძრული შთაბეჭდილება.

პიეზაჟი ამ სურათზე ვაკეზე გაშლილ მშვიდსა და იდილიურ სოფელს წარმოგვიდგენს. შორს სიღრმეში მოჩანს მდელო, რომელზეც ვხედავთ ტაძარს, გვერდით მაღალი შპილით დაგვირგვინებული სამრეკლოთი, სურათის მარცხენა კიდეში, უკანა პლანზე, ფიგურების უკან კი სოფლის მყუდრო სახლებია ჩამწკრივებული. ბუნება და ადამიანის ნახელავი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს და ეს მშვენიერი პიეზაჟი მშიდსა და გაწონასწორებულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შენიშვნა: მასწავლებელმა ძალიან ფრთხილად უნდა წარმართოს მოსწავლეთა აზრების ნაკადი ამ გაკვეთილის მსვლელობის დროს; მან გულდასმით უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ფიზიკური ნაკლი ყოველთვის როდია სულიერი სიღარიბის მანიშნებელი. სულაც პირიქით, ზოგჯერ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები ძალზე ჰუმანურები და კარგი ადამიანები არიან, რომლებსაც ჩვენი თანადგომა, დახმარება და თანაგრძნობა ჭირდებათ.

მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს მოსწავლეების ყურადღება სახარებისეულ ტექსტზე, რომელშიც ქრისტე (და შემდეგ, შესაბამისად, ბრეიგელიც) მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა სულიერ სიბრმავეზე, როგორც სულიერ სიღარიბესა და უგნურებაზე, აკეთებს აქცენტს და არავითარ შემთხვევაში - ფიზიკურ ნაკლზე. მხატვარმაც, თვალისჩინწართმეული ადამიანების გამოსახულება სწორედ სულიერი სიბრმავის მეტაფორად წარმოადგინა.

42. პერფორმანსი

1. თქვენ როგორ ახსნიდით ამ პერფოემანსის არსს?

ამ მეტად მარტივი პერფორმანსით ავტორებმა დაგვანახეს, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა, მათ შორის კომუნიკაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია და შესაძლებელია, რომ ადამიანებს შორის შეხების წერტილი იყოს მხოლოდ ერთი და ისეთივე მცირე, როგორც ორი ადამიანის თითის შეხებაა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ერთმანეთს თანადგომა ვაგრძნობინოთ და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ. როგრც ხედავთ, ეს ინტერპრეტაცია მოსწავლის წიგნში მოცემულისაგან განსხვდება. სასურველია, რომ მოსწავლეებმა თავისებური, სახელმძღვანელოსაგან განსხვეწვაბული, ახსნა მოუძებნონ ამ პერფორმანსს, მისი განსხვავებული ინტერპრეტაცია გააკეთონ; მასწავლებელმა უნდა წაახალისოს ეს და აუხსნას, რომ თანამედროვე ხელოვნება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

2. რას ფიქრობთ, რჩება თუ არა რაიმე პერფორმანსის შემდეგ ხელოვნების ნიმუშის სახით?

პერფორმანსის შემდეგ რჩება მხოლოდ ფოტო და ვიდეო მასალა. ცხადია, ეს მასალა არ არის ხელოვნების ნიმუში, ეს მხოლოდ ამ ნიმუშის ოდესღაც არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციაა.

3. თქვენი აზრით, რას გულისხმობდა იოზეფ ბოისი ამ ცნობილ გამონათქვამში? ეთანხმებით თუ არა მას?

გამოთქმაში „ნებისმიერი ადამიანი ხელოვანია" ბოისი გულისხმობდა, რომ ნებისმიერ ადამიანში არის შემოქმედებითობის ნაპერწკალი, ნებისმიერს შეუძლია იმ საქმეში, რომელსაც აკეთებს შემოქმედებითი მიდგომა გამოამჟღავნოს და უფრო მეტიც, ხელოვნების თანამედროვე ფორმებით ხორცი შეასხას საკუთარ იდეებს.

4. რას ფიქრობთ, რატომ ირჩევდა იოზეფ ბოისი ხშირად პერფორმანსს, როგორც გამოხატვის ფორმას?

ბოისის მიერ თავისი შემოქმედებითი აქტივობისათვის პერფორმანსის ფორმის არჩევა იმით იყო განპირობებული, რომ პერფორმანსი არტისტს საშუალებას აძლევდა საკუთარი იდეები ქმედებით გამოეხატა და მასში მაყურებელიც ყოფილიყო ჩართული, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რათა ხელოვნების ნაწარმოებს დიდი გავლენა ჰქონოდა რაც შეიძლება მეტ ადამიანზე, მათ ცნობიერებაზე და, თუ გნებავთ, საქციელზეც.

5. თქვენი აზრით, როგორი ტიპის პერფორმანსია ბოისის პროექტი „7 ათასი მუხის ხე"?

ბოისის პერფორმანსი „7 ათასი მუხის ხე" სოციალური ხასიათის პროექტია, რადგან ის გულისხმობს ბევრი ადამიანის ისეთ აქტივობას, რომელსაც სიკეთის მოტანა შეუძლია მთელი სოციუმისათვის, მთელი საზოგადოებისათვის, როგორც ფიზიკური თვალსაზრისით (ხეების დარგვა კარგია ეკოლოგიისათვის), ასევე, მენტალურად (მეორე მსოფლიო ომის საშინელი ნარჩენების ალაგმვა, მათი მემორიალურ სვეტებად ქცევა და ამით ადამიანებისათვის იმის თქმა, რომ ომი აღარ უნდა განმეორდეს).

6. რას ფიქრობთ, რატომ აირჩია იოზეფ ბოისმა პროექტის განსახორციელებლად კონკრეტულად ეს მარშრუტი?

ბოისმა, როგორც ცნობილია, თავისი პროექტისათვის („7 ათასი მუხის ხე") აირჩია მარშრუტი

ქალაქ კასელიდან რუსეთისაკენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმსხვილესი თანამონაწილე სწორედ საბჭოთა კავშირი (რუსეთი) იყო და ომის ტრამვების მოშუშება იქ მცხოვრებ ადამიანებსაც უწევდათ.

7. თქვენი აზრით, რატომ მოგზაურობდა ხელოვანი ქალაქიდან ქალაქში და რა თემებზე ესაუბრებოდა ადგილობრივ მოსახლეობას?

ბოისი ამ პროექტის ფარგლებში ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა, რათა რაც შეიძლება მეტ ადგილობრივს შეხვედროდა და მეტი ადამიანისათვის გაეზიარებინა თავისი პაციფისტური მოსაზრებები, რომ ესაუბრა მათთან ადამიანებს შორის კეთილი დამოკიდებულების მნიშვნელობასა და უალტერნატივობაზე.

8. რას ფიქრობთ, რა იყო ამ პერფორმანსის მთავარი იდეა?

ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსის მთავარი იდეა გახლდათ ის, რომ მხატვარს გაეპროტესტებინა 1990-იანი წლების საქართველოს მდგომარეობა, აღეწერა იმ მმართველთა ცხოვრების წესი, რომლებიც დაცვის წევრებით იყვნენ იზოლირებულნი საკუთარი ხალხისაგან.

9. თქვენი აზრით, შეიცავდა თუ არა აღნიშნული პერფორმანსი ირონიის ან იუმორის ელემენტებს?

ცხადია, ოლეგ ტიმჩენკოს ეს პერფორმანსი შეიცავდა ირონიის ელემენტებს, რადგან იმის გამეორება, და ხელოვნების ფორმით იმიტირება, რაც რეალობაში ხდებოდა, საზოგადების მხრიდან უკვე დაცინვად და ირონიად აღიქმებოდა.

10. რა ინფორმაციას გვაწვდის ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსი 1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკის შესახებ?

ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსი გვაწვდის ინფორმაციას 1990-იანი წლების საქართველოს მდგომარეობის შესახებ, როდესაც არ იყო სინათლე ქვეყანაში, არ მოდიოდა წყალი ონკანში, არ იყო გათბობა, არ ცხვებოდა პური, ადამიანები შიმშილობდნენ, მაშინ ქვეყნის მმართველები კარგად ცხოვრობდნენ, ძვირფასი მანქანებით, დაცვის თანხლებით დადიოდნენ და სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ ხალხის პრობლემებს.

44. კრიტიკული დამოკიდებულება ხელოვნებაში

1. რას ფიქრობთ, ამ ციტატიდან გამომდინარე, რამ უბიძგა მხატვარს, აესახა უბრალო ადამიანების შრომა?

ციტატა: „მეზიერის ახლოს (ორნანის მიდამოებში) მე შევჩერდი, რომ დავკვირვებოდი ორ მამაკაცს, რომლებიც ქვებს ამტვრევდნენ შარაგზაზე. იშვიათად თუ შეხვდები სიღარიბის ასეთ აშკარა გამოხატულებას. ასე რომ, იდეა სურათისათვის ადგილზევე მომივიდა".

ამ ციტატიდან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ მხატვარი შეძრა ამ ადამიანების სიღარიბემ, მათმა მძიმე შრომამ და გადააწყვეტინა სურათის შექმნა.

2. რომელი კომპოზიციური ხერხია გამოყენებული დომიეს მიერ ამ ნამუშევარზე?

დომიეს ამ ლითოგრაფიაზე გამოყენებულია დიაგონალური კომპოზიციური წყობა და მთავარის აქცენტირება.

3. როგორ ადამიანად წარმოაჩენს დომიეს აქ მოთხრობილი ამბავს „უარი ჯილდოზე"?

მოთხრობილი ამბავი დომიეს მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოზე უარის თქმის შესახებ და შემდეგ კურბესთან მისი დიალოგი, დომიეს წარმოაჩენს, როგორც საკუთარი პრინციპების ერთგულ, თავმდაბალ ადამიანს, რომელიც კეთილშობილურ საქციელს ჩადის არა იმიტომ, რომ ვინმეს დაანახოს თავისი კეთილშობილება და პრინციპულობა, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, სხვაგვარად არ შეუძლია; საკუთარ საქციელში ვერაფერს განსაკუთრებულსა და გმირულს ვერ ხედავს და ჩუმად აკეთებს იმას, რაც სწამს და რაც სწორად მიაჩნია.

4. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე დომიეს ქანდაკებები?

დომიეს ქანდაკებებიც კარიკატურების შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან აქაც, მისი ლითოგრაფიების მსგავსად, წარმოდგენილია ადამიანთა სახასიათო ტიპები, რომელთა სახეებზე ზოგადად ადამიანის მანკიერი თვისებების ამოკითხვა შეიძლება.

5. დაახასიათეთ ამ პორტრეტებზე გამოსახული ადამიანები. რომელ ადამიანურ თვისებებს მიაწერდით მათ სახეების მიხედვით?

ბანკირი – პედანტი, მშრალი ემოციებისაგან დაცლილი ადამიანი, რომელმაც მხოლოდ ფულის თვლა იცის. უცნობი – სნობი, ყოველგვარი ადამიანური გრძნობებისაგან დაცლილი გულგრილი მოხუცი. ლორან კუნინი – ცხოვრებით უკმაყოფილო, გაბოროტებული ადამიანი, რომელსაც არაფერი მოსწონს და ყველაფერი ეზიზღება.

47. ხელოვნება ბუნების გადასარჩენად

1. ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი ფაქტორები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჩვენს გარე სამყაროს.

ფაქტორები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანს და მთლიანად სამყაროს: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ტყეების გაჩეხვა, მანქანებისა და საწარმოების გამონაბოლქვი, სასარგებლო წიაღისეულის დიდი რაოდენობით და უდიერად მოპოვება, როცა ზიანდება ბუნება; დიდი რაოდენობით ქიმიკატების გამოყენება; ქიმიური ნივთიერებების დიდი შემცველობა საკვებში, მდინარეებზე დიდი ჰესების მშენებლობა.

2. აღწერეთ პლაკატი „ოცნება ტყეზე“. თქვენი სიტყვებით გადმოეცით მისი შინაარსი.

პლაკატზე გამოსახულია მოჭრილი ხეებისაგან დარჩენილი კუნძები, რომელთაგან დაცემულ მოკლე ჩრდილებს ვხედავთ. პატარა ბავშვები კი აგრძელებენ ამ ჩრდილებს, ანუ ხატავენ ჩრდილებს ისე, როგორც ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა, ხეები რომ არ მოეჭრათ. ეს მართლაც მათი ოცნებაა.

3. როგორი ჩრდილებია გამოყენებული ამ პლაკატზე და სად?

ამ პლაკატზე გამოყენებულია ე.წ. დაცემული ჩრდილები, რომლებსაც მოჭრილი ხეების კუნძების გასწვრივ დებს მხატვარი.

4. რომელ პრობლემას ეხება პლაკატის ძირითადი თემა?

ამ პლაკატის ძირითადი თემა ეხება ეკოლოგიას, კონკრეტულად კი ტყეების გაჩეხვის საკითხს, რის შედეგადაც აღარ ხდება ჰაერის ჟანგბადით მომარაგება და ირღვევა ეკოლოგიური გარემო.

5. როგორ შეაფასებდით ამ პლაკატის ვიზუალურ მხარეს?

პლაკატი ვიზუალური თვალსაზრისით საკმაოდ მეტყველია. აქ ნაჩვენებია, რომ გაჩეხილია საკმაოდ დიდი ფართობი და მოჭრილი ხეების კუნძები კომპოზიციის ზედაპირზე ერთგვარ რიტმს ქმნიან; ცოცხალი ტყის ბუნებრივი გარემოს ნაცვლად, პლაკატის ავტორი აქ მშრალ, უსიცოცხლო გეომეტრიულ რიტმს გვაძლევს. პლაკატზე გამოყენებული სახვითი ხერხები ლაკონიურია: ძუნწი მონაცრისფრო ფერადოვნება, რომელსაც მხოლოდ ბავშვების სამოსის მწვანე და წითელი პატარა ლაქები ვერც კი აცოცხლებს და თავშეკავებული ხაზი, რომლითაც მხოლოდ აზრობრივად მნიშვნელოვანი გამოსახულებებია მონიშნული, მაგ, ხეების ჩრდილები, რომლებსაც ბავშვები ხატავენ.

6. აღწერეთ ფოტოზე ასახული, რიოს სანაპიროზე აქციის მონაწილეთა მიერ შექმნილი გამოსახულება.

რიოს სანაპიროზე აქციის მონაწილეთა მიერ შექმნილი გამოსახულება წრეს წარმოადგენს, რომელშიც ჩაწერილია ახალგაზრდა გოგონას სახე პროფილში, მას თავზე მაღალი, ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი თავსაბურავი უმშვენებს. გოგონას ხელი მის წინ გამოსახული

მზისაკენ გაუწვდია, თითქოს ცდილობს მისწვდეს მას. წრეს გარს უვლის უწყვეტი, ალაგ-ალაგ რიტმულად ჩახვეული ორნამენტული ზოლი.

7. რა კავშირია გამოსახულებასა და წარწერას შორის და როგორ გამოხატავს ეს გამოსახულება პროტესტის არსს?

ეს გამოსახულება და მისი თანმხლები წარწერა „მდინარეების სიცოცხლისათვის" მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. წრეში ჩაწერილი გოგონა, რომელიც მზისაკენ მიილტვის სიცოცხლის სიმბოლოდ ჰქონდათ ჩაფიქრებული ავტორებს, ხოლო, წრის გარშემო შემოტარებული ტალღოვანი ორნამენტული ზოლი მდინარეებს გულისხმობდა. ამდენად, ადამიანი, რომლის სიცოცხლე სითბოსა (ანუ მზესა) და მტკნარ წყალზეა (ანუ მდინარეებზე) დამოკიდებული, სწორედაც რომ უნდა ზრუნავდეს ამ რესურსების სიჯანსაღისა და შენარჩუნებისათვის. ამგვარად, წარწერა და გამოსახულება სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან და ძალზე ლაკონიურად გამოხატავს პროტესტის არსს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დავიცვათ დედაბუნება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მდინარეები და ტყეები.

8. განიხილეთ ეს საპროტესტო ლოზუნგები. იმსჯელეთ, როგორ უკავშირდება ისინი აქციის მიზანს?

ეს საპროტესტო ლოზუნგები პირდაპირ კავშირშია აქციის მიზანთან.

9. მოიფიქრეთ, თქვენ თავად რომელ ლოზუნგებს დაამატებდით?

სავარაუდოდ, მოსწავლეები მრავალ ლოზუნგს დაამატებენ. სასურველია, შემდეგ მათ თავად შეარჩიონ მათგან საუკეთესო.

15. მოსწავლის წიგნში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებები

აბრევიატურა (Brevis ლათ. მოკლე) – რაიმეს დასახელების შემოკლება, დასახელებაში გამოყენებული სიტყვების პირველი ასოების გამოყენებით.

ავთენტურობა – ნამდვილი, უეჭველი, უტყუარი, სინამდვილის შესაბამისი. იგულისხმება ხელოვნების ნიმუშის პირვანდელი სახე.

ანფასი/ფასი – პირდაპირ დანახული/ასახული ადამიანის სახე.

არტეფაქტი – ადამიანის ხელით შექმნილი ნებისმიერი ობიექტი, მათ შორის ხელოვნების ნაწარმოები.

აქცია – რაიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი ან სხვა მიზნის მისაღწევად წამოწყებული და განხორციელებული ქმედება.

ბათქაში – კედლის, ტიხრის, ჭერის მოსაპირკეთებელი შრე, რომელსაც გლუვი ზედაპირის მისაღებად იყენებენ. შუა საუკუნეების ეკლესიებში სპეციალური ბათქაშით იფარებოდა მოსახატად განკუთვნილი კედლების ზედაპირი.

დიპტიქონი – ორკეცად აკინძულ-შეკრული დაფა ანუ საწერი ფიცარი.

ეკოსისტემა – ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში.

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შემოკლებით გაერო) – საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს.

იკონოგრაფია – გარკვეული დროის განმავლობაში შემუშავებული წესები, რომლის მიხედვითაც იქმნება ქრისტიანული სიუჟეტები და წმინდანთა გამოსახულებები.

კარიკატურა – სატირული ან იუმორისტული გამოსახულება, რომელშიც კომიკური ეფექტი შექმნილია რაიმე ნიშნის გაზვიადებით; გრაფიკის ერთ-ერთი ჟანრი, რომელიც სატირული და იუმორისტული ფორმით გამოსახავს კონკრეტულ ადამიანებს ან ადამიანთა ტიპებს, ასევე, სოციალურ, პოლიტიკურ და ყოფით მოვლენებს.

კესონები – მხატვრულად გაფორმებული კვადრატული ან მრავალკუთხოვანი ჩაღრმავება, რომლითაც ამკობენ ნაგებობის ჭერს, გუმბათს ან თაღებს.

კიაროსკურო – იტალიური ტერმინი, რომელსაც იყენებენ სახვითი ხელოვნების ნიმუშზე ძლიერი შუქისა და ჩრდილის საშუალებით სამგანზომილებიანი მოცულობითი ფორმისა და რეალური სივრცის აღსაწერად.

კუბიკულები – კატაკომბების კედლებში საგანგებოდ გამოკვეთილი ნიშები.

მამლუქი (არაბ. ნიშნავს „მიკუთვნებულს“) – არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მეომარი მონა. მამლუქები XI საუკუნის II ნახევრიდან მრავლად იყვნენ ეგვიპტეში, XVIII საუკუნის დასაწყისიდან – ერაყში.

მინიატურა – ხელნაწერი წიგნის შემამკობელი პატარა ზომის სურათი.

მირაჟი – ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში, რომლის დროსაც ჩანს საგნების მოჩვენებითი გამოსახულებები.

ნოსტალგია (ბერძნ. nostos შინ დაბრუნება, algos ტკივილი) — „სამშობლოს სევდა“; სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობით გამოწვეული სევდა.

ორანტა – ვედრების პოზა, როდესაც ფიგურა გამოსახულია განზე გაშლილი, მაღლა აწვდილი ხელებით, ხელისგულებით მნახველისაკენ. მოგვიანებით ეწოდა მავედრებელი ღვთისმშობლის ერთ-ერთ იკონგრაფიულ ტიპს.

ოფორტი – ღრმა გრავირების ხერხი, რომლის დროსაც ლითონის ფირფიტა იკაწრება საჭრისით, შემდეგ გაკაწრული ადგილები მჟავით მუშავდება, მომდევნო ეტაპზე კი საღებავით იფარება. ოფორტი ამგვარად გრავირებული ფირფიტიდან შესრულებულ ანაბეჭდს ეწოდება.

პაპირუსი – ტროპიკული ღერწამი, რომლის ღეროებისაგან დამზადებულ საწერ მასალას იყენებდნენ

ეგვიპტელები და სხვა ძველი ხალხები (მათ შორის ქართველებიც).

პერფორმანსი – თანამედროვე ხელოვნების ფორმა, რომელიც ეფუძნება ხელოვანის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ სივრცეში დროის კონკრეტულ მონაკვეთში მიმდინარე ქმედებას.

პერგამენტი – განსაკუთრებული წესით დამუშავებული ხბოს, ბატკნის ან თიკნის ტყავი, იყენებდნენ საწერ მასალად ქაღალდის გამოგონებამდე.

ქითაბხანა – წიგნსაცავი (არქივი) და წიგნების დამზადების ცენტრი.

რეალიზმი – მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც მიზნად ისახავს სინამდვილის ობიექტურად ასახვას.

რეკონკისტა (ესპ. Reconquista დაბრუნება) – დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესი პირენეის ნახევარკუნძულზე, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდა მავრების სამეფოს.

რეკონსტრუქცია – რაიმეს პირვანდელი სახის აღდგენა.

რეკრეაციული ზონა – დასვენებისა და განტვირთვისათვის გამოყოფილი საგანგებო ზონა, რომელიც მოიცავს ბაღებს, პარკებს, სკვერებს და ა.შ.

საპატიო ლეგიონის ორდენი – საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო უდიდესი სამხედრო და სამოქალაქო მიღწევებისათვის. დაწესებულია ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ 1802 წელს. ანიჭებს საფრანგეთის პრეზიდენტი. ორდენის დევიზია „ღირსება და სამშობლო“.

სარკაზმი – ინდივიდის ან ცხოვრების მანკიერი მხარეების, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია. დაუნდობლად ააშკარავებს ადამიანთა და საზოგადოების ყველა სფეროს უარყოფით მხარეებს.

სატირა – კომიკურის მკვეთრი გამოვლინება ხელოვნებაში დაცინვის გზით.

სფუმატო – ფერწერულ ნაწარმოებში უკანა პლანზე გამოსახულების მკაფიო კონტურების ერთგვარი შერბილება, გაბუნდოვნება, რითაც სურათზე ნათლად გადმოიცემა სივრცის ეფექტი.

სტიგმატები (ბერძ. Stigmatos) – ნიშანი, ჭრილობა, წყლული. მორწმუნეებს სტიგმატები მაცხოვრის იარების დარად უჩნდებოდათ სხეულზე ზუსტად იმ ადგილებზე (ხელებზე, ფეხებზე, ფერდზე), სადაც მას ჭრილობები ჰქონდა მიყენებული.

ტიპოგრაფია (typos – ანაბეჭდი, grapho – ვწერ) – დაწესებულება, საწარმო, სადაც სხვადასხვა სახის გამოცემები იბეჭდება.

ტრაფარეტი – 1. თხელი ფირფიტა, რომელშიც ამოჭრილია რაიმე სახე ან ასოები; იყენებენ, მაგ., კედლის, ფირნიშის მოსახატად, წარწერების გასაკეთებლად (დაადებენ სათანადო ზედაპირს და ზევიდან წაუსვამენ საღებავს). 2. გადატ.: ერთხელ და სამუდამოდ მიღებული, გაცვეთილი ფორმა, მზა ნიმუში; შაბლონი.

ქარტია (ბერძნ.) – პოლიტიკური, სოციალური თუ პროფესიული მოთხოვნების გამომხატველი საბუთი, აქტი.

ცენზურა – სახელმწიფოს მიერ საინფორმაციო საშუალებებისა და ხელოვნების სფეროს კონტროლი; მისთვის არასასურველი ხელოვნების ნაწარმოების ან ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა.

წერის მანერა – სახვითი ხერხების ერთობლიობა, ტექნიკური და სტილისტური თავისებურებანი, რომლებიც კონკრეტული შემოქმედის მხატვრულ ინდივიდუალობას განსაზღვრავს.